ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
19 იანვარი **ოთხშაბათი** 2011
№013 (13310) ფასი 60 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეჰ, ანა...

16



კახა კაჭარავა
ფოტო: www.fcdinamo.ge

ამდენი უცხოელიდან დინამომ ორი გაიშინაურა

კახა კაჭარავასგან გამოცანა გერგებათ. პასუხი არ გაგიჭირდებათ

2

თანამეგობრობის მწარე ირონია

აზერბაიჯანელების და სომხების მატჩში ქართველების ბედიც წყდება

2

ნელი გაიხსნა

ძორძია-საკანდელიძის მემორიალს შსს ახალი მწვრთნელით შეხვდა

9

დავით უსტიაშვილი და შსს ნუთშესვენებაზე

ლიპარტელიანი ევროპამდე მოთმინებას გვირჩევს

10

მოახდენს გულიტი გროზნოში სექსუალურ რევოლუციას?

6

დინამო

კაჭარავასგან გამოცანა გვერგება

პასუხი ძნელი არ არის, ბოლოში ნახავთ



კახა კაჭარავა

დინამო-სიონი 4:1

თბილისი. „ავაზა-ვისოლის“ სტადიონი. 200 მაყურებელი.

1:0 ტატანაშვილი (12. კახელიშვილის პასით), 2:0 ტატანაშვილი (17. თექთურმანიძის პასით), 3:0 კახელიშვილი (26. ტატანაშვილის პასით), 3:1 ოქროპირიძე (77), 4:1 ვუკაილოვიჩი (83. ფირცხალავას პასით)

„დინამო“: ზარქუა - კაკუბავა, ბაგუნისი, ევტიჩი, მაროვიჩი (85. ოთარაშვილი) - ედნილსონი (60. კვეკვესკირი), ფირცხალავა - თექთურმანიძე, ვუკაილოვიჩი, კახელიშვილი - ტატანაშვილი.

„სიონი“: ბობღიაშვილი - ქურასბედიანი (46. ჩხეტიანი), ინწკირველი, ორბელაძე, კობაური - გოგობერიშვილი, დიდავა, ნოზაძე, ჩირიკაშვილი - ჯიქია, ბობოხიძე (46. მ. ოქროპირიძე)

ამ საკონტროლო შეხვედრამ გულშემატკივრებსა და სპეციალისტებში საკმაოდ დიდი ინტერესი გამოიწვია. „ავაზას“ სტადიონზე იმაზე ნაკლები მაყურებელი არ იყო, ვიდრე ამავე გუნდების პირველი ეტაპის შეხვედრებისას. არც არის გასაკვირი, ცვლილებებმა თბილისის „დინამოს“ ქომაგებში იმედი აღძრა და ყველას აინტერესებს, რა გუნდს ვიხილავთ მეორე წრეში.

... ტატანაშვილმა აქტიურად დაიწყო თამაში. თუ ჩემპიონატშიც ასე ითამაშებს, „ამერის“ ყოფილი ფორვარდი მცველებისთვის კვლავაც უსიამოვნო მეტოქე იქნება. ის ბოლნისელების კართან მუდამ იმ დროს და იმ ადგილზე ჩნდებოდა, სადაც და როდესაც თავდამსხმელი უნდა გახსნილიყო. საბოლოოდ, დუბლი და საგოლე გადაცემაც მიითვალა.

აღსანიშნავი არიან მისი პარტნიორებიც - **გიორგი თექთურმანიძე, ვლადიმირ ვუკაილოვიჩი** და **გიორგი კახელიშვილი** შეტევებს ამწვავებდნენ და ტატანაშვილს აზრიანი გადაცემებით ამარაგებდნენ. ისიც უნდა ვთქვათ, რომ „სიონის“ მცველებმა სუსტად ითამაშეს და ხშირად ბავშვურ შეცდომებს უშვებდნენ.

ტატანაშვილმა ანგარიში გიორგი კახელიშვილის ფლანგური პასით გახსნა. ხუთ წუთში კი უკვე მარჯვენა ფლანგიდან გიორგი თექთურმანიძის მშვენიერი გადაცემით ისარგებლა.

მალე კახელიშვილმა თავად გაიტანა - ტატანაშვილი ამჯერად ასისტენტი იყო.

პირველი ტაიმის ბოლოს კახელიშვილსაც ჰქონდა დუბლის შესრულების შანსი, მაგრამ ბურთი ძელს მოარტყა, შემდეგ კი **მინდია ბობღიაშვილმა** კარგი რეაქცია გამოავლინა და ტატანაშვილის მორიგი სახიფათო დარტყმა მოიგერია.

მეორე ტაიმში შეცვლაზე შესულმა ბოლნისელმა **მანუჩარ ოქროპირიძემ** “დინამოს” ცენტრალური მცველების უხეში შეცდომით ისარგებლა და ანგარიშში სხვაობა შეამცირა. თუმცა დინამოელებმა სამბურთიანი უპირატესობა მაინც აღადგინეს - სერბმა ნახევარმცველმა **ვლადიმირ ვუკაილოვიჩმა** მშვენიერი დარტყმით საბოლოო ანგარიში დააფიქსირა - 4:1. სხვათა შორის, მას და ტატანაშვილს თავის გამოჩენა მეორე ტაიმში კიდევ შეეძლოთ, მაგრამ მეკარესთან მარტო დარჩენილმა სერბმა ბურთი ძელს მოარტყა, დამატებაზე კი ტატანაშვილმა ვეღარ იმარჯვა.

ცხადია, საინტერესოა, გასასინჯი უცხოელებიდან ვინ დარჩება “დინამოში”. ამის შესახებ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **კახა კაჭარავამ** მატჩის შემდეგ ილაპარაკა:

- თამაშითაც კმაყოფილი ვარ და შედეგითაც. იცით, რომ ამჟამად მომზადებასთან ერთად სელექციასაც ვანარმოებთ. ორი ფეხბურთელის დატოვებაზე შეთანხმდით, დანარჩენებმა კი “დინამოს” მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილეს და კლუბი დატოვეს, ან დატოვებენ. თუმცა დასარჩენთა დასახელება ჯერ არ მსურს, რადგან საკითხი ხელმძღვანელობასთან ერთად უნდა გადაწყვიტოთ.

- დღევანდელი თამაშით თუ ვიმსჯელებთ, დატოვების შანსი მაროვიჩსა და ვუკაილოვიჩს უნდა ჰქონდეთ.

- დღეს კიდევ ორი უცხოელი თამაშობდა.

- მაგრამ ევტიჩისა და ბაგუჟისის დღევანდელი თამაშიდან გამომდინარე, საეჭვოა, მათი დატოვება გსურდეთ.

- ჯერ ვერაფერს გეტყვით... ისე, ჩვენი გემოვნება ერთმანეთს ემთხვევა.

მთავარი გუნდების შეხვედრამდე „დინამო“ და „სიონი“ სხვა შემადგენლობითაც დაუპირისპირდნენ ერთმანეთს - შეხვედრა 3:3 დასრულდა, “დინამოდან” თავი გამოიჩინეს **ლექვთაძემ (ფოფხაძის** პასით), **სიხარულიძემ (ლექვთაძის** პასით) და **ქანთარიამ (სიხარულიძის** პასით). ბოლნისელთაგან ორი ბურთი **თოდუამ** გაიტანა, ერთი კი პენალტით **იაშვილმა**.

“დინამო”: ნადირაძე, თომაშვილი, გველესიანი, კვარაცხელია, ფოფხაძე, ჩადუნელი, ჯიღაური, ლექვთაძე, არახამია, მაჭავარიანი, ვაშაკიძე, გოგიძე, წენგუაშვილი, სიხარულიძე, ქანთარია.

მერაბ მამულაშვილი

ფოტოები: www.fcdinamo.ge

მარცხნივ დიმიტრი ტატანაშვილი

დავით მუჯირი

ჯაბა ლიპარტია

რატომ მარტო უცხოელებს, ქართველებიც

მუჯირს გაინიხილავენ, ლიპარტიას დაელოდებიან

დინამოში ბევრი რამ შემოტრიალდება

თბილისის „დინამო“ ყოველდღიურად ახალ-ახალ უცხოელ ფეხბურთელებსაც აკვირდება და ამავე დროს ქართველების დამატებასაც აპირებს.

ჯერ უცნობია, ითამაშებს თუ არა „დინამოში“ **დავით მუჯირი**, რომელმაც ეროვნული პირველობის პირველი ეტაპი კლუბში ჩაატარა. როგორც დათომ თქვა, მოლაპარაკება შვეიცარიულ კლუბთან ჰქონდა, მაგრამ „დინამოში“ დარჩენასაც არ გამორიცხავს.

თბილისელთა მთავარმა მწვრთნელმა **კახა კაჭარავამ** „ლელოსთან“ დაადასტურა კლუბსა და ფეხბურთელს შორის მიმდინარე მოლაპარაკება, მაგრამ, ჯერ არაფერია გარკვეულიო. ჩვენი ინფორმაციით, მუჯირმა „დინამოს“ თავისი პირობები წაუყენა, რომელთა გადაწყვეტაც მხოლოდ კლუბის მეპატრონე **რომან ფიფიას** შეუძლია. იგი ამჟამად კლუბის გადაფორმებას ასრულებს.

სხვათა შორის, „დინამოს“ კონტრაქტი ჯერ არც 27 წლის **გიორგი ციმაკურიძესთან** გაუფორმებია, რომელიც დღემდე სლოვაკეთის „ჟილინას“ ეკუთვნის.

„ციმაკურიძის გუნდისგან განთხოვრებაზე ოფიციალურ დასტურს ველოდებით და სანამ სატრანსფერო ფურცელი არ ჩამოგვივა, მანამდე კონტრაქტს ვერ გავუფორმებთ“, - გვითხრა კაჭარავამ.

დაგვიდასტურეს **ჯაბა ლიპარტიას** მიმართ ინტერესიც. კლუბის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა გვითხრა, თუ ჯაბა „ზარიადან“ წამოვა, არაა გამორიცხული, „დინამოში“ დავიმატოთო.

შევიტყვეთ ისიც, რომ მალე თბილისის „დინამოს“ ბაზის რემონტი დაიწყება და სათადარიგო მოედანს, ასე ვთქვათ, შემოატრიალებენ. ამგვარად დიღმის საწვრთნელი ბაზის ტერიტორიის უფრო ეფექტურად ათვისებას იმედოვნებენ. კლუბის ხელმძღვანელობა „დინამოს“ საკლუბო მაღაზიის გახსნასაც აპირებს. სხვათა შორის, მალე ვეტერან დინამოელებს ბაზის კარს გაუღებენ და მათი ტრადიციული თამაშები ძველებურად გაჩაღდება.

სანამ დიღმის ბაზაზე მოედნებს მოაწესრიგებენ, მანამდე კლუბი იქვე მდებარე „ავაზას“ სტადიონზე ივარჯიშებს. თუმცა მოედნის საფარის შეცვლას მოკლე ხანში იმედოვნებენ და ფეხბურთელები მეზობელ საფეხბურთო სკოლას დიდხანს არ შეაწუხებენ.

მაისიდან კი „დინამოს“ ტექნიკური სპონსორი კომპანია „ადიდასი“ გახდება და კლუბი 1981 წლის ფორმას მოირგებს.

მერაბ მამულაშვილი

XIX ყრილობის შესახვედრად

ალმასკომი აღასრულებს

პარასკევს, 21 იანვარს მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომი შეიკრიბება და ყრილობისწინა პროცედურებს გაასრულებს. კერძოდ, ალმასკომი დაამტკიცებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატად **ზვიად სიჭინავას** კანდიდატურას, ყრილობის საპროცედურო რეგლამენტს, ფარული კენჭისყრის ბიულეტენის ნიმუშს. გარდა ამისა, მოსალოდნელია ეროვნული ჩემპიონატის დებულებაში ცვლილებების შეტანა, რასაც ასევე განიხილავს ალმასკომი. ამ სხდომაზე დაამტკიცებენ უმაღლესი და პირველი ლიგების, დუბლებისა და ჭაბუკთა ლიგის კალენდრებსაც. ალმასკომის წევრები იმსჯელებენ სხვა აქტუალურ საკითხებზეც.

ზვიად სიჭინავა

დავით ცაბაძე

ამაზე იტყვიან, სად დაიკარგეო

ბონა გამოჩნდა და ისევ დინამოშია

ბესიკ ბერაძე

გახსოვთ **ბესიკ ბერაძე**? უსიტყვო და ფუტკარივით მუშა მცველი, რომელსაც წყალტუბოს „სამგურალში“, თბილისის „დინამოში“, „ტრაბზონსა“ და საქართველოს ნაკრებში უთამაშია.

„ტრაბზონიდან“ და საქართველოს ნაკრებიდან წასვლის შემდეგ ბერაძემ (მეტსახელად „ბონა“) საქართველოს ჩემპიონატში ცოტა ხანი ითამაშა და ისე დაიკარგა, მისი ასავალ-დასავალი არავინ იცოდა - არც რომელიმე კლუბში მუშაობდა და აღარც ვეტერანთა მატჩებში მონაწილეობდა. არადა, 90-იანი წლების „დინამოს“ ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურა იყო.

ახლა ბერაძე „დინამოს“ დაუბრუნდა და „დინამო 2“-ის ადმინისტრატორად დაინიშნა. გადაწყვეტილება კლუბის ტექნიკურმა დირექტორმა **მურთაზ შელიამ** მიიღო. ცხადია, ახალი ხელმძღვანელების მისვლის შემდეგ, „დინამოში“ კიდევ ბევრი საკადრო ცვლილებაა მოსალოდნელი.

კლუბს დაუბრუნდა **რამაზ მუმლაძეც** - „ვიტ ჯორჯიას“, ქუთაისის „ტორპედოსა“ და რუსთავის „ოლიმპის“ ყოფილი დამრიგებელი ამიერიდან დუბლშემადგენლობასთან იმუშავებს. ბატონი რამაზი „დინამოში“ წლების წინაც მუშაობდა, წვრთნიდა „დინამო 2“-ს და რამდენიმე წელი მთავარი მწვრთნელის ასისტენტიც იყო.

მერაბ მამულაშვილი

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გეზდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ინტერვიუ

გიორგი სეთურიძის რეალობა ტორპედოა

ქუთაისის „ტორპედოში“ გიორგი სეთურიძე ჩაირიცხა. „განჯას“ ნახევარმცველმა ქუთაისურ კლუბთან 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

გერმანიის მეორე ბუნდესლიგის ”კარლ ცაისიდან“ „ოლიმპში“ დაბრუნებული ნახევარმცველი ვერც წარმოიდგენდა, მალე რუსთავული კლუბის დატოვება და აზერბაიჯანში ნასვლა თუ მოუხდებოდა. ეს მისი სურვილი არ ყოფილა, მაგრამ, როგორც ამბობს, სხვა გზა არც ჰქონდა.

- აზერბაიჯანში წასვლა არ მსურდა, მაგრამ ჩემპიონატი “ოლიმპში” დავიწყე, თამაშები ჩავატარე და უცებ გუნდიდან გამიშვეს. ამ დროს მიმიწვია ბაქოს “სტანდარდმა”. რომ არა ასეთი გამოუვალი მდგომარეობა, აზერბაიჯანში არც ნავიდოდი, ნაკრების კანდიდატად ვითვლებოდი და ვიცოდი, კუპერი ამ ქვეყნის ჩემპიონატიდან არავის იწვევდა, მაგრამ უთამაშებლადაც ვერ დავრჩებოდი. “სტანდარდის” მწვრთნელ ვალდას ივანაუსკასს კი გერმანიიდან ვიცნობდი და მის წინადადებას ამიტომ დავთანხმდი.

- აზერბაიჯანიდან საკუთარი სურვილით წამოხვედი, თუ მართლა ტრანსფერზე დაგაყენეს, როგორც თავად დაწერეს?

- ტრანსფერზე ჩემი მოთხოვნის შემდეგ დამაყენეს. რაც უნდათ, დაწერონ, დარჩენა შემეძლო, მაგრამ ეს აღარ მინდოდა.

- კონტრაქტის გაწყვეტაში დიდ თანხას ითხოვდნენ?

- განსაკუთრებულს არაფერს. მთავარია, რომ “ტორპედომ” გამომისყიდა და საქართველოში დავბრუნდი. აზერბაიჯანში ჩვენს კლუბებზე დიდი ბიუჯეტები რომ აქვთ, ყველამ იცის. თუმცა, მიზეზთა გამო იქ გაჩერება აღარ შემეძლო. ამ ეტაპზე კი საქართველოში თამაში ჩემთვის მისაღებია. ყველაზე მტკივნეული ის იყო, რომ ნაკრების კანდიდატის სტატუსიც დავკარგე. არადა, კუპერის დროს ვითამაშე და ვფიქრობ, მატჩები არ ჩამიგდია, აზერბაიჯანში მყოფს კი ყურადღებას არავინ მაქცევდა.

- არავინ ამბობს, რომ იქ ჩვენზე დაბალი დონის პირველობა აქვთ, მაგრამ აქსიომასავით დამკვიდრდა, რომ აზერბაიჯანში წასული სანაკრებო მოტივაციაზე მაღლა ფინანსურ მდგომარეობას აყენებს - ეს უკვე ფონს ქმნის.

- საქმეს სხვაგვარად შევხედოთ - ჩვენზე უკეთესი ჩემპიონატია და, ცხადია, პირობებიც უკეთესი აქვთ. საქართველოში თუ ოთხი ძლიერი და მდიდარი კლუბია, იქ ასეთი რვაა. კლუბებმა ზაფხულში ტრანსფერებზე 4, 5 და 6 მილიონი ევროც კი დახარჯეს. აბა, ამდენი ფული წყალში ხომ არ გადაიყრება, ძლიერ ლეგიონერებში დიდ ფულსაც იხდიან. მაგალითად, “ნეფთჩიში” საშუალო ხელფასი 250 ათასი დოლარია, ზოგს 800 ათასიც აქვს. ასეთი ვითარებაა კიდევ შვიდ კლუბში. მეორე ბუნდესლიგაში კი საშუალო ხელფასი 150-200 ათასი ევროა, მინუს დაქვითვები და ესეც კარგ ხელფასად ითვლება. ცხადია, დონეებს არ ვადარებ, გერმანიაში ბევრად უკეთესი ფეხბურთია.

- აზერბაიჯანში უცხოელების მიმართ გარკვეული აგრესია შეინიშნება.

- შეიძლება, რადგან ჩასული ადგილობრივზე მეტს იღებს და იღვიძებს ცნობილი ფსიქოკომპლექსი - რატომ იმას და არა მე? აგრესიაა ცხადაძის მიმართაც, მაგრამ ეს კაცი აზერბაიჯანის გამორჩეული მწვრთნელია და პირველივე სეზონში “ინტერი” გააჩემპიონა. კახას კარგად ეხერხება ფეხბურთელების შერჩევა, მათთან მიდგომა და, თუ ფეხბურთელი ხარ გათამაშებს, თუ არა და, ფოკუსებს ვერ ჩაატარებს. ჩემი აზრით, “ინტერი” აზერბაიჯანში ყველაზე თანამედროვე ფეხბურთს თამაშობს. მაგრამ ადგილობრივებს რომ უშვებს და ქართველები ჩაჰყავს, ეს აღიზიანებთ.

- ვიცი, რომ ზაფხულში “კარლ ცაისში” დაბრუნებას გთავაზობდნენ.

- ეს კლუბი ახლა მესამე ბუნდესლიგაშია, მაგრამ მაინც ჩავედი და მათაც სურდათ ჩემი შემატება, მაგრამ სამუშაო ვიზა არ მომცეს. იმის მიუხედავად, რომ მეუღლე გერმანელი მყავს, არანაირი შეღავათი არ გამოვიდა. გერმანიაში სამი თვე უნდა იცხოვრო, სხვაგვარად ვიზას არ მოგცემენ.

- ხალხი ამაზე ოცნებობს და დარჩენილიყავი.

- წასვლა ნებისმიერ დროს შემიძლია, მაგრამ სამი თვე ვერ გავჩერდებოდი, რადგან უკონტრაქტოდ ვარჯიშის უფლებაც არ მაქვს.

- “ოლიმპსა” და “დინამოში” გიწვევდნენ, შენ კი ქუთაისის “ტორპედო” ამჯობინე.

- „ოლიმპში“ ვივარჯიშე კიდეც, მაგრამ ქუთაისიდან კონკრეტული წინადადება მივიღე და ეს იყო მიზეზი.

მერაბ მამულაშვილი

დსთ-ის თასი

კახა ცხადაძე

სომხურ-აზერბაიჯანული ხათაბალა და ქართველები

კახა ცხადაძე მაგბარ შარშია

გუშინ პეტერბურგში “თანამეგობრობის თასის” ჯგუფური ეტაპის მატჩები ისეთი შედეგებით დამთავრდა, მისი ორგანიზატორები საგონებელში ჩავარდნენ - ბაქოს „ინტერმა“ მოლდოვური „ისკრა-სტალი“ 1:0 დაამარცხა, ჯგუფური ეტაპი უდანაკარგოდ და გოლგაუშვებლად, პირველ ადგილზე დაასრულა და შემდეგ ეტაპზე გავიდა.

მეოთხედფინალში აზერბაიჯანის ჩემპიონის მეტოქე ერევნის „მიკა“ იქნება, რომელმაც უზბეკეთის ჩემპიონ „ბუნიოდკორს“ 3:1 მოუგო, ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა და ასე შედგა ტურნირის ორგანიზატორებისთვის ყველაზე უსიამოვნო მეოთხედფინალური წყვილი - აზერბაიჯანის ჩემპიონი ბაქოს “ინტერი” და სომხეთის წარმომადგენელი ერევნის “მიკა” ერთმანეთს დღეს დაუპირისპირდებიან.

ამ ორი ქვეყნის ურთიერთობებიდან გამომდინარე, რუსეთის ჩრდილოეთ დედაქალაქში “ინტერი”—”მიკას” მატჩს დაძაბულნი ელიან. ცხადია, რთული მატჩი იქნება და ტურნირის ორგანიზატორებს უსაფრთხოებაზე განსაკუთრებული ზრუნვა მოუწევთ.

აზერბაიჯანულ ფორუმებზე ერთი ამბავია ატეხილი და ასეთ კომენტარებსაც გავეცანით:

“ჩვენთვის სომხებთან ფეხბურთიც პოლიტიკაა და თუ ფეხბურთელები ამის მნიშვნელობას ვერ აცნობიერებენ, ცხადაძის მეთაურობით კლუბიდან ყველა გავაგდოთ”.

„თუ “ინტერი” ამ ბარიერს ვერ გაივლის, გუნდი მოსკოვშივე უნდა დაიშალოს და ფეხბურთელები ბაქოში არ ჩამოვუშვათ“.

ვარაუდი, რომ სომხური კლუბი მატჩზე უარს იტყოდა, არ გამართლდა. „მიკას“ ვიცე-პრეზიდენტმა **ედუარდ მარქაროვმა** განაცხადა, რომ გუნდი მოედანზე აუცილებლად გავა. საქმე ისაა, რომ „თანამეგობრობის თასზე“ სომხურ-აზერბაიჯანული კლუბები წილისყრამ ადრეც დააწყვილა, მაგრამ ერთ-ერთმა მხარემ თამაში არ ისურვა.

ეს მატჩი ჩვენთვის იმადაც არის საინტერესო, რომ „ინტერის“ მთავარი მწვრთნელი **კახა ცხადაძეა**, რომელსაც **გიორგი ჩიხრაძე** ეხმარება. გუშინ მოლდოველების წინააღმდეგ **გიორგი ლომაიამ, ვალერი აბრამიძემ** და **ბაჩანა ცხადაძემ** ძირითადში ითამაშეს, **ილია კანდელაკი** შეცვლაზე შევიდა, მხოლოდ **დავით ოდიკაძეს** არ უთამაშია.

მეოთხედფინალში კიევის „დინამო 2“-იც გავიდა, რომლის შემადგენლობაშიც რუსეთის ახალგაზრდული ნაკრების წინააღმდეგ **თემურ ფარცვანიამ** შეუცვლელად ითამაშა.

მერაბ მამულაშვილი

U17

ურეკი ესპანეთამდე

გუშინ ვწერდით, რომ ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდში გასული საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები 21 და 25 თებერვალს ესპანელ თანატოლებთან ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს. ამ საკონტროლო შეხვედრებამდე ჩვენი ჭაბუკები მოსამზადებელ ეტაპს შავიზღვისპირეთში გაივლიან. **კობა ჟორჟიკაშვილის** გუნდი 20 იანვრიდან 2 თებერვლამდე ურეკში მოემზადება. შეგახსენებთ, რომ 17-წლამდელთა თავკაცის თანაშემწე **გოჩა ავსაჯანიშვილია**, მეკარეების მწვრთნელი კი **რამაზ სოლოღაშვილი**. ურეკის შეკრებისთვის ჟორჟიკაშვილმა 24 ფეხბურთელი შეარჩია:

მეკარეები: **ნიკა სანდოხაძე** (დინამო), **კონსტანტინე ღაღანიძე** (ოლიმპიკი), **ლაშა კვარაცხელია** (ლოკომოტივი);

მცველები: **გიორგი ფანცულაია** (ოლიმპი თბ.), **გურამ სამუშია, ცოტნე სამუშია, ავთანდილ ენდელაძე** (ყველა - ბაია), **თემურ მარკოზაშვილი** (მერანი თბ.), **ნიკა კაჭარავა** (დინამოს აკადემია), **გიორგი სარჯველაძე** (35-ე საფეხბურთო სკოლა), **დარი ცნობილაძე** (ოლიმპი რუსთ.);

ნახევარმცველები: **ნიკა დიასამიძე** (ბათუმი), **შოთა ბინჯინაშვილი** (ოლიმპი რუსთ.), **სულხან კახიძე** (ქობულეთი), **გაბრიელ თებიძე, ბაჩო მიქავა** (ორივე - ოლიმპი რუსთ.), **გიორგი ბერაია** (მერანი მარტ.), **დავით მთივლიშვილი, სანდრო ჭილვარია** (ორივე - 35-ე საფეხბურთო სკოლა);

თავდამსხმელები: **გოგი გოგიჩაიშვილი** (ტორპედო ქ.), **ცოტნე მონიავა** (მერანი მარტ.), **ზურაბ ღირდალაძე** (ზესტაფონი), **შალვა ექვთიმიშვილი, ბუდუ ზივზივაძე** (ორივე - 35-ე საფეხბურთო სკოლა).

ურეკიდან დაბრუნების შემდეგ ბიჭები მცირე ხნით თავიანთ კლუბებს დაუბრუნდებიან. ესპანეთში გამგზავრებამდე, თებერვლის შუა რიცხვებში კი თბილისში ერთკვირიან შეკრებას გაივლიან.

დავით ცაბაძე

ეროვნული ჩემპიონატი. სამზადისი

ბეგლარიშვილი ოლიმპში?

რუსთავის “ოლიმპი” მალე ანთალიაში გაემგზავრება შეკრებაზე. კლუბში გასაჯაროებით ხუთი ახალგაზრდა ფეხბურთელი მიიწვიეს. ჩემპიონის მთავარი მწვრთნელი **თორნიკე მაისურაძე** ხუთივეს თურქეთში დააკვირდება.

მთავარი სიახლე კი ისაა, რომ შესაძლოა, “ოლიმპმა” საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატი **ზაქარია ბეგლარიშვილი** დაიმატოს, რომელიც ამჟამად ტალინის “ფლორაში” ირიცხება. კლუბის დამფუძნებელმა **მამუკა გუგეშაშვილმა** გვითხრა, რომ მოლაპარაკება დაწყებულია და თუ ესტონური კლუბი ქართველის იჯარას დათანხმდა, ბეგლარიშვილი “ოლიმპს” ანთალიაში შეუერთდება.

საინტერესოა, რომ ბეგლარიშვილს პეტერბურგში, “თანამეგობრობის თასზე” ესტონელთა შემადგენლობაში არ უთამაშია.

მერაბ მამულაშვილი

ვიტესელებმა სტუდენტები ამეცადინეს

სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადებისას „ვიტ ჯორჯია“ აქამდე მხოლოდ ვარჯიშით შემოიფარგლებოდა, გუშინ კი „ავაზას“ სპორტკომპლექსში „ვეტერინარებმა“ პირველი ამხანაგური შეხვედრა გამართეს. **მერაბ კოჭლაშვილის** გუნდმა სტუ 2:0 დაამარცხა. ორივე გოლი შესვენებამდე გავიდა და ორივეში **ბექა ზაქრაძე** მონაწილეობდა - ჯერ გაატანინა, მერე კი თავად შეაგდო. მე-3 წუთზე **ბესიკ ჩიმაკაძემ** სწორედ მისი გადაცემით გახსნა ანგარიში. 45-ზე კი **გიორგი ჯანელიძისა** და **გიორგი კორიფაძის** კომბინაცია ზაქრაძემ დააგვირგვინა.

შესვენებაზე მწვრთნელებმა შეცვლებს მიმართეს. მეორე ნახევარიც ვიტელთა უპირატესობით წარიმართა, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა.

ვიტელთა შემადგენლობები ასეთი იყო:

პირველ ტაიმში: **მიქაბერიძე - ბეჭვაია, კასრაძე, ადამაძე, ჭანკვეტაძე - მაისაშვილი, ვასაძე - კორიფაძე, ჯანელიძე, ზაქრაძე - ჩიმაკაძე.**

მეორე ტაიმში: **მიქაბერიძე - ხურცილავა, კასრაძე, გოგიაშვილი, ღანიაშვილი - დვალაშვილი, დვალაშელიძე - როსტიაშვილი, გიორგი გურეშიძე, ჯუღელი - გაბრიჭიძე.**

„ვიტ ჯორჯია“ 22 იანვარს ორი კვირით მოსამზადებელ შეკრებაზე თურქეთში გაემგზავრება, მანამდე კი თბილისში კიდევ ერთ საკონტროლო შეხვედრას ჩაატარებს.

დავით ცაბაძე

ლეგიონერები

ჯანო და ქართველები ფრეზე გაიყარნენ

საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის „სპარტაკის“ ნახევარმცველი **ჯანო ანანიძე** კლუბთან ერთად თურქეთშია მოსამზადებელ შეკრებაზე. რუსთა „სახალხო გუნდმა“ გუშინ პირველი საკონტროლო მატჩი გამართა კიშინიოვის „დაჩიასთან“, რომელშიც ქართველებიც ირიცხებიან. შეხვედრა 1:1 დასრულდა. მატჩი სამმა ჩვენებურმა დაიწყო. ანანიძე პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალეს, მცველმა **დავით გამეზარდაშვილმა** და ნახევარმცველმა **ლევან კორღალიძემ** კი სრულად ითამაშეს. ანგარიში მე-13 წუთზე კორღალიძემ პენალტით გახსნა, მოსკოველებმა კი წონასწორობა შესვენების შემდეგ აღადგინეს. მოლდოვურ კლუბში არ უთამაშიათ მცველ **მამუკა ლომიძესა** და თავდამსხმელ **ვასილ ღუჭაშვილს**.

ჯანოს გუნდი მომდევნო საკონტროლო შეხვედრას 20 იანვარს ავსტრიულ „რედ ბულთან“ ჩაატარებს.

დავით ცაბაძე

ბურთით ლევან კორღალიძე

ტორპედო

ქუთაისში წითლებმა მწვანეზე გაიარეს

ანთალიაში გამგზავრებამდე საღორიის სანვრთნელ ბაზაზე ქუთაისის „ტორპედომ“ ორმხრივი თამაში ჩაატარა.

„წითლებში“: ქვილითაია, მაჭავარიანი, სეთურიძე, ბაკურაძე, ლომაშვილი, დიღმელაშვილი, ჩხეტიანი, მაისურაძე, დათუნაიშვილი, კემუხტაშვილი, საბანაძე.

„მწვანეებში“: მიგინეიშვილი, ფოფხაძე, ფარულავა, თოდუა, გურული, დოლიძე, კირკიტაძე, თარხნიშვილი, გუგუჩია, მეგრელაძე, გოცირიძე.

კლუბის პრესსამსახურის ცნობით, უხვგოლიან თამაშში „წითლებმა“ 7:3 გაიმარჯვეს.

გამარჯვებულთაგან თავი გამოიჩინეს **კემუხტაშვილმა (4), დათუნაიშვილმა, საბანაძემ** და **მაისურაძემ**, „მწვანეებიდან“ კი **გოცირიძემ** (2) და **ფარულავამ** გაიტანეს. 43-ე წუთზე „მწვანეების“ თავდამსხმელმა **მეგრელაძემ** პენალტი ვერ გამოიყენა - მან ბურთი კარს ააცილა.

მიზეზთა გამო, მატჩი გამოტოვეს **გიგაურმა, ქებაძემ, ჩიკვილაძემ** და **კვარაცხელიამ.**

ქუთაისელები დღეს დაისვენებენ, ხვალ ისევ ქუთაისში ივარჯიშებენ, ზეგ კი ანთალიაში გაემგზავრებიან.

მერაბ მამულაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

ვესტ ჰემში

ასე ჩავარდა ჩაქუჩი ნაცარში

მარტინ ო'ნილმა „ვესტ ჰემს" **ავრამ გრანტის** შეცვლაზე უარი უთხრა. „ასტონ ვილას" ყოფილმა თავკაცმა მკაფიოდ განმარტა, რომ ლონდონელების ახლანდელი მწვრთნელისთვის „ზურგში დანის ჩარტყმა" არ სურს, ასე რომ, „ჩაქუჩებს" პრემიერლიგაში დარჩენისთვის ბრძოლა ძველი ხელმძღვანელის რჩევა-დარიგებებით მოუწევთ. თავის მხრივ, არც გრანტს ეტყობა წამსვლელის რამე - „ლივერპულს" **ჯო კოულზე** ევაჭრება. მოგეხსენებათ, გრანტი და კოული „ჩელსიში" გატარებული დღეებიდან ცნობენ ერთმანეთს და როგორც ამბობენ გარიგებასთან ახლოსაც არიან. „ვესტ ჰემის" თავკაცი ფიქრობს, რომ კოული მერსისაიდელთა ახალი თავკაცის, **კენი დალგლიშის** სტილსა და გემოვნებას ვერ უნდა აკმაყოფილებდეს. „აპტონ პარკის" საქმეებში ჩახედულმა მავანმა თქვა:

„რასაკვირველია, ბოლო დღეებში რთულად გადასატანი ამბები მოხდა, მაგრამ ავრამი მაინც ჩვეულებრივად აპირებს მუშაობის გაგრძელებას. რაც შეეხება ჯო კოულს, მას კვირას, ლივერპულის დერბიში არ უთამაშია... იცით, როდესაც ავრამი „ჩელსიდან" გაუშვეს, ჯომ მეტად ემოციური და გულწრფელი მესიჯი გაუგზავნა. ამ მესიჯში ეწერა, რომ მას გრანტთან თანამშრომლობა ძალიან სიამოვნებდა და გული წყდება ის, რომ გაუშვეს".

ამგვარად, ო'ნილის პასუხმა „ვესტ ჰემის" პატრონები საგონებელში ჩააგდო. მოგეხსენებათ, მათ მტკიცედ ჰქონდათ დასახული, რომ თუ გუნდი „არსენალთან" დიდი ანგარიშით დამარცხდებოდა, გრანტს გაუშვებდნენ და ირლანდიელს მიიყვანდნენ. „ვესტ ჰემი" „არსენალთან" 3:0 დამარცხდა, ო'ნილმა კი განაცხადა, რომ კოლეგის გაგდებაში, პირდაპირ თუ ირიბად, მონაწილეობას არასდროს მიიღებს. „ლელოს" მკითხველებმა იციან, რომ „ვესტ ჰემის" დირექტორატს სათადარიგო ვარიანტად „ბლექბერნიდან" ამას წინათ გაგდებული **სემ ელერდაისი** ჰყავდათ შეგულებული, მაგრამ, როგორც ჩანს, კოლეგიალობის გამო მანაც უკან დაიხია. თუმცა შეიძლება, დღეს „ვესტ ჰემის" გადარჩენა უკვე შეუძლებლად ეჩვენებათ და იმიტომაც იკავებენ თავს.

ო'ნილთან დაახლოებულმა პირმა „სანს" უთხრა: *„ასეთ პირობებში მარტინი საქმეს ხელს ვერ მოჰკიდებდა. იგი „ვესტ ჰემს" ძალიან დიდ პატივს სცემს და სამსახურიც სჭირდება, მაგრამ ასეთი, არა".*

კოლეგის დასაცავად ხმა აიმაღლა „ვულვზის" მწვრთნელმა **მიკ მაკარტიმაც**, რომელმაც განაცხადა, რომ ისე, როგორც „ვესტ ჰემი" გრანტს, კლუბი მწვრთნელს არ უნდა ექცეოდეს. მაკარტიმ თქვა:

„ეს უსამართლობა იქნება გრანტის, ფეხბურთელების და ყველას მიმართ. მუდმივი მუქარის ქვეშ ყოფნა ნამდვილად ვერ აამაღლებს შრომისუნარიანობას და უკეთეს შედეგს ვერ მოიტანს".

მერედა, გრანტმა საკუთარი მწარე გამოცდილებიდან იცის, რომ სამსახურიდან გაშვების შემდეგ კლუბები პირობას არ ასრულებენ. მას მერე, რაც 2008 წლის აგვისტოში „ჩელსიდან" გააგდეს, ებრაელ მწვრთნელს კუთვნილი თანხის მისაღებად მთელი ორი წელიწადი დასჭირდა. თუმცა დავუბრუნდეთ მიკ მაკარტის, რომელმაც თქვა, რომ რაგინდ რთულ დღეში იყოს „ვესტ ჰემი", გრანტის შემდეგ მაინც გამოჩნდება მწვრთნელი, რომელიც გუნდის გადარჩენას შეეცდება:

„დარწმუნებით, როდესაც სკამი გამოჩნდება, მის დასაკავებლად რიგი აქედან აბერდინამდე დადგება. არ გეგონოთ, რომ დღევანდელი უხერხულობის გამო ხალხი მომავალშიც თავს შეიკავებს".

ჩახლართული ტრანსფერი

ფანებს კი ყბა ჩამოუვარდათ

ორშაბათ საღამოს **დარენ ბენტი** „მიდლენდ ოტელში", „სანდერლენდიდან" „ასტონ ვილაში" გადასვლის ნებართვას ელოდებოდა. ამ მოულოდნელი ტრანსფერის ღირებულება 24 მილიონი ფუნტია. სანდერლენდელი ცნობამ ბენტისა და „ვილას" შესახებ სანდერლენდელი გულშემატკივარი პირღია დატოვა. ვინ წარმოიდგენდა, რომ კვირას ჩრდილო-აღმოსავლურ დერბიში „ნიუკასლისთვის" ქულის ხელიდან ბოლო წამს გამოზრდლვნის შემდეგ, გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი წასვლაზე იფიქრებდა... თან მეორე დღესვე.

მეორე დღეს კი არა, იმ მომენტიდან, როდესაც **ასამოამ** „კაჭკაჭებს" გოლი შეუგდო („სთედიუმ ოფ ლაითზე" მოქარბებული ემოციისგან, აქა-იქ ჩხუბიც კი ატყდა) სულ ორი საათი იქნებოდა გასული ბენტმა კლუბის ოფისში განთავისუფლების თხოვნა რომ მიიტანა. ცნობილი გახდა, რომ „ასტონ ვილას" ამერიკელი მეპატრონე **რენდი ლერნერი** ბენტის სანაცვლოდ ბირმინგემული კლუბისთვის სარეკორდო თანხის გადახდას აპირებს. აქამდე „ვილას" რეკორდი 12 მილიონი ფუნტი გახლდათ, რომელიც კლუბმა თავის დროზე **ჯეიმს მილნერში** გადაიხადა.

როგორც ჩანს, ამ ეტაპზე ლერნერი „ვილას" მწვრთნელს **ჟერარ ულიეს** უჯერებს ყველაფერს. უფრო სწორად, სატრანსფერო პოლიტიკას მთლიანად ულიე წარმართავს ლერნერი კი ეთანხმება და აფინანსებს. ბირმინგემელებმა ახლახან „ლიონისგან" ნახევარმცველი **ჟან მაკუნი** იყიდეს და ახლა ბენტს მიადგნენ, რომლის ტრანსფერსაც „სანდერლენდის" თავმჯდომარემ **ნილ ქულინმა** და მწვრთნელმა **სტივ ბრუსმა** ბეჭედი დაასვეს. თანხა, რომელზეც მხარეებმა თავდაპირველად მოილაპარაკეს, 19 მილიონი ფუნტი გახლდათ, თუმცა მთელი რიგი „წვრილმანების" დამატებითა და გათვალისწინებით ის ზემოხსენებულ 24 მილიონამდე ავიდა.

26 წლის ბენტმა, რომელიც გასულ სეზონში მთელი ჩრდილო-აღმოსავლეთის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს (ასეთი გამოკითხვაც ტარდება), აგვისტოშიც სცადა „სანდერლენდის" დატოვება, ოღონდ მაშინ „ასტონ ვილა" კი არ ეპატიჟებოდა, არამედ თურქული „გალათასარაი" და „ფენერბაჰჩე" სთავაზობდნენ გვარიან გასამრჯელოს. მაშინ სანდერლენდელებმა თავდამსხმელი დაიყოლიეს და თურქეთში წასვლა გადაათქმევინეს, მაგრამ, როგორც კი „ვილა პარკზე" ოთხწლიანი კონტრაქტის ვარიანტი გამოჩნდა, ბენტმა უარი ველარ თქვა. ცნობისთვის: „ასტონ ვილაში" დარენ ბენტი მის ახლანდელ ხელფასზე, კვირაში 35 ათას ფუნტზე ორჯერ მეტს მიიღებს.

უთავდამსხმელოდ დარჩენილი ბრუსი კი დაუყოვნებლივ დაიწყებს გამოსავლის ძიებას. „სანდერლენდის" თავკაცს, რასაკვირველია, უკვე სიაც აქვს შედგენილი და ამ სიაში პირველ ნომრად რუსი **რომან პავლიუჩენკო** უწერია. პავლიუჩენკო, მოგეხსენებათ, „ტოტენჰემის" ფეხბურთელია, „ტოტენჰემს" კი მისი გაყიდვა არ უნდა, თავიდან **რობი კინის** მოშორება ურჩევნია. ერთი სიტყვით, **ჰარი რედნაპი** ბრუსს კინის ყიდვას ურჩევს, მით უფრო, რომ ამ ირლანდიელი ფეხბურთელის „ბირმინგემ სიტიში" გადასვლა ჩაიშალა - მოთამაშემ მეტისმეტად დიდი ხელფასი მოითხოვა, ასე რომ, ის კვლავ „დახლზეა". გარდა ამისა, „სანდერლენდს" „ტოტენჰემის" ფული მართებს - ბენტი სწორედ იქიდან ჰყავს ნაყიდი და თანხა ჯერ არ გაუსტუმრებია...

სკანდალის კვალდაკვალ

ხულიგანი ნიუკასლის კარზე

„სანდერლენდის" ფანი, რომელიც კვირას, ტაინის და უეარის დერბის ბოლო წუთზე მოედანზე ჩახტა და „ნიუკასლის" მეკარე **სტივ ჰარპერს** ხელი ჰკრა, მამამისმა ბოდიშის მოსახდელად „კაჭკაჭთა" საწვრთნელ ბაზაზე მიიყვანა. გაირკვა, რომ ყმაწვილს ჰქვია **როს მილერი** და 17 წლისა გახლავთ. მამამისს, სატვირთო მანქანების 42 წლის მძღოლ **გერის,** შვილის „ვაჟკაცობის" ამბის შეტყობის შემდეგ აღშფოთებისგან ღამე არ სძინებია. ბარემ აქვე შეგახსენებთ მთავარ ამბავსაც: ჩრდილო-აღმოსავლეთის დერბიში „ნიუკასლი" იგებდა, მაგრამ მასპინძელმა „სანდერლენდმა" ბოლო წამს ანგარიშის გათანაბრება მოახერხა, რამაც სტადიონზე დიდი ემოცია გამოიწვია. ემოციას აქა-იქ ჩხუბი და ტრიბუნებიდან სკამების აძრობაც მოჰყვა, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც როს მილერი გადაირია - მოედანზე ჩახტა და ჰარპერს თავს დაესხა. შეხვედრის დასრულების შემდეგ „ნიუკასლის" კაპიტანმა **კევინ ნოლანმა** ხულიგნის ამოცნობა და მისთვის სტადიონებზე სიარულის სამუდამოდ აღკვეთა მოითხოვა.

სანდერლენდსა და ნიუკასლს შორის სულ 17 კილომეტრია, ასე რომ, გერი მილერს ვაჟის „იუნაიტედის" საწვრთნელ ცენტში მოყვანა არ გასჭირვებია, მაგრამ, სამწუხაროდ, ფეხბურთელები არ დახვდნენ - ტურის შემდეგ დასვენების დღე იყო. ერთი სიტყვით, როს მილერისა და ჰარპერის შეხვედრა არ შედგა, მაგრამ მამამ ვაჟი კლუბის ოფისში ხელმძღვანელებთან შეიყვანა და მათთვის მოახდევინა ბოდიში. გერი მილერმა ტაბლოიდების ჩასაფრებულ რეპორტიორებს უთხრა:

„ჩვენ ერთად ვიყავით სტადიონზე, მაგრამ „სანდერლენდმა" გოლი რომ გაიტანა, 50 ათასი კაცი გიჟივით წამოხტა, საყოველთაო ზეიმი მოეწყო და... ყველაფერი რომ დაწყნარდა, როსი ველარ ვიპოვე. გავიხედე მოედნისკენ და რას ვხედავ - იქ არის. თვალებს არ ვუჯერებდი. გამოვედევნე, მაგრამ რას ჩავასწრებდი - დაიჭირეს და გაიყვანეს".

სტადიონიდან მილერი-უმცროსი პოლიციის განყოფილებაში წაიყვანეს და მხოლოდ საღამოს 11 საათზე გამოუშვეს, ისიც თავდებით. ამრიგად, 17 წლის საფეხბურთო ხულიგანმა გისოსებს მიღმა 5 საათი გაატარა. მამა-გერიმ კიდევ ასე თქვა:

„ადრე არანაირ, კონფლიქტი არ გვქონია. ბოდიშის მოხდაც თავად როსის იდეა იყო. მერწმუნეთ, ის ხულიგანი არ არის, ეს უბრალოდ სიგიჟის წუთები იყო".

საინტერესოა, რომ მილერების ოჯახი თვით სანდერლენდიდანაც კი არ არის, ისინი სპენიმურიდან გახლავან - სანდერლენდიდან ეს 32-ათასიანი ქალაქი 27 კილომეტრშია. ხულიგანმა როსმა თქვა:

„დედაც ძალიან შეწუხდა. ვგრძნობ, რომ ჩემი საქციელით ყველა ცუდ დღეში ჩავაგდე. მე მათ ვულალატე".

იმ დღეს ჩრდილო-აღმოსავლეთის პოლიციამ 33 ადამიანი დაიჭირა. ტაბლოიდებს „ნიუკასლ იუნაიტედის" მავანმა თანამშრომელმა უთხრა: *„ეს ბიჭი გულწრფელად შეწუხებული ჩანდა. ამაზე მეტი მონანიება მე ვერც კი წარმომიდგენია. მისი მოსვლის შესახებ სტივსაც შეატყობინეს. მას და მთელ ჩვენს კლუბს ამ ისტორიის დასრულება სურს".*

ამ[illegible]

სიტ[illegible] სჯობია

მარიო ბალოტელი ამტკიცებს, რომ „მანჩესტერ სიტის" თავდამსხმელთა ტრიო „ბარსელონასას" სჯობს. „ინტერის" ყოფილი მოთამაშე **კარლოს ტევესს, ედინ ჯეკოსა** და, რასაკვირველია, საკუთარ თავს გულისხმობს. ბალოტელიმ ჟურნალისტებს უთხრა:

„ნუთუ, თქვენ ბალოტელის, ტევესისა და ჯეკოს სამეული თვალში გეპატარავებათ? მე, მაგალითად, უფრო ძლიერი თავდასხმა მსოფლიოში არ მეგულება. გულწრფელად გეუბნებით, ჩვენზე კარგი თავდასხმა არც „რეალს" ჰყავს და არც „ბარსელონას".

ამის შემდეგ თამამი ქცევითა და სიტყვით ცნობილმა აფროიტალიელმა კიდევ ერთი სენსაციური განცხადება გააკეთა - ჩემს ინტერის დროინდელ თავკაცს, **ჟოზე მოურინიოს** ჯერ გაზრდა სჭირდებაო.

„როგორც მწვრთნელი, მოურინიო მსოფლიოში საუკეთესოა, მაგრამ როგორც ადამიანს სხვათა პატივისცემა და ზრდილობიანი ქცევა ჯერ კიდევ სასწავლი აქვს. რაც შეეხება რობერტო მანჩინის, ის ჩემი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი საფეხბურთო ფიგურაა. მალე მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელი სწორედ ის გახდება. როგორც კაცი, ის მოურინიოს ათი კილომეტრით უსწრებს".

და თქვენ გგონიათ, რომ ბალოტელიმ მოურინიოს ლანძღვა იკმარა? მან „ოქროს ბურთის" ლაურეატ **ლეო მესისაც** გაჰკრა კბილი:

*„მესი საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულს არ იმსახურებდა. „ოქროს ბურთი" **ვესლი სნეიდერისთვის** უნდა მიეცათ".*

ავი სიტყვა იტალიის პრემიერ-მინისტრმა **სილვიო ბერლუსკონიმაც** დაიმსახურა. მიზეზი: მან თქვა, რომ საუკეთესო იტალიელი ფეხბურთელი **ანტონიო კასანოა.**

„როგორც ჩანს, ბერლუსკონი მარიო ბალოტელის კარგად არ იცნობს, თორემ ასე უხეშად არ შეცდებოდა" - თქვა თავხედმა ყმაწვილმა.

კენიმ უნდა გააგრძელოს

სტივენ ჯერარდი იმედოვნებს, რომ **კენი დალგლიში** „ლივერპულის" სათავეში დიდხანს დარჩება. მოგეხსენებათ, მერსისაიდელთა დიდი კლუბის 59 წლის ლეგენდას, რომელმაც თანამდებობაზე **როი ჰოჯსონი** შეცვალა, კონტრაქტი ჯერჯერობით სეზონის ბოლომდე აქვს გაფორმებული. ჯერარდმა თქვა:

„ყველაფერს ვილონებ, რომ ის აქ გაცილებით მეტხანს დარჩეს, ვიდრე კონტრაქტით ნაჩვენები 6 თვეა. ნეტავ, სეზონის ბოლოს კარგი შედეგები გვქონდეს, რათა დალგლიში თანამდებობაზე დატოვონ. ჩემი მოკლევადიანი გეგმაც სწორედ ეს გახლავთ - მინდა დალგლიში თანამდებობაზე დავტოვო. არ გატყუებთ, როდესაც კენიმ დარეკა და თქვა, რომ ჩვენს მწვრთნელად ბრუნდება, გულს მომეშვა. ძალიან გამიხარდა. მე კენის, როგორც ადამიანს, ძალიან დიდ პატივს ვცემ და მისი ხელმძღვანელობით მუშაობა ძალიან მომწონს".

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

● სერია A. ტურის შეჯამება

სიმბოლური, გმირი, მხსნელი, ანტიგმირი...

XX ტურმა კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ „ინტერმა“ კრიზისი დაძლია და ოპტიმალურ ფორმაში შედის; „მილანი“ ჯერ არ ჰგავს საჩემპიონო გუნდს და თუ ასე გააგრძელა, პირველ პოზიციას მალე დათმობს; „ფიორენტინამ“ სული მოითქვა და ისეთი ჯაბანი აღარ არის, როგორც სეზონის პირველ ეტაპზე; „უდინეზეს“ შესანიშნავი შეტევის ხაზი ჰყავს და თუ ასე გააგრძელეს, გუნდი აუცილებლად იბრძოლებს ევროსაგზურისთვის; „პალერმო“ ჯერ მზად არ არის ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად; რომაულმა გუნდებმა სამ-სამი ქულა მოიპოვეს, მაგრამ სტაბილურობამდე ბევრი უკლიათ; „იუვეს“ ამბავი კი ერთი ღმერთმა უწყის - დანარჩენზე ქვემოთ ვისაუბრებთ.

ტურის სიმბოლური ნაკრები

როზატი (ლეჩე) - ისლა (უდინეზე), კანავარო (ნაპოლი), ანჯელკოვიჩი (პალერმო), მარტინესი (ბრეშა) - ნაინგოლანი (კალიარი), გარგანო (ნაპოლი), ძანეტი (ინტერი) - სანჩესი (უდინეზე), ეტოო (ინტერი), დელ პიერო (იუვენტუსი).

ის, რომ ჩემპიონატის ლიდერმა ერთ-ერთ აუტსაიდერთან თამაშში ორი ქულა დაკარგა, ამაში **როზატის** დიდი წვლილი მიუძღვის. „ლეჩეს“ კიპერმა შესანიშნავად იასპარეზა და სრულიად დამსახურებულად მოხვდა სიმბოლურ ნაკრებში. „უდინეზემ“ კიდევ ერთი წარმატებული გასვლითი პაექრობა გამართა და „ჯენოა“ მისსავე მოედანზე დაამარცხა. ეს გუნდი კონტრშეტევებზე დიდებულად გამოიყურება, რაც თავდამსხმელთა დამსახურებაა. **ანტონიო დი ნატალე** და **ალექსის სანჩესი** მაღალი სისწრაფით გამოირჩევიან და ამასთან, არც ტექნიკა დაენუნებათ. ამჯერად, სანჩესი მოხვდა სიმბოლურ გუნდში და თანაც, მეოთხედ მიმდინარე სეზონში. სამხრეთამერიკელის გვერდით **სამუელ ეტოო** და **ალესანდრო დელ პიერო** უნდა დავაყენოთ - პირველმა დუბლი შეასრულა „ბოლონიასთან“ პაექრობაში, მეორემ კი ბრწყინვალე გოლი გაიტანა საჯარიმო დარტყმით და მთლიანობაში, „ბარისთან“ პაექრობა უმაღლეს დონეზე ჩაატარა. სიმბოლურში მოხვდა **ხავიერ ძანეტიც**, რომელიც „ბოლონიასთან“ პაექრობაში ნახევარდაცვაში ასპარეზობდა და როგორც ყოველთვის, თავი არ დაუზოგავს. ამასთან, სერია A-ში „ინტერის“ მაისურით ჩატარებული შეხვედრების რაოდენობით რეკორდსმენ ჯუზეპე ბერგომის გაუთანაბრდა და რჩეულ ფეხბურთელთა შორის აუცილებლად უნდა მომხვდარიყო.

ტურის გმირი

თავს ვერ დავდებთ, რომ სამუელ ეტოოს გარეშე „ინტერი“ „ბოლონიასთან“ პაექრობაში ქულებს დაკარგავდა, მაგრამ ეს ოდნავადაც არ აფერმკრთალებს კამერუნელის შესანიშნავ ასპარეზობას. ორივე გოლი მეტად ეფექტური გამოუვიდა - ჯერ **დიეგო მილიტოსთან** გათამაშებული კომბინაცია დააგვირგვინა ზუსტი დარტყმით, შემდეგ კი საჯარიმოდან შეაგდო და გულშემატკივრები ალტაცებაში მოიყვანა. ამასთან, საგოლე პასი მიითვალა აქტივში და მესამე გოლშიც ლომის წილი დაიდო. მოკლედ, აფრიკელის მარგი ქმედების კოეფიციენტი ძალიან მაღალი იყო და ნამდვილად დაიმსახურა ტურის გმირის წოდება. თავად ფეხბურთელი მიიჩნევს, რომ „ინტერის“ შთამბეჭდავი გამარჯვება გუნდური თამაშის დამსახურებაა:

„რაც უნდა ძლიერი იყოს ინდივიდუალურად ფეხბურთელი, თუ გუნდური მექანიზმი მოშლილია, დადებით შედეგს ვერ მიაღწევ. ბევრი მირბენია მოედანზე, ცდა არ დამიკლია, მაგრამ არაფერი გამომსვლია. ეს მაშინ ხდება, როდესაც ტაქტიკა-სტრატეგია მთლიანად დარღვეულია. ასე რომ, „ბოლონიასთან“ მოპოვებული გამარჯვება თითოეული ფეხბურთელის და რა თქმა უნდა, მთავარი მწვრთნელის დამსახურებაა. ყველაფერთან ერთად, ლეონარდომ თავდაჯერებულობა და გამარჯვებულის მენტალიტეტი დაგვიბრუნა“.

ტურის გმირი

ტურის მხსნელი

მიმდინარე სეზონში, **ლიბორ კოზაკი** სულ შვიდჯერ გამოჩნდა საფეხბურთო მოედანზე და სამჯერ გამარჯვების გოლი გაიტანა. დიახ, ჩეხი ფორვარდი „ლაციოს“ უკვე არაერთხელ მოევლინა მხსნელის როლში და ასე მოხდა „სამპდორიასთან“ პაექრობაშიც. თამაში ნელ ტემპში მიმდინარეობდა და არაფრით ჩანდა, რომ მასპინძლები სამ ქულას იპოვებდნენ, თუმცა შეხვედრის დასრულებამდე რვა წუთით ადრე თამაშში კოზაკი ჩაერთო და ყველაფერი თავდაყირა დააყენა. **კრისტიან ლედესმას** ჩაწოდებას ჩეხმა თავური დარტყმა მიაყოლა და უმნიშვნელოვანესი გოლი გაიტანა. გასულ ტურში, „მილანმა“ და „ნაპოლიმ“ ქულები დაკარგეს, რამაც რომაელთა სამ ქულას განსაკუთრებული ფასი შესძინა.

კოზაკს იშვიათად უწევს თამაში და არაერთხელ ითქვა იმის შესახებ, რომ „ლაციოს“ მესვეურები მის განათხოვრებას აპირებენ. დასახელდა რამდენიმე კლუბი, მათ შორის ერთ-ერთი კი სწორედ „სამპდორია“ გახლდათ. ვფიქრობთ, მორიგი გაბრწყინების შემდეგ, ჩეხის გასხვისებაზე ლაპარაკი საბოლოოდ შეწყდება. მით უმეტეს, თავად ფეხბურთელს „ლაციოში“ სურს დარჩენა.

ტურის ანტიგმირი

„ჩეზენას“ სულ ცოტა დააკლდა იმისთვის, რომ „რომასთვის“ ქულა აერთმია, რაშიც ამ გუნდის უკანახაზელი **მასიმილიანო პელეგრინია** დამნაშავე. შეხვედრის 89-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც სტუმრებმა მრავალსვლიანი კომბინაცია კარში დაარტყმით დაასრულეს - ბურთი ხარიხას მოხვდა და **ფაბიო სიმპლისიოს** მიუვიდა, ამ უკანასკნელმა საჯარიმოში ჩააბრუნა ბურთი, პელეგრინიმ კი საკუთარ კარში ჩაჭრა და სტუმრებს მარადიულ ქალაქში სამი ქულა გაატანა. ნამატჩევს, მასიმილიანომ გულშემატკივრებს და თანაგუნდელებს მოუბოდიშა:

„მე თვითონ არ ვიცი რა დამემართა და რატომ ჩავჭერი ბურთი საკუთარ კარში. ასეთი რამ აქამდე არასდროს დამმართნია და შოკიდან ვერაფრით გამოვედი. საშინელი შეგრძნებაა, როდესაც აცნობიერებ, რომ მთელი ამდენი გარჯა ჩემ გამო წყალში ჩაიყარა. ბოდიში მინდა მოვუხადო გულშემატკივრებს და თანაგუნდელებს, ვეცდები შეცდომა მომდევნო პაექრობებში გამოვასწორო“.

ტურის მოვლენა

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ხავიერ ძანეტი „ინტერის“ მაისურით ჩატარებული შეხვედრების რაოდენობით ჯუზეპე ბერგომის გაუთანაბრდა და სულ მალე, აბსოლუტური რეკორდსმენი გახდება. აქვე ვთქვათ, რომ არგენტინელის ანგარიშზე 519 პაექრობაა, რაც მართლაც რომ ფანტასტიკური მაჩვენებელია. მით უმეტეს, კარიერის დასრულებას ჯერ არ აპირებს და ეს რიცხვი კიდევ გაიზრდება.

„ინტერი“-„ბოლონიას“ პაექრობაში ძანეტი განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობდა. მთელი შეხვედრის განმავლობაში გულშემატკივრები მის სახელს სკანდირებდნენ და როდესაც შეცვალეს, მთელი სტადიონი ფეხზე წამოუდგა. ფეხბურთელის კომენტარი ტურის მიმოხილვისას გაგაცანით, დღეს კი **ლეონარდოს** მოვუსმინოთ: *„ძანეტი ნამდვილი პროფესიონალია და მისი დახასიათება სწორედ ამით უნდა დავიწყო. ამასთან, შესანიშნავი ადამიანი, რომელსაც ყოველთვის შეგიძლია აზრი დაეკითხო. გადაუჭარბებლად ვიტყვი, რომ ის ნამდვილი ლეგენდაა და „ინტერის“ ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი“.*

ტურის ფრაზა

მაურიციო ძამპარინი (პალერმოს პრეზიდენტი): *„მსაჯებზე რას ვიტყვი? - რას და ყველანი ციხეში უნდა ჩავყაროთ. ან ძალიან არაკომპეტენტურები არიან, ან კორუმპირებულები და ფულზე იყიდებიან. სხვა ახსნა უბრალოდ არ მაქვს, შეიძლება მეტრა ნახევრიანი ოფსაიდი ვერ დაინახო?“...*

ლაშა ნიკლაური

● სავარაუდო ტრანსფერი

სტორარი ჯენოაში მიდის

მარკეტი იუვენტუსში

მარკო სტორარი

ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ, **ჯანლუიჯი ბუფონი** გამოჯანმრთელდა და უკვე ორი შეხვედრაც ჩაატარა „იუვენტუსის“ ძირითად შემადგენლობაში - ჯერ „კატანიასთან“ იტალიის თასზე, შემდეგ კი „ბარისთან“ სერია A-ს XX ტურის პაექრობაში. ჯიჯიმ საკმაოდ კარგად წარმოაჩინა თავი და უკვე აღარავის ეპარება ეჭვი, რომ „იუვეს“ სასტარტოში სწორედ ლეგენდად ქცეული კიპერი იასპარეზებს. ამან ყველაზე მეტად **მარკო სტორარი** აზარალა, რომელმაც სეზონის პირველი ნახევარი საკმაოდ მაღალ დონეზე ჩაატარა და ერთ-ერთი საუკეთესოც იყო „იუვეს“ შემადგენლობაში.

„გაძეტა დელლო სპორტის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სტორარის არ სურს „იუვეს“ სათადარიგოთა სკამზე ჯდომა და „ჯენოაში“ გადასვლაზე უჭირავს თვალი. გენუელებმა თავად გამოთქვეს სტორარის დამატების სურვილი, რადგან მათი ძირითადი მეკარე **ედუარდო** მთლად დამაჯერებლად ვერ გამოიყურება. იმავე „გაძეტას“ ცნობით, „იუვე“ თანახმაა გაუშვას სტორარი, თუმცა მის სანაცვლოდ ოთხ მილიონ ევროს ითხოვს. ჯერჯერობით უცნობია, გადაიხდიან თუ არა გენუელები ამ თანხას, მაგრამ გარიგება, სავარაუდოდ, შედგება. ანუ, შესაძლოა თანხა უფრო ნაკლები იყოს, მაგრამ წესით და რიგით შეთანხმებას წინ ვერაფერი უნდა დაუდგეს. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ტურინელებმა ჯიჯი ბუფონის ახალი დუბლიორის ძიება დაიწყეს და „კალიარის“ სათადარიგო მეკარეს, **ფედერიკო მარკეტის** დაადგეს თვალი. საგულისხმოა, რომ მარკეტი 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზეც ბუფონის დუბლიორი იყო და მუნდიალის ჯგუფური ეტაპის სამივე შეხვედრაში იასპარეზა. ვნახოთ, უახლოეს დღეებში ყველა კითხვას გაეცემა პასუხი.

ლაშა ნიკლაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეენჰაკერი სეზონის ბოლოს წავა

„ფეიენოორდის“ ტექნიკური დირექტორი **ლეო ბეენჰაკერი** თანამდებობას მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე დატოვებს. სახელოვანმა მწვრთნელმა ეს პოსტი 2009 წლის თებერვალში დაიკავა, ამჟამინდელ თანამდებობაზე კი მისი პოზიციები როტერდამული კლუბის წარუმატებელმა ასპარეზობამ შეარყია. ჰოლანდიის ჩემპიონატში ამბიციური „ფეიენოორდი“ დღეისთვის მხოლოდ მე-13 ადგილზეა და ამას გარდა, მიმდინარე სეზონში „ეინდჰოვენთან“ 0:10-ითაც „ისახელა თავი“.

ჯერჯერობით უცნობია, რას იზამს ჰოლანდიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ყოფილი მწვრთნელი, მხოლოდ ის ვიცით, რომ ბეენჰაკერმა თქვა, აქტიური საფეხბურთო მოღვაწეობის შეწყვეტას არ ვაპირებო.

გალათასარაი დონის ეპატიჟება

„გალათასარაის“ „რომას“ ბრაზილიელი გოლკიპერის, **ალეშანდრო დონის** შეძენა სურს. ამ ტრანსფერით იტალიური კლუბიც დაინტერესებულია, რადგან დონის გასხვისებით წლიურ 4,1 მილიონ ევროს დაზოგავს – ანუ იმ თანხას, რასაც დონის წელიწადში უხდის. დონის „რომას“ დატოვება მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი და წესით, სტამბოლში გადასვლის წინააღმდეგი არ უნდა იყოს. ამ ცოტა ხნის წინ იგი ესპანურ „მალაგას“ ფინანსურ საკითხებზე ვერ შეუთანხმდა, „გალათასარაი“ კი მზადაა, დონის სოლიდური ჯამაგირი გადაუხადოს.

31 წლის დონი ერთ დროს ბრაზილიის ნაკრების ძირითადი მეკარეც იყო და „რომაშიც“ შეუცვლელი გახლდათ, მძიმე ტრავმის შემდეგ კი სელესაოშიც იშვიათად იწვევენ და რომაული გუნდის სასტარტო შემადგენლობაშიც ადგილი დაკარგა. მიმდინარე სერია A-ში მან მხოლოდ 3 მატჩი ჩაატარა.

სუარესი აიაქსში რჩება

ამის შესახებ ამსტერდამული კლუბის მთავარმა მწვრთნელმა **ფრანკ დე ბურმა** განაცხადა. 24 წლის ურუგვაელ ფორვარდს, რომელიც „აიაქსის“ კაპიტანია, კარიერის გაგრძელებას „ლივერპულში“ უწინასწარმეტყველებენ, მაგრამ დე ბური დარწმუნებულია, რომ ზამთრის სატრანსფერო პერიოდისას იგი კლუბს არ შეიცვლის.

„კარგად გვესმის, რომ ადრე თუ გვიან, სუარესის დათმობა მოგვიწევს, მაგრამ ამის დრო ჯერ არ დამდგარა. ამ სეზონში იგი ძალიან გვჭირდება“, - ამბობს დე ბური.

ეინდჰოვენიდან გრონინგენში

21 წლის ბელგიელი ნახევარმცველი **სტინ ვუიტენსი**, რომელიც „ეინდჰოვენის“ ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდება, კარიერის გაგრძელებას „გრონინგენში“ აპირებს. კლუბებმა ერთმანეთთან უკვე თითქმის ყველაფერი შეათანხმეს და დღე-დღეზე კონტრაქტიც გაფორმდება. ვუიტენსი, რომელიც პსვ-ს საფეხბურთო აკადემიის აღზრდილია, დარწმუნებულია, რომ საკუთარ შესაძლებლობებს ყველას დაუმტკიცებს და ახალი კლუბის მეშვეობით ბელგიის ეროვნულ ნაკრებშიც დამკვიდრდება

ლევან ჯანეზაშვილი

ესპანური ამბები

ტრეზეგე იუვეს გამორიცხავს

„ერკულესის“ ფრანგი ფორვარდი **დავიდ ტრეზეგე** გამორიცხავს „იუვენტუსში“ დაბრუნების შესაძლებლობას. 33 წლის ფეხბურთელს მიაჩნია, რომ მის ყოფილ კლუბს არ დაუბრუნდება იმ შემთხვევაშიც კი, თუკი „ბებერი სინიორას“ ხელმძღვანელობა მას დაუკავშირდება. შეგახსენებთ, რომ „იუვენტუსს“ შეტევაში პრობლემები აქვს წამყვანი ფორვარდების ტრავმების გამო. „ბიანკონერი“ ნამდვილ კრიზისშია, მას შემდეგ, რაც „ჯენოამ“ ცხვირწინ აწაპნა „უდინეზეს“ ფორვარდი **ანტონიო ფლორეს ფლორესი**. შეგახსენებთ, რომ ტრეზეგემ ზაფხულში დატოვა „იუვენტუსი“ და „ერკულესში“ გადავიდა: „იუვე“ მუდამ ჩემს გულში იქნება, მაგრამ ახლა თავს ძალიან კარგად ვგრძნობ ესპანეთში. ჩემი ცხოვრების ამ ეტაპზე ძალზე საჭირო გამოცდილება მივიღე და „ერკულესში“ გადასვლას არ ვნანობ. „იუვენტუსს“ კი წარმატებას ვუსურვებ და სამეულში მოხვედრას“, - განუცხადა ტრეზეგემ „ტუტოსპორტს“.

სევილია იყიდის, მაგრამ...

„სევილიას“ პრეზიდენტი **ხოსე მარია დელ ნიდო** არ გამორიცხავს, რომ კლუბი იანვარში რამდენიმე ფეხბურთელს შეიძენს, ოღონდ ერთი პირობებით - ანდალუსიელთა პრეზიდენტი ფულის ფლანგვას არ აპირებს, შეიძენენ მხოლოდ საჭირო ფეხბურთელს შესაბამის ფასად. დელ ნიდო **გრეგორიო მანსანოს** ფინანსურ მხარდაჭერას შეჰპირდა. „სევილიაში“ გადასვლასთან ახლოს არიან: **სალი მუნტარი** („ინტერი“) და **ანტონი ანანი** („როსენბორგი“).

„გუნდის მიზნები ისევ ძველია, მიუხედავად იმისა, რომ პირველ ნახევარში კარგად არ ვითამაშეთ. კარგად მახსოვს, რომ 2007/08 წლების სეზონის მეორე ნახევარში 40 ქულა დავაგროვეთ. გუნდი იმ თამაშს ვერ აჩვენებს, რაც გულშემატკივრებს სურთ და ვერც იმ შედეგს, რაც თითოეული ჩვენთაგანის სურვილია, მაგრამ წინ მთელი ნახევარია“, - ოპტიმისტურადაა განწყობილი კლუბის პრეზიდენტი.

მილიტო: გვარდიოლამ დამგროვა

„ბარსელონას“ არგენტინელმა მცველმა **გაბრიელ მილიტომ** ახსნა, თუ რატომ არ დატოვა კლუბი და არ გადაბარგდა „მალაგაში“, როცა კონტრაქტის თითქმის ყველა დეტალი ანდალუსიელებთან შეთანხმებული იყო. მილიტო მიიჩნევს, რომ მისი გადაწყვეტილება **ხოსეპ გვარდიოლას** ნათქვამის შემდეგ შეიცვალა: *„მე აქედან წასვლა კი არა, თამაში მსურს. ამიტომ ჩემთვის დიდებული ამბავი იყო, როცა გავიგე, რომ გვარდიოლას ჩემი წასვლა არ სურდა. ჩემპიონატის მეორე ნახევარში თამაში მომინდეს და მთავარი ესაა“*, - განაცხადა 30 წლის მცველმა. მილიტომ „ბარსას“ საჩემპიონო შანსებზეც ილაპარაკა: *„ძალიან გამიკვირდა, „რეალმა“ რომ ქულები დაკარგა „ალმერიასთან“. ჩვენ ხომ ამ კლუბს 8:0 მოვუგეთ. „რეალმა“ ქულები დაკარგა, მაგრამ მეტჯერ ეს ალარ მოხდება, თუმცა ახლა ერთი პლუსი გვაქვს - ჩვენ მხოლოდ საკუთარ თამაშზე ვართ დამოკიდებული“.*

ატლეტიკომ ადრიანი შეათანხმა

მადრიდის „ატლეტიკომ“ მიაღწია შეთანხმებას „დეპორტივოს“ ფორვარდ **ადრიან ლოპესთან**, თუმცა ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების შემტევი მადრიდში მხოლოდ ივნისში გადაბარგდება. რაც მთავარია, ეს „ატლეტიკოს“ ევროც არ დაუჯდება - 23 წლის ლოპესი, ბოსმანის წესების თანახმად, თავისუფალი აგენტის სტატუსით გადადის „როხიბლანკოს“ შემადგენლობაში. „დეპორტივოს“ სურდა ადრიანთან კონტრაქტის გაგრძელება, მაგრამ „რიასორზე“ ახლა ასეთ ხელფასს ვერ შესთავაზებდნენ მას, რასაც „ატლეტიკო“. წლევანდელ სეზონში ადრიან ლოპესმა 5 გოლი გაიტანა.

იგუაინი ესპანეთში ბრუნდება

მადრიდის „რეალის“ გულშემატკივრებმა მოულოდნელი და კარგი სიახლე შეიტყვეს - **გონსალო იგუაინი** ამ დღეებში დაბრუნდება მადრიდში ჩიკაგოს კლინიკიდან, სადაც ზურგის ოპერაცია გადაიტანა. ორ თვეში გონსალო ვარჯიშს დაიწყებს, კიდევ 2 თვეში კი ითამაშებს კიდეც. ასე რომ, შიში იმაზე, რომ არგენტინელი შეიძლება ერთი წლით გამოკლებოდა „რეალს“, არ გამართლდა.

ოსასუნამ ნახევარმცველი შეიძინა

პამპლონის „ოსასუნას“ ოფიციალურმა ვებსაიტმა დაადასტურა, რომ კლუბმა 26 წლის **ალვარო სეხუდო** შეიძინა. ნახევარმცველი ბოლოს სეგუნდადივიზიონის „ლას პალმასში“ თამაშობდა. სეხუდომ ნავარელებთან 2,5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომელსაც ვადა 2013 წლის ზაფხულში გაუვა. ტრანსფერის რაოდენობა არ გახმაურებულა, მაგრამ კანარის კუნძულების ერთ-ერთ გაზეთში დაინერა, რომ „ოსასუნამ“ ფეხბურთელი იაფად ჩაიგდო ხელში - 320 ათასი ევრო გადაიხადა.

ეს „ოსასუნას“ მეორე შენაძენია, პირველი **კორომინასია**, რომელიც „ესპანიოლმა“ იყვარით გაუშვა პამპლონაში. სხვათა შორის, პრობლემები შეიქმნა სამედიცინო შემოწმების შემდეგ. გაირკვა, რომ სეხუდოს ტრავმა აწუხებს და ერთი თვის გამოტოვება მოუწევს. ამის მიუხედავად, „ოსასუნამ“ გარისკა და ფეხბურთელთან კონტრაქტი გააფორმა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ინტერვიუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეო მესი: რასაც ახლა ვაკეთებ, ყველაფერი გვარდიოლას დამსახურებაა

ლეო მესის მედიის მხრიდან ყურადღება ისედაც არ აკლდა, „ოქროს ბურთის“ ზედიზედ მოგების შემდეგ კი ევროპულ პრესაში მასთან ინტერვიუები ერთიორად გახშირდა. დღეს ორ მათგანს წარმოგიდგენთ. პირველი მათგანი “ბარსელონას” ტელევიზიით გადაიცა და შედარებით ვრცელია, მეორე კი ვებგვერდ goal.com-ზე გამოქვეყნებული ბლიც-ინტერვიუა, სადაც გულშემატკივრებმა მესის რამდენიმე გავრცელებული ამბის დადასტურება ან უარყოფა სთხოვეს.

- როგორი შეგრძნებაა, როცა ხარ ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი, რომელმაც ოქროს ბურთი მოიპოვა?

- ეს უდიდესი ბედნიერებაა. როცა ოქროს ბურთი პირველად გადმომცეს, მაშინაც უბედნიერესად ვიგრძენი თავი და ეს შეგრძნება ახლაც ანალოგიური იყო. ორი ოქროს ბურთით ხომ არაერთ ბრწყინვალე ფეხბურთელს გავუტოლდი, რაც სიამაყის საფუძველს მაძლევს.

- არაერთხელ გითქვამთ, რომ თქვენი მთავარი მიზანი ახლანდელი დონის შენარჩუნებაა. ალბათ, კიდევ რამდენიმე ოქროს ბურთს უმიზნებთ.

- თუკი ამას შევძლებ, შესანიშნავი იქნება, მაგრამ არც უამისობაა ტრაგედია. მართალია, ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ასეთ დონეზე კიდევ დიდი ხნის განმავლობაში თამაშია, ცხადია, “ბარსელონასთან” ერთად კიდევ ბევრი ტიტულის მოპოვებაც მწყურია.

- თქვენთვის საუკეთესო შექებაა, როცა „ოქროს ბურთის“ მთავარი პრეტენდენტები ხავი და ინიესტა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად გასახელებენ?

- უდავოდ! ბედნიერებით ვივსები, როცა ჩემი მეგობრები და თანაგუნდელები ასე მიჭერენ მხარს და ასე მაქებენ. ყოველივე ეს სიმშვიდესა და თავდაჯერებას მმატებს. ცერემონიალზეც და მას შემდეგაც ხავიმაც და ინიესტამაც გულთბილად მომილოცეს. მათ გულწრფელად გაიზიარეს ჩემი სიხარული.

- მიგაჩნიათ, რომ 2010 წელს უკეთ ითამაშეთ, ვიდრე 2009-ში?

- ვფიქრობ, რომ კი. საგრძნობლად გავაუმჯობესე ის ნიუანსები, რომლებითაც მანამდე უკმაყოფილო ვიყავი. ფეხბურთელისთვის ყოველწლიური ზრდა და სისტემატურად რაიმე ახლის შესწავლა ძალიან მნიშვნელოვანია. ასე რომ, შევეცდები, პროგრესირება მომავალშიც განვაგრძო.

- ჩანს, რომ ქება და აღიარება თქვენზე დადებითად მოქმედებს. საინტერესოა, როგორი დამოკიდებულება გაქვთ კრიტიკის მიმართ.

- მოტივაციას კრიტიკაც არანაკლებ მმატებს. სიმართლე გითხრათ, ჩემს განწყობაზე დიდად არც ქება მოქმედებს და არც კრიტიკა, მაგრამ თითოეულ შეფასებას მაინც გულდასმით ვეცნობი და საჭირო დასკვნებიც გამომაქვს.

- გვარდიოლამ თქვა, რომ თქვენს წარმატებებში წვლილი არ მიუძღვის. როგორ ფიქრობთ, პეპის გარეშე „ოქროს ბურთების“ მოპოვებას შეძლებდით?

- გვარდიოლამ ჩემთვის ძალიან ბევრი რამ გააკეთა, იმ დღიდან მოყოლებული, ერთმანეთს პირველად რომ შევხვდით და ვისაუბრეთ. ახლაც მახსოვს, რომ მითხრა, ჩემს გუნდში ყოველ თამაშში სამ-ოთხ გოლს გაიტანო. რასაც ახლა ვაკეთებ, ყველაფერი მისი დამსახურებაა. რა თქმა უნდა, რაიკაარდისაც ძალიან მადლობელი ვარ, მაგრამ ყველაზე მეტად სწორედ გვარდიოლას ხელში გავიზარდე.

- “ბარსელონა” ზღაპრული ფეხბურთის თამაშს განაგრძობს. როგორ ფიქრობთ, ეს სწორედ გვარდიოლას გამწვრთნელებით დაიწყო?

- ალბათ კი. ყოველი მატჩისას რაღაც ახალს ვსწავლობთ, სეზონიდან სეზონამდე მეტოქეებისთვის ჩვენთვის წინააღმდეგობის გაწევა სულ უფრო და უფრო რთული ხდება. ფეხბურთელებს სწორედ ეს გვაძლევს პროფესიული ზრდის საშუალებას.

- გუნდის თამაშის ამჟამინდელი ხარისხით თუ ვიმსჯელებთ, შეგიძლიათ თუ არა ორი წლის წინანდელი მიღწევის გამეორება და ტრიპლეტის შესრულება?

- ამაზე საუბარი ნაადრევია, ჯერ ხომ იანვარია. თუმცა ნამდვილად შეგვწევს იმის ძალა, რომ სამივე შესაძლო ტიტულისთვის ბოლომდე ვიბრძოლოთ.

■ ■ ■

- ოდესმე ინგლისურ პრემიერლიგაში თამაშს აპირებთ?

- ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ... ტყუილია.

- “რეალში” გადასვლას ფეხბურთიდან წასვლა გირჩევნიათ?

- დარწმუნებული ვარ, ასეთი არჩევანის წინაშე არასდროს დავდგები, მაგრამ თუ მაინც ასე მოხდა, დიახ, სიმართლეა, მართლა ასე ვფიქრობ.

- როცა პატარა იყავით, თქვენი ოჯახი მართლა აპირებდა საცხოვრებლად ავსტრალიაში გადასვლას?

- ტყუილია.

- ფიქრობდით თუ არა არგენტინის ნაცვლად, ესპანეთის ნაკრებში თამაშზე?

- ტყუილია.

- როცა გოლის გატანის შემდეგ ხელებს ზეცისკენ აღაპყრობთ, ამით ბებიის ხსოვნას მიაგებთ პატივს?

- მართალია.

მოამზადა
ლევან ჯანეზაშვილმა

სექსუალური ფეხბურთი უკვე ჩეჩნეთშია

გროზნოს “ტერეკის” მთავარ მწვრთნელად **რუუდ გულიტი** დანიშნეს. ჩეჩნური კლუბის ხელმძღვანელები თითქოს უკვე შეთანხმებულები იყვნენ ესპანელ **ვიქტორ მუნიოსთან,** მაგრამ ბოლო მომენტში მხარეები კონტრაქტის გარკვეულ პუნქტებზე ვერ შეთანხმდნენ და “ტერეკმა” არჩევანი “მფრინავ ჰოლანდიელზე” შეაჩერა. მას წელინადნახევრიანი კონტრაქტი გაუფორმეს.

“დადებითი ემოციებით ვართ აღვსილნი. გულიტი ბრწყინვალე ფეხბურთელი იყო და სამწვრთნელო კარიერაც შთამბეჭდავი ჰქონდა. გვჯერა, რომ თავის ნიჭს “ტერეკშიც” გამოავლენს, ჩვენი მხრივ კი ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მას სამუშაო პროცესში ხელი მაქსიმალურად შევუწყოთ”, - აცხადებს “ტერეკის” ვიცე-პრეზიდენტი **ჰაიდარ ალხანოვი.**

ამ უკანასკნელმა იქვე ხოტბა კლუბისა და ჩეჩნეთის პრეზიდენტ **რამზან კადიროვსაც** შეასხა, რომელსაც თურმე პირადად მიუღია გულიტის მიწვევის გადაწყვეტილება. “სექსუალური ფეხბურთის” ფუძემდებელი გროზნოში 22 იანვარს ჩავა და პირადად კადიროვი უმასპინძლებს. ჩეჩნეთის ლიდერი გულიტს ნამარ და შემდგომ აღდგენილ ქალაქს დაათვალიერებინებს, მეორე დილას კი ჰოლანდიელი თავის ახალ გუნდს ანთალიურ შეკრებაზე წაიყვანს.

48 წლის გულიტისა და “ტერეკის” მიზანი ევროპის ლიგის საგზურის მოპოვება იქნება, გუნდის ახალ თავკაცს ამ ამოცანის შესასრულებლად ძლიერი ფეხბურთელების შეძენას ჰპირდებიან.

გულიტის სამწვრთნელო კარიერა დიდად წარმატებული ვერაა, მაგრამ მრავალფეროვანი ნამდვილად ეთქმის. მან ბუცები ლურსმანზე “ჩელსიში” ჩამოკიდა და მწვრთნელობასაც იქვე შეუდგა. “არისტოკრატებში” გულიტმა 1996-98 წლებში იმუშავა, მომდევნო ერთი წელიწადი “ნიუკასლში” გაატარა, ხანგრძლივ პაუზას კი “ფეიენოორდსა” (2004-05) და “ლოს ანჯელეს გალექსიში” (2007-08) მუშაობა მოჰყვა. მცირე პერიოდი გულიტს ჰოლანდიის ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბშიც აქვს გატარებული. 2004 წელს “ნარინჯისფერებში” იგი დიკ ადვოკაატის თანაშემწე იყო.

ლევან ჯანეზაშვილი



შალკე

ფელიქს მაგათის 27-მილიონიანი კრიზისი

66 დღეა, ჰუნტელაარს გოლი არ გაუტანია, ხურადო სკამზე ზის

„შალკემ“ ბუნდესლიგის პირველი წრე ძალიან ცუდად ჩაატარა, მაგრამ ნორმალურად დაასრულა, რის გამოც, გელზენკირხენული კლუბის გულშემატკივრებს იმედი ჰქონდათ, რომ მათი საყვარელი გუნდი სეზონის მეორე ნახევარს გამარჯვებით დაიწყებდა. თანაც, „შალკე“ მე-18 ტურში საკუთარ მოედანზე თამაშობდა, მაგრამ **ფელიქს მაგათის** ბიჭებმა ისევ აურიეს და „ჰამბურგთან“ 0:1 დამარცხდნენ. მატჩის შემდეგ მაგათმა თქვა, საუკეთესო ხუთეულში ალბათ ვეღარ მოვხვდებით, შესაბამისად, მომავალი სეზონისთვის ევროტურნირები უნდა დავივიწყოთო.

„ხუმარების“ კრიზისის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ ფეხბურთელებმა, რომლებიც „დესპოტმა ფელიქსმა“ ზაფხულში იყიდა და რომლებშიც საკმაოდ ბევრი ფული დახარჯა, იმედებს ვერ ამართლებენ. ივნისში „შალკეს“ ყველაზე ძვირადღირებული შენაძენები ჰოლანდიელი თავდამსხმელი **კლაას-იან ჰუნტელაარი** და ესპანელი გამთამაშებელი **მანუელ ხურადო** იყვნენ. 66 დღეა, ჰუნტელაარს გოლი არ გაუტანია, ხურადო კი სათადარიგოთა სკამზე ზის. ამ ორ ფეხბურთელში გელზენკირხენელებმა ზაფხულში 27 მილიონი ევრო დახარჯეს.

ჰუნტელაარი 14 მილიონი ღირდა და „შალკეს“ „მილანიდან“ მიაშურა. ეს იყო გელზენკირხენელთა ყველა დროის ყველაზე ძვირფასი ტრანსფერი. 24 წლის ხურადო კი ლევან ყენიას გუნდში „ატლეტიკოდან“ გადავიდა და „ხუმარებმა“ მადრიდულ კლუბს 13 მილიონი გადაუხადეს.

ფელიქს მაგათი ყველაფრით უკმაყოფილოა

ჰოლანდიელი თავდამსხმელი თავიდან გოლების გატანას ახერხებდა, ახლა კი ორ თვეზე მეტია, აღარ უხეირია. მისი უკანასკნელი გოლი ბუნდესლიგაში 13 ნოემბრით თარიღდება - „ვოლფსბურგთან“ მატჩში, რომელიც 2:2 დასრულდა. არადა, პირველ 10 მატჩში მას უკვე 7 გოლი ჰქონდა გატანილი და გელზენკირხენში ყველა იმას ამბობდა, ჰუნტელაარმა იმედები გაამართლაო. „თავდამსხმელებს კრიზისული პერიოდი ყოველთვის აქვთ ხოლმე. გოლებს მუდმივად ვერ გაიტან. პირადად მე ამის გამო არ ვნერვიულობ,“ - ამბობს ჰუნტელაარი.

ჰოლანდიელი გარკვეულწილად მართალია, აი, ხურადოს შემთხვევაში კი საქმე უფრო ცუდადაა. „ჰამბურგთან“ ესპანელს ძირითად შემადგენლობაში არც უთამაშია. ხურადომ მიმდინარე სეზონში შეუცვლელად მხოლოდ ორ შეხვედრაში იასპარეზა და მის ანგარიშზე მხოლოდ ერთი გოლია. სწორედ ამიტომ, მაგათი პირველ რიგში სწორედ ნახევარდაცვას აკრიტიკებს ხოლმე.

ჯონსი გლეძბერნისკენ

ამასობაში, „შალკემ“ მაგათის მიერ სამუდამოდ ათვალწუნებული საყრდენი ნახევარმცველი **ჯერმეინ ჯონსი** ინგლისურ „ბლექბერნში“ გაანათხოვრა - აშშ-ის ნაკრების ნახევარმცველის არენდის ვადა მიმდინარე სეზონის ბოლომდეა და თანაც, „ბლექბერნს“ ჯონსის შესყიდვის უპირატესი უფლება აქვს. „როვერსის“ მწვრთნელის, **სტივ კინის** თქმით, ეს მისი გუნდისთვის ფანტასტიკური ტრანსფერია, რადგან „ბლექბერნს“ გაძლიერება ყველაზე მეტად ნახევარდაცვის ცენტრში სჭირდებოდა.

შეგახსენებთ, რომ ჯერმეინ ჯონსი „შალკეში“ 2007 წელს, ფრანკფურტის „აინტრახტიდან“ უფასოდ გადავიდა. მას მერე მან გელზენკირხენული კლუბის ფორმით ბუნდესლიგაში 70 მატჩი ჩაატარა და 5 გოლი გაიტანა. 2009/2010 წლების სეზონში ჯონსს უმძიმესი ტრავმა ჰქონდა, რის გამოც მთელი სეზონის მანძილზე არ უთამაშია. გამოჯანმრთელების შემდეგ კი მწვრთნელის პოსტზე მაგათი დახვდა, რომელთანაც ურთიერთობა თავიდანვე დაეძაბა. 27 ნოემბერს „კაიზერსლაუტერნთან“ 0:5 წაგების შემდეგ, მაგათმა ჯონსი გუნდიდან გააგდო და შალკე II-ში გადაისროლა, რის შემდეგაც ცხადი იყო, რომ „შალკე“ ჯერმეინს იანვარში აუცილებლად გაასხვისებდა.

პროფესიული კონტრაქტი დრაქსლერს

„შალკემ“ პროფესიული კონტრაქტი (2014 წლამდე) გაუფორმა ახალგაზრდა ფეხბურთელ **იულიან დრაქსლერს**, რომელსაც „ჰამბურგთან“ ბუნდესლიგაში დებიუტი ჰქონდა. იგი 17 წლის და 117 დღისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ „შალკეს“ ყველა დროის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელია, რომელმაც გელზენკირხენული კლუბის მაისურით ბუნდესლიგაში ითამაშა. დრაქსლერი 2001 წლიდან „შალკეს“ ნევრია და გერმანიის 18-წლამდელთა ნაკრებში შვიდი თამაში აქვს ჩატარებული.

გერმანიის ნაკრები

ლიოვი: გიოტცე დიდი ბიჭი გაიზრდება!

იოგი 18 წლის დორტმუნდელით მოხიბლულია

ორშაბათს, ფრანკფურტში, გერმანიის საფეხბურთო კავშირის მთავარ ოფისში ბუნდესლიგის კლუბების მწვრთნელები შეიკრიბნენ და ყველა საჭირბოროტო საკითხზე იმსჯელეს. შეხვედრას გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **იოახიმ ლიოვიც** ესწრებოდა, რომელმაც საღამოს პრესასთან სასაუბროდ მოიცალა და საკმაოდ დიდხანს ილაპარაკა დორტმუნდის „ბორუსიას“ ნახევარმცველ **მარიო გიოტცეს** შესახებ, რომელიც გერმანული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად მიიჩნევა.

„არ დაგიმალავთ, ჩემთვის მართლა გასაოცარია ის, რომ მარიო ბუნდესლიგაში უმაღლეს დონეზე თამაშობს და თანაც, ისეთი მშვიდი და აუღელვებელია, თითქოს 18-ის კი არა, უკვე 30 წლის იყოს. გიოტცე გერმანიის ნაკრებშიც მყავდა გამოძახებული და ძალიან მომეწონა. „ჰამბურგთან“ მის თამაშს რომ ვუყურებდი, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ გიოტცეს შეუძლია, უმაღლესი დონის ფეხბურთელი გახდეს,“ - უთხრა იოგიმ ჩვენს გერმანელ კოლეგებს. ლიოვის ასეთი განცხადების შემდეგ, გიოტცეს შეუძლია, დარწმუნებული იყოს იმაში, რომ ბუნდესლიგის წვრთნელი მას გერმანიის ნაკრების უახლოეს მატჩისთვის (თებერვალში, იტალიის ნაკრებთან) აუცილებლად გამოიძახებს.

ტრავმა

ფრაის სისე დაუშავდა

„ფრაიბურგის“ თავდამსხმელმა **პაპის დემბა სისემ**, რომელიც ბუნდესლიგის ბომბარდირთა რეიტინგს 15 გოლით სათავეში უდგას, გასულ უქმეებზე ტრავმა მიიღო, რომელიც საკმაოდ სერიოზული აღმოჩნდა. სენეგალელი გოლეადორი ფეხბურთის სავარაუდოდ 2-3 კვირის განმავლობაში ვეღარ ითამაშებს, რაც „ფრაისთვის“ სერიოზული დანაკლისია. ამ უქმეებზე სისემ „ზანკტ პაულისთან“ მატჩში (2:2) დუბლი შეასრულა.

ინტერვიუ. მირკო სლომკა

მირკო სლომკას ჰანოვერი ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზეა

იცით, რითი ვჯობივართ ბაიერნს?

ერთ დროს მისტერ არავინ, დღეს უკვე ჰერ სლომკაა

„ჰანოვერს“ ბუნდესლიგის პირველი წრე არასდროს ჩაუტარებია ისე კარგად, როგორც მიმდინარე სეზონში ჩაატარა და არასდროს დაუწყია სეზონის მეორე ნახევარი ისეთი გამარჯვებით, როგორითაც კვირას დაიწყო (3:0 ფრანკფურტში). რაც ყველაზე საინტერესოა, „ჰანოვერი“ 18 ტურის შემდეგ არასდროს ყოფილა სატურნირო ცხრილის მეორე ადგილზე. მუდმივად საშუალოზე ოდნავ დაბალი დონის გუნდი, რომლის უპირველესი მიზანი ყოველთვის პირველ ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებაა ხოლმე, უცებ ევროსაგზურებისთვის იბრძვის და დღევანდელი გადასახედიდან, თამამად შეუძლია, რომ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრაზეც კი იოცნებოს. საიდან? როგორ? რანაირად? „ჰანოვერის“ მთავარმა მწვრთნელმა მირკო სლომკამ ამ და სხვა კითხვებს „ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში უპასუხა.

- ჰერ სლომკა, 18 ტურის შემდეგ თქვენი გუნდი სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზეა. როგორ ახსნით „ჰანოვერის“ სასწაულს?

- თუ მარტივი ახსნა გნებავთ, მიზეზი სულ სამია. პირველი და უმთავრესი კარგი ფიზმომზადებაა - ჩემს შეგირდებს 90-ე წუთზეც კი მაქსიმუმის გაღება შეუძლიათ და ფაქტობრივად, არ იღლებიან. მეორე და ასევე ძალიან მნიშვნელოვანი, ჩამოყალიბებული სტრატეგიაა, რომელსაც არასდროს ვუხვევთ. ჩემი ბიჭები ბურთს საკმაოდ იშვიათად ეხებიან, დაცვაში კომპაქტურად და სტაბილურად დგანან, წინა ხაზში კი ძალიან სწრაფი და სწრაფად მოაზროვნე ფეხბურთელები გვყავს, რომლებიც კონტრშეტევებისთვის ზედგამოჭრილები არიან. ამ ყველაფერს კი იდეალური გუნდური სულისკვეთება ემატება. ბიჭები თავისუფალ დროსაც თითქმის სულ ერთად არიან ხოლმე.

- „ჰანოვერის“ მთავარი მწვრთნელი ზუსტად ერთი წლის წინ გახდით და იმ დროს გუნდი გასავარდნ ზონაში იყო. ერთი წლის შემდეგ „ჰანოვერი“ მეორე ადგილზეა. როგორ მოახერხეთ ეს ყოველივე?

- შარშან მეორე ბუნდესლიგაში გავარდნას რომ გადავურჩით, ეს ისე გვიხაროდა, თითქოს გერმანიის ჩემპიონები გავხდით. როცა გუნდს ელიტიდან გავარდნა ემუქრება, უმძიმესი წნეხის ქვეშ ექცევა ხოლმე და რაკი გადავრჩით, ტვირთი მოვიშორეთ და მაგრად ვიზეიმეთ. მას მერე „ჰანოვერში“ ძალიან კარგი, იდეალური ატმოსფეროა. გუნდური სულისკვეთება არც მაშინ შერყეულა, როცა გერმანიის თასს პირველივე ეტაპზე გამოვეთიშეთ.

- ბევრისთვის ეს აუხსნელი და დაუჯერებელი ფენომენია, მაგრამ დღევანდელი მდგომარეობით, „ჰანოვერი“ დორტმუნდის „ბორუსიას“ ნომერ პირველი მდევარია.

- სატურნირო ცხრილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ნამდვილად ასეა, მაგრამ განა ვინმე იტყვის, რომ „ჰანოვერი“ გერმანიის ჩემპიონობისთვის იბრძვის ან იბრძოლებს? ეს აფსურდია. ბუნდესლიგის მწვრთნელების შეკრებაზე „ბორუსიას“ თავკაც იურგენ კლოპს უკვე მივულოცე გერმანიის ჩემპიონობა. ეჭვი არ მეპარება, რომ დორტმუნდელები „ვერცხლის სინს“ დაისაკუთრებენ. თუმცა კლოპმა ჩემი მილოცვა არ მიიღო, ძალიან ფრთხილობს და მე მესმის მისი. თუმცა ფაქტია, რომ „ბორუსიას“ ჩემპიონობა უკვე გარდაუვალია.

- გასაგებია, „ჰანოვერს“ ჩემპიონობის კანდიდატად მაინც არავინ მიიჩნევს, მაგრამ თქვენი გუნდი მიუნხენის „ბაიერნს“ ოთხი ქულით უსწრებს და ეს ყველაფერი სეზონის დასაწყისში კი არ ხდება, როცა ბევრი რამ თავდაყირაა ხოლმე, არამედ მე-18 ტურის შემდეგ, როცა სეზონის ნახევარი უკვე გავლილია...

- ჰო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ „ჰანოვერი“ „ბაიერნზე“ ძლიერია. მიუნხენური კლუბი ყოველთვის დომინანტია, ჩვენ კი დაცვით ფეხბურთს ვთამაშობთ და წარმატების მიღწევას უმეტესად კონტრშეტევებით ვცდილობთ ხოლმე. „ჰანოვერს“ „ბაიერნამდე“ ძალიან ბევრი აკლია, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ მიმდინარე სეზონში ჩემი გუნდი რეკორდმაისტერზე ეფექტურია. ყოველ შემთხვევში, ჯერჯერობით მაინც.

- და თქვენი მიზანია, რომ სეზონი „ბაიერნზე“ წინ დაასრულოთ?

- ჩვენ სხვებს არ ვუყურებთ და მხოლოდ საკუთარ თამაშებსა და შედეგებზე ვფიქრობთ. ანაც, ვის უნდა შევეჯიბროთ, „ბაიერნს“, რომელიც გასულ სეზონში ჩემპიონთა ლიგის ფინალში იყო, გერმანიაში კი დუბლი შეასრულა? თუმცა მე არ ვარ სხვა მწვრთნელებივით ფრთხილი და შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ძალიან გვინდა მეორე ადგილის შენარჩუნება.

- „აინტრახტთან“ მატჩის წინ ძალიან ვაჟკაცური გადაწყვეტილება მიიღეთ, როცა გამოცდილი მეკარე ფლორიან ფრომლოვიტცი ძირითადი შემადგენლობიდან ამოაგდეთ და კარში ახალგაზრდა, გამოუცდელი კიპერი ცილერი ჩაყენეთ. ყველას ის დრო გაახსენდა, როცა „შალკეს“ წვრთნიდით და იქაც ამოაგდეთ სასტარტოდან გამოცდილი მეკარე ფრანკ როსტი და გზა გაუხსენით მანუელ ნოიერს, რომელსაც მაშინ არავინ იცნობდა, დღეს კი გერმანიის ნაკრების პირველი ნომერია. ამასობაში, „ბაიერნშიც“ იგივე მოხდა – გაგიკვირდათ, ლუის ვან გაალმა თომას კრაფტი რომ გააპირველა, ჰანს-იორგ ბუტი კი სათადარიგოთა სკამზე რომ გადასვა?

- ცილერის პირველ მეკარედ დასახელება ძალიან გამიჭირდა, რადგან ფრომლოვიტცი დიდი ხანია, „ჰანოვერში“ თამაშობს და აქ ყველას უყვარს. წარმოგიდგენიათ, რამხელა კრიტიკა დამატყდებოდა თავს,. „აინტრახტთან“ ცილერს შეცდომები რომ დაეშვა? პირადად მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვიყავი იმაში, რომ სწორ გადაწყვეტილებას ვიღებდი – ზუსტად ისე, როგორც მაშინ, როცა „შალკეს“ ფანების უსაყვარლესი როსტი სკამზე გადავსვი, ნოიერი კი კარში ჩავაყენე, თანაც, „ბაიერნთან“! რაც შეეხება მიუნხენურ კლუბში მომხდარ ცვლილებას, ვფიქრობ, ვან გაალი სწორად მოიქცა. ბუტს პირველ წრეში ცუდად არ უთამაშია, მაგრამ კრაფტი ნამდვილად იმსახურებდა შანსის მიცემას. ბავარიელები ახლა სეზონის მეორე ნახევარს ნაყოფიერად გამოიყენებენ იმ თვალსაზრისით, რომ კრაფტს კარგად გამოსცდიან და ზაფხულში უკვე ეცოდინებათ, ახალი მეკარე სჭირდებათ თუ შეუძლიათ, რომ კრაფტს ენდონ.

- სეზონის ბოლოს „ჰანოვერთან“ კონტრაქტი გიმთავრდებათ და ახალი ხელშეკრულება ჯერ არ გაგიფორმებიათ. რატომ?

- რამდენიმე დეტალია შესათანხმებელი. პირდაპირ გეტყვით, რომ ფულს ან ძალაუფლებას საქმე არ ეხება.

- სხვა კლუბებისგან გაქვთ შემოთავაზებები?

- რამდენიმე კლუბი მართლაც არის დაინტერესებული, მაგრამ მხოლოდ დაინტერესებულია და მეტი არაფერი. ეს ყოველთვის ასეა ხოლმე, როცა მწვრთნელს ან ფეხბურთელს გუნდთან კონტრაქტი უმთავრდება. იმასაც გულახდილად ვიტყვი, რომ „ჰანოვერის“ გარდა არც ერთ კლუბზე არ ვფიქრობ.

- შაბათს თქვენს ყოფილ გუნდს, „შალკეს“ ეთამაშებით. ხელშეკრულებას მანამდე ხომ არ მოაწერთ ხელს?

- „შალკესთან“ ძალიან მძიმე მატჩი გველის. გამორიცხული არ არის, რომ ახალი კონტრაქტი შაბათამდე გაფორმდეს.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

უცხოური ფეხბურთი

ტურის რჩეულნი

უჩვეულო ტური

არც მესი, არც რონალდო და ბევრი ესპანელი

თქვენ წინაშეა ლა ლიგის I ნახევრის ბოლო ტურის ნაკრები (goal.com-ის მიერ შედგენილი) და, ჰოი საოცრებავ, დიდი ხნის შემდეგ პირველად სიმბოლურში ვერც **ლეო მესი** მოხვდა და ვერც **კრიშტიანო რონალდო**, ესპანეთის ჩემპიონატის ორი ყველაზე გამორჩეული ფეხბურთელი. ბოლო ტურის სიმბოლური ნაკრები 3-4-3 სათამაშო სქემითაა შედგენილი და მასში 8 ესპანელია (!), თითო ბრაზილიელი, ფრანგი და ურუგვაელი.

ჩაბი პრიეტო ტურის საუკეთესო ფეხბურთელია

მეკარე

დიეგო ალვეში (ალმერია): ეს ის მეკარეა, რომელმაც „ბარსელონასთან" მატჩში 8 გოლი გაუშვა, მაგრამ მოკრძალებული „ალმერიას" ქომაგებს აუგი ვერ დასცდებათ, ბრაზილიელი გოლკიპერი ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა გუნდში. თავისი კლასი ალვეშმა კვირას „რეალთან" დაპირისპირებაში დაამტკიცა, როცა სენსაციური ქულის აღებაში დიდად დაეხმარა ანდალუსიურ გუნდს. მატჩის განმავლობაში „ალმერიას" დაცვა ერთი-ორჯერ აირია და რომ არა ალვეში, „რეალი" თამაშში გარდატეხას შეიტანდა. ალვეშს ერთხელ არ გაუმართლდა, ერთხელ კი ძალიან გაუმართლდა: პირველ შემთხვევაში **ესტებან გრანეროს** დარტყმულს ვეღარ შესწვდა, მეორეში კი მატჩის ბოლო წამებზე **კრიშტიანო რონალდოს** დარტყმული საჯარიმო ხარიხას მოხვდა.

მცველები

ხუან ვალერა (ატლეტიკო): **კიკე ფლორესმა** კიდევ ერთხელ გადააადგილა დაცვის ხაზი, მარჯვენა ფლანგზე ვალერა გამოჩნდა, რომელმაც მთლიანად გაუმართლა იმედები - მთლიანად გამოთიშა „მალიორკას" ყველაზე სახიფათო ფეხბურთელი **მიშელ პერეირა**. ვალერამ წინაც ივარგა და თავურით გახსნა ანგარიში, ამით კი გუნდს ფრთები შეასხა. საბოლოოდ, „ატლეტიკომ" მეტოქე 3:0 გაანადგურა. ვფიქრობთ, ვალერამ ძირითადში ადგილი მოიპოვა.

კარლოს დიოგო (სარაგოსა): „ლოს ბლანკილოსმა" ზედიზედ მეორედ მოიგო შინ, ეს კი მადრიდის „რეალის" ყოფილი მცველის დიდი დამსახურებაა. „ლევანტეს" ფორვარდი **ფელიპე კაისედო** ბოლო დროს დიდებულ ფორმაშია, ურუგვაელმა კი ის მოედნიდან „გააქრო". 27 წლის დიოგოს „სამეფო კლუბში" ფეხის მოკიდება კი გაუჭირდა, მაგრამ „სარაგოსაში" ერთ-ერთი მოწინავე ფეხბურთელია. შეგახსენებთ, რომ კარლოსი **ვიქტორ დიოგოს** შვილია, რომელმაც 1986 წლის მუნდიალზე მექსიკაში იასპარეზა.

ჟერემი მატიო (ვალენსია): „ლოს ჩე" ვერა და ვერ ახერხებდა „ჩაკეტილი" „დეპორტივოსთვის" გოლის გატანას, როცა ფრანგმა განაპირა მცველმა გაიბრწყინა. მატიომ პირველ ტაიმში რამდენჯერმე მოსინჯა ცაციათი გალისიელთა გოლკიპერის სიფხიზლე, თამაშის დასრულებამდე 20 წუთით ადრე კი დაუმუშავებელი დარტყმით „ჯადო ახადა" „დეპორის" კარს.

ნახევარმცველები

ანდრეს ინიესტა (ბარსელონა): „ოქროს ბურთის" ნომინაციაში მეორე ადგილზე გასულის მორიგი ბრწყინვალე თამაში. მისმა გოლმა დიდი წვლილი შეიტანა **მანუელ პელეგრინის** „მალაგას" განადგურებაში. ანდრესმა ბრწყინვალე გოლი გაიტანა და ერთხელ ისე დაარბია ანდალუსიელთა დაცვა, რომ **პედროს** გოლის გატანა აღარ გასჭირვებია. ინიესტა და **ვიქტორ ვალდესი**, მხოლოდ ეს ორი ფეხბურთელია „ბარსელონაში", რომელთაც ლა ლიგის I ნახევარში ყველა შეხვედრა ითამაშეს.

ჩაბი პრიეტო (რეალ სოსიედადი): სულაც არ ვაჭარბებთ, სან სებასტიანელთა ნახევარმცველი ერთ-ერთი იმათგანია, რომელიც მესისთან და რონალდოსთან ერთად ჩემპიონატის I ნახევრის საუკეთესო ფეხბურთელობას იმსახურებს. და ჩნდება სავსებით ლოგიკური კითხვა, რა უნდოდა ასეთ მარგალიტს სეგუნდადივიზიონში? 27 წლის ფეხბურთელმა პენალტით გაიტანა „ხეტაფეს" კარში, ამის გარდა მან 2 საგოლე პასი გაუკეთა თანაგუნდელებს. ტურის საუკეთესო ფეხბურთელია.

რუბენ კანი (ვილიარეალი): მარტო იმ გოლისთვის, რომელიც მან „ოსასუნას" კარში გაიტანა, იმსახურებდა ფლანგის ნახევარმცველი სიმბოლურში მოხვედრას - შეგახსენებთ, რომ მოედნის ცენტრიდან გაიტანა. მაგრამ, ამას რომ თავი გავანებოთ, კანი მართლა ბრწყინვალედ თამაშობს, ბოლო ტურებში „წყალქვეშა ნავის" წარმატებაში უდიდეს როლს თამაშობს. მერე რა, რომ ნერვები ვერ მოთოკა და **ჟოზე მოურინიოს** წყლით სავსე ბოთლი ესროლა?

ხოსე ანტონიო რეიესი (ატლეტიკო): უკვე აღარც კი ვიცით, მერამდენე სუნთქვა გაეხსნა რეიესს. „მალიორკასთან" მატჩში მან ლიდერის ტვირთი აიკიდა. რეიესს ჯერ ვეტერანიც არ ეთქმის, ის ხომ მხოლოდ 27 წლისაა. „არსენალის" ყოფილმა ვარსკვლავმა წინა სეზონი იჯარით „ბენფიკაში" გაატარა, თუმცა წლეულს ამტკიცებს, რომ ლა ლიგაში ჯერ კიდევ ბევრი აქვს სათქმელი. ანდალუსიელმა ვალერას გაატანინა და თავადაც შეაგდო შეხვედრის უკანასკნელ წამზე.

თავდამსხმელები

ხოსე კალეხონი (ესპანიოლი): „ბლანკ ი ბლაუს" ახალი ლიდერია, 23 წლის შემტევმა ორჯერ ერთნაირ სიტუაციაში გაიტანა, ორივეჯერ წამის უსწრაფესად მოიფიქრა, სად უნდა მიელო პასი და სულ მილიმეტრებში არ მოხვდა თამაშგარეში. სწრაფად ფიქრისა და თამაშის უნარი კალეხონის ერთ-ერთი გამორჩეული თვისებაა, სხვა ბევრ პლუსთან ერთად. „ესპანიოლში" ვერც კი იგრძნეს მთავარი მეგოლის, **პაბლო ოსვალდოს** არყოფნა, რომელიც ტრავმის გამო ვერ თამაშობს.

დავიდ ვილია (ბარსელონა): „ელ გუახე" ყოველგვარი პომპეზურობისა და ხმაურის გარეშე გახდა „ბარსას" შეუცვლელი ფორვარდი - I ნახევარში მან 14 გოლი გაიტანა და მხოლოდ ორს ჩამორჩა ბომბარდირთა დავაში. „მალაგასთან" შეხვედრაში ვილიამ სულაც დუბლი მიითვალა. ვფიქრობთ, მეორე ნახევარში მისგან კიდევ უფრო მეტ გოლს უნდა ველოდოთ, რადგან ის საბოლოოდ გაუშინაურდა „ბარსელონას". „მალაგასთან" მატჩში მან სისხლი გაუშრო **სერხიო ასენხოს**, ჯერ ფეხებს შორის გაუტანა, შემდეგ კი ფინტით გასცდა მეკარეს და ისე შეაგდო.

იკერ მუნიაინი (ბილბაო): შარშან ბილბაოელთა რიგებში საოცარი ბავშვი გამოჩნდა, 16 წლის მუნიაინი სასწაულებს სჩადიოდა მოედანზე. წლეულს იკერმა ცოტა მოუკლო, თუმცა ეს „რასინგთან" მატჩს არ ეხება, რომელშიც სეზონის პირველი გოლი გაიტანა, თანაც ძალიან მაგარი. ესპანურ ფეხბურთს მომავალიც კარგი მოსდის.

სხვები, რომელთა მოხსენიებაც უპრიანია: **დავიდ დე ხეა** (ატლეტიკო), **კარლოს კამენი** (ესპანიოლი), **ხოან კაპდევილა** (ვილიარეალი), **გაბი** (სარაგოსა), **ლიონელ მესი** (ბარსელონა), **ბორხა ვალერო** (ვილიარეალი), **ერნან ბერნარდელო** (ალმერია), **პაბლო პიატი** (ალმერია).

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

I ნახევრის საუკეთესო ფეხბურთელები (ტოპ-25), „დონ ბალონის" შეფასებით

ფეხბ	გუნდი	თამაში	ქულა	საშუალოდ
1. ლეო მესი	ბარსელონა	16	126	7,88
2. ანდრეს ინიესტა	ბარსელონა	19	141	7,42
3. ბორხა ვალერო	ვილიარეალი	17	125	7,35
4. ჯუზეპე როსი	ვილიარეალი	18	131	7,28
5. კრიშტიანო რონალდო	რეალი	19	137	7,21
6. სანტი კასორლა	ვილიარეალი	18	128	7,11
7. დიეგო ალვეში	ალმერია	19	134	7,05
8. ნილმარი	ვილიარეალი	16	111	6,94
9. დავიდ ვილია	ბარსელონა	18	124	6,89
10. ნელსონ ვალდესი	ერკულესი	14	96	6,86
11. დუდუ ავატე	მალიორკა	18	123	6,83
12. ჩავი	ბარსელონა	16	108	6,75
13. ჩაბი პრიეტო	რეალ სოსიედადი	19	127	6,68
14. დანიელ პარეხო	ხეტაფე	18	120	6,67
15. კარლეს პუიოლი	ბარსელონა	15	100	6,67
16. კარლოს კამენი	ესპანიოლი	15	100	6,67
17. პედრო	ბარსელონა	19	126	6,63
18. მესუთ ოზილი	რეალი	19	126	6,63
19. დიეგო ლოპესი	ვილიარეალი	19	126	6,63
20. ბრუნო	ვილიარეალი	19	126	6,63
21. კარლოს მარჩენა	ვილიარეალი	13	86	6,62
22. ხავი მარტინესი	ბილბაო	18	119	6,61
23. დანი ალვეში	ბარსელონა	18	119	6,61
24. ხოსე რეიესი	ატლეტიკო	17	112	6,59
25. დიეგო კასტრო	სპორტინგი	15	98	6,53

მოწინავე ასეულში „ბარსელონას" და „რეალის" 11-11 ფეხბურთელია, 9 „ვილიარეალის" წარმომადგენელი.

ლა ლიგა. სტატისტიკა

გოლები და პასები

დასასრული, დასაწყისი წინა ნომერში

ერკულესი 22

გოლები

9	ტრეზეგე
7	ვალდესი
2	დრენტე
1	ტოტე, ტომერი, პასი, კიკო

პასები

3	ტოტე	1 ტრეზეგე, კიკო, ვალდესი
2	კორტესი	1 ვალდესი, ტრეზეგე
2	კიკო	2 ტრეზეგე
1	რუფეტე	1 ვალდესი
1	პენია	1 ტომერი
1	ტ. გომეში	1 ვალდესი
1	დრენტე	1 ვალდესი
1	ვალდესი	1 ტრეზეგე

ლევანტე 19

გოლები

7	კაისედო
4	სტუანი
2	რ. სუარესი, სერხიო
1	ხუანლუ, ნანო, რაფა, დელ ორნო

პასები

4	ხუანლუ	4 კაისედო
3	ვალდო	3 სტუანი
2	ნადალი	1. რ. სუარესი, კაისედო
2	რ. სუარესი	1 სერხიო, ნანო
2	სტუანი	1 კაისედო, ხუანლუ
1	სერხიო	1 დელ ორნო
1	რაფა	1 სერხიო
1	ბალესტეროსი	1 რაფა
1	ნანო	1 სტუანი
1	დელ ორნო	1 კაისედო

ოსასუნა 17

გოლები

3	არანდა
2	პანდიანი, მასუდი, ნეკუნამი, ვადოცი
1	ხუანფრანი, კალეხა, ლოლო, მონრეალი, კამუნიასი, ფლანიო

პასები

3	სორიანო	1 პანდიანი, არანდა, მასუდი
2	ხუანფრანი	1 მასუდი, კამუნიასი
2	მასუდი	1 არანდა, ხუანფრანი
1	პუნიალი	1 ლოლო
1	არანდა	1 ფლანიო
1	მონრეალი	1 პანდიანი
1	სერხიო	1 ვადოცი
1	კამუნიასი	1 კალეხა

სპორტინგი 17

გოლები

7	დ. კასტრო
2	სანგოი
1	დე ლას კუევასი, ნოვო, გრეგორი, ეგურენი, ბარალი, ბოტია, კასესი, ავტოგოლი (ოგრადოვიჩი (სარ))

პასები

3	დე ლას კუევასი	1 გრეგორი, კასესი, კასტრო
2	რივერა	2 სანგოი
2	კარმელო	1 კასტრო, ნოვო
2	ლორა	1 ბოტია, კასტრო
1	ანხელი	1 ეგურენი
1	აიოსე	1 ოგრადოვიჩი
1	კანელია	1 ბარალი

სარაგოსა 17

გოლები

4	გაბი
3	სინამა-პონგოლე, ბერტოლო
2	ბრაულიო
1	ედმილსონი, ლანძარო, ერერა, პერესი, ლაფიტა

პასები

3	ერერა	1 პერესი, გაბი, ედმილსონი
3	ბრაულიო	1 ს. პონგოლე, ბერტოლო, ლაფიტა
2	გაბი	1 ბერტოლო, ს. პონგოლე
1	იაროშიკი	1 ლანძარო
1	პონსიო	1 ს. პონგოლე
1	ლაფიტა	1 ერერა

ალმერია 17

გოლები

5	ულოა, პიატი
4	უჩე
1	კორონა, ვარგასი, კრუსატი

პასები

3	ბერნარდელო	1 უჩე, ულოა, პიატი
3	კრუსატი	1 პიატი, ულოა, უჩე
2	პიატი	1 კორონა, ულოა
2	უჩე	1 ულოა, პიატი
1	ვარგასი	1 პიატი
1	კორონა	1 უჩე

დეპორტივო 15

გოლები

4	ადრიანი
2	აიტამი, გუარდადო, კოლოტო
1	რიკი, პ. ალვარესი, ხ. როდრიგესი, ლასადი, ლოპო

პასები

2	რ. პერესი	1 კოლოტო, რიკი
2	კოლოტო	1 ლასადი, ლოპო
2	რიკი	1 აიტამი, ადრიანი
2	ადრიანი	1 როდრიგესი, ალვარესი
1	ალვარესი	1 კოლოტო

რასინგი 15

გოლები

5	როზენბერგი
1	არიელი, ლასენი, ენრიკე, სერანო, პინილიოსი, ბოლადო, მუნიტისი, ტორეხონი, კენედი, ტჩიტე, ავტოგოლი (გრეგორი (სპორ))

პასები

4	მუნიტისი	2 როზენბერგი, 1 ენრიკე, ლასენი
2	კენედი	1 ბოლადო, ტორეხონი
1	ფ. პერესი	1 როზენბერგი
1	დიოპი	1 როზენბერგი
1	ბოლადო	1 სერანო
1	არანა	1 არიელი
1	ტორეხონი	1 როზენბერგი

მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

● მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის მემორიალი

წელი გაიხსნა!

დაცლილ ენერჯის ენერგია მაინც შერჩა

18 იანვარი. რუსთავი

ქიმიკოსების დარბაზი

A ჯგუფი

შსს-აბრარული 93:62

16:12, 23:10, 29:7, 25:33

შსს: ლაფანაშვილი (11ქ), ბ. ლეჟავა, მოკოლაძე (8ქ), კოტონი (7ქ), მარკოიშვილი (9ქ), ტუჯანი (8ქ), ბარბაქაძე (8ქ), იმნაძე (18ქ), შერმადინი (5ქ), წივნივაძე (5ქ), ტომარაძე (12ქ), სუხიშვილი (2ქ)

აბრარული: ტეტელაშვილი (4ქ), ნანიტაშვილი (5ქ), კანდელაკი, სიგუა (6ქ), ჩაჩანიძე (21ქ), ხანიაშვილი (19ქ), გემაზაშვილი (2ქ), ჯავახიშვილი (3ქ), მუმლაძე (2ქ)

მსაჯები: მ. ანდღულაძე, ხ. გაბედავა

კომისარი: გ. სანაძე

თსუ-სამედიცინო 85:67

16:12, 24:24, 26:14, 19:17

თსუ: ხიზანიშვილი (1ქ), გაფრინდაშვილი (7ქ, 8მ, 6პ), მარხვაშვილი (5ქ), კოხრეიძე, ლონდარიძე (18ქ), კორკოტაძე (14ქ), ჩიტაშვილი (10ქ), მათიაშვილი (16ქ), დეკანოიძე, მ. ბერიშვილი (12ქ), მაისურაძე, ჩქარეული (2ქ)

სამედიცინო: გულისაბედაშვილი (8ქ), ჩაჩიბაია (2ქ), ი. ლეჟავა, თავართქილაძე (2ქ, 5პ), ბექაური (7ქ), ნინიაშვილი (6ქ), კეიდია (2ქ), როდუმტა (4ქ), ჭოჭუა (19ქ), ფაიქრიძე, დვალიშვილი (13ქ, 9მ), თენიეშვილი (4ქ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი

კომისარი: რ. ხომერიკი

B ჯგუფი

ენერჯი-დინამო 74:43

21:5, 20:6, 15:15, 18:17

ენერჯი: მაჭავარიანი (10ქ), ბერუაშვილი (1ქ), მებურიშვილი, მაისურაძე, აბაიშვილი, გუგავა (19ქ), ზედელაშვილი (2ქ), ლამუ (27ქ, 18მ), თვარაძე (5ქ), გ. არაბული (7ქ, 13მ), ობგაიძე (3ქ).

დინამო: ივანეიშვილი (2ქ), ეძგვერაძე (8ქ), პატარაია (8ქ), თვაური (4ქ), გლუნჩაძე (4ქ), შალიკიანი, ცაგარეიშვილი, ალხანაიძე (13ქ, 11მ), თავამაიშვილი (3ქ), გულდედავა (1ქ)

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, მ. ანდღულაძე

კომისარი: რ. გელოვანი

სოხუმი-სტუ 104:85

25:19, 25:19, 25:25, 29:22

სოხუმი: ფარღალავა (35ქ, 9მ, 5პ, 3ჩ), ჰარისი (30ქ, 5პ), ჩლაიძე, კვეტენაძე (4ქ), შანიძე (4ქ), სორდია (6ქ), კანკია, კოპალიანი (6ქ), რ. დამუსი (15ქ, 13მ), ანთაძე (4ქ)

სტუ: ჭოხონელიძე (8ქ), ვ. ბერუაშვილი (15ქ), ჩიკვილაძე (18ქ), გასიტაშვილი (2ქ), თევზაძე (2ქ), კობიძე (8ქ), ჯანგველაძე (14ქ), ჩალიგავა, ლაშქარაძე (6ქ), მჭედლიშვილი (2ქ), ძიძიგური (8ქ), ახალკაცი (2ქ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, დ. სადღობელაშვილი

კომისარი: რ. გელოვანი

ბოლო დროს კარგი ტრადიცია დაფუძნდა: ყოველი წლის ახალი საკალათბურთო სეზონი ოლიმპიური ჩემპიონების, ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალით იხსნება. ასევე ტრადიციად იქცა ამ შეჯიბრების რუსთავში გამართვა და კიდევ ერთი - როგორც წესი, მემორიალს რუსთავის „ენერჯი“ იგებს.

რუსთაველებმა წლევანდელი ტურნირიც შესანიშნავად დაიწყეს - 74:43 გაიმარჯვეს, თუმცა დღესვე შეიძლება ითქვას, რომ „ენერჯი“ მემორიალს ზედიზედ მეხუთედ ვეღარ მოიგებს. ამის მიზეზი მარტივია: პირველი წრის შემდეგ ქვემოქართლელთა გუნდი ხუთმა წამყვანმა კალათბურთელმა დატოვა - **ჟულივეტ ტუჯანი** და **ბექა წივნივაძე** სსს-ში გადავიდნენ, **გოგა ცეკვავა** - „ქუთაისში“, **დუდა სანაძე** „ბათუმში“, ხოლო **აკაკი დვალიშვილი** „სამედიცინოში“.

ბუნებრივია, გაგიჩნდებოდათ კითხვა: მაშ, „ენერჯიში“ ვინღა დარჩა? შეგიძლიათ გუნდის განაცხადს გადახედოთ და რუსთავში დარჩენილთა გვარებს ამოიკითხავთ. ...ახალგაზრდული და პერსპექტიული გუნდი. თუ უფროსობამ „ენერჯის“ არ მიხედა, ერთ-ორ წელიწადში „ენერჯის“ ეს ახალგაზრდებიც დატოვებენ და მივიღებთ „დინამოს“ მსგავს არასახარბიელო სიტუაციას.

ჰო, მართლა, რუსთაველებმა გუშინ სწორედ „დინამოს“ მოუგეს 31-ქულიანი სხვაობით... როგორც ჩანს, საფეხბურთო „დინამოში“ ახალი მფლობელის გამოჩენის მიუხედავად — საკალათბურთოში არაფერი შეცვლილა...

■■■

ბევრი რამ შეიცვალა სსს-სა და „აგრარულში“. ორივე გუნდში ახალი მწვრთნელები გამოჩნდნენ. ძალოვნებს **არჩილ ჟღენტთან** ერთად **დავით უსტიაშვილი** გაუძღვა, ხოლო „აგრარულის“ ახალი თავკაცი **გია კაზანჯიანი** კადეტთა ნაკრებთან ერთად შეკრებაზეა და სტუდენტები მისმა თამაშემწე **თემურ აბულაძემ** გაიყვანა.

სსს-ს შემადგენლობაში კარგად გაისარჯნენ ახალწვეულები ჟულივეტ ტუჯანი და ბექა წივნივაძე. მათ ნამდვილად არ ეტყობოდათ, რომ ახალ გუნდში პირველ მატჩს ატარებდნენ. ძალოვნებს „აგრარები“ პირველ მეოთხედში გაუძალიანდნენ, მაგრამ მეორე პერიოდიდან სსს-მ თამაში დაალაგა და ანგარიშიც სოლიდური უპირატესობა მოიპოვა. იყო ეპიზოდი, როცა ძალოვნები 40 ქულის სხვაობით დაწინაურდნენ, საფინალო სირენამ კი ამ მატჩშიც 31-ქულიანი სხვაობა დააფიქსირა.

■■■

დღის ცენტრალური მატჩი სტუდენტური დერბი იყო - თსუ „სამედიცინოს“ დაუპირისპირდა. „მედიკოსების“ რიგებში პირველი წრის შემდეგ რამდენიმე ცვლილებაა: მთავარ მწვრთნელად **ნუგზარ კანდელაკი** დაინიშნა. გარდა ამისა, გუნდში გადავიდნენ აკაკი დვალიშვილი და **ნოდარ თენიეშვილი**. „სამედიცინოში“ ჩატარებულ პირველივე მატჩში აკაკის ორმაგ დუბლამდე ცოტა დააკლდა - 13 ქულა, 9 მოხსნა.

თავის მხრივ თსუ-შიც მატებაა - „არმიადან“ **მიხეილ ბერიშვილი** გადავიდა. ორი ნუგზარის (კანდელაკისა და **ჭეიშვილის**) დუელში გამარჯვებული თსუ-ს თავკაცი გამოვიდა. თსუ-ელებმა გადამწყვეტ უპირატესობას მესამე პერიოდში მიაღწიეს - 26:14 მოიგეს და ბოლო მეოთხედში უპირატესობის შენარჩუნება მოახერხეს.

ასე რომ, პირველი ტურის შემდეგ გამოიკვეთა A ჯგუფის ორი ფავორიტი - თსუ და სსს. ამ ჯგუფში ერთ-ერთი მთავარი მატჩი 20 იანვარს დილის 12 საათზე გაიმართება, სსს „სამედიცინოს“ დაუპირისპირდება.

■■■

თურქული შეკრებიდან დაბრუნებულმა „სოხუმმა“ მემორიალის პირველ ტურში **იუჯინ ჰარისისა** და **ლაშა ფარღალავას** ძალისხმევით იოლად დაძლია სტუ-ს წინააღმდეგობა.

სოხუმელებმა სუპერლიგის პირველი წრის შემდეგ 2 უცხოელი მოთამაშე დაკარგეს - ლიტველი **პეტრას ბალოჩკა** და ამერიკელი **მაიკ მაქქერი**. სამაგიეროდ, გუნდის ხელმძღვანელობამ შემადგენლობა გააძლიერა ექსსტუელი **ზვიად ანთაძით**, რომელსაც პირველივე მატჩში ყოფილი გუნდის წინააღმდეგ მოუწია თამაშიმა და მისდა გასახარად, გამარჯვება „სოხუმს“ დარჩა.

დღის ბომბარდირი ლაშა ფარღალავა გახდა, რომელმაც სტუ-ს 35 ქულა ჩაუგდო.

სოხუმელებმა პირველი და მეორე მეოთხედი ერთნაირი ანგარიშით - 25:19 მოიგეს. მეორე პერიოდის შუაწელში სტუ-მ თამაში გამოასწორა და ანგარიში გაათანაბრა, თუმცა **ვაჟა კვარაცხელიას** გაწვრთნილმა სოხუმელებმა მალევე შეატრიალეს მატჩის ბედი თავის სასარგებლოდ. ფარღალავამ და ჰარისმა გუნდს ჯამში 65 ქულა შესძინეს, რითაც მეტოქეს წარმატების შანსი გადაუწურეს.

19 იანვარს ნათლისღებაა. შესაბამისად, მემორიალზე შესვენებაა გამოცხადებული. მეორე ტური 20-ში გაიმართება.

● ქართველი NBA-ში

გაუჭირდათ, ჯო!

„საკრამენტო კინგსთან“ საშინაო მატჩის შემდეგ **ზაზა ფაჩულიამ** აღნიშნა:

- ამ შეხვედრის მოგება ჩვენს გეგმებში შედიოდა. „საკრამენტომ“ დიდი წინააღმდეგობა გაგვიწია. საერთოდ რთული დღე გვქონდა...

როგორც მიხვდით, „ატლანტას“ დასავლეთის კონფერენციის აუტსაიდერ „კინგსთან“ (9 მოგება 30 წაგება) გამარჯვების მოპოვება გაუჭირდა, „მეფეები“ მეოთხე პერიოდამდე ინარჩუნებდნენ 9-ქულიან უპირატესობას, მაგრამ ძალამ აღმართი... უფრო სწორად **ჯო ჯონსონმა** თავისი გაიტანა და სტუმრებს მოგება არ დაანება.

ახლა ფურო კონკრეტულად: მესამე პერიოდი საკრამენტოელმა **ტომპსონმა** ორქულიანით დახურა - 82:73. მეოთხე პერიოდის დაწყებასთან ერთად გაორმაგებული ენერგიით ამოქმედდნენ მასპინძლები **სმიტი** და ჯონსონი. სწორედ ამ უკანასკნელის ორქულიანის შემდეგ, „ატლანტამ“ ანგარიში გაათანაბრა (86:86), რის შემდეგაც სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა, გამარჯვებულის ვინაობის გასარკვევად გულშემატკივარს ბოლო წამებამდე მოუწია მოცდა. მატჩის დასრულებამდე 36 წამით ადრე სტუმარმა **ლენდრიმ** ანგარიში აგათანაბრა - 96:96. 23 წამით ადრე ჯონსონმა ეფექტური დრიბლინგი შეიდეგიანად დააგვირგვინა და „ჰოქსი“ ორით დააწინაურა. არანაკლებ ეფექტური ორქულიანი გამოუვიდა საკრამენტოელ **ტარიკ ევანსს** - 98:98. სირენამდე 11 წამით ადრე „ატლანტამ“ ბოლო იერიში წამოიწყო, როგორც მოსალოდნელი იყო ბურთი ჯო ჯონსონმა მოიხელთა და მეტოქის კალათის კენ დაიძრა. იგი „მეფეებმა“ წესების დარღვევით შეაჩერეს. ჯომ ორივე საჯარიმო გამოიყენა, ანგარიშზე 36 ქულა ჩაიწერა, ხოლო „ატლანტას“ 100:98 მოაგებინა.

ზაზამ რომ თქვა, მძიმე დღე გვქონდაო, ალბათ, საკუთარი თამაშიც იგულისხმა. იგი მწვრთნელმა მხოლოდ 3 წუთით ათამაშა. ამ დროში ქართველი ცენტრი სამჯერ დავაჯარიმდა და 1 მოხსნა მიითვალა.

ამ მოგებით „ატლანტა ჰოქსმა“ აღმოსავლეთის კონფერენციაში მეხუთედან მეოთხე ადგილზე აინაცვლა. მას 27 მოგება და 15 წაგება აქვს, ერთით მეტი ვიდრე მეხუთედგილოსან „ორლანდოს“. მესამე პოზიციაზე მყოფ „ჩიკაგოს“ 28 გამარჯვება უწერია. დღეს გამთენიისას „ქორები“ მაიამიში „ჰიტის“ წინააღმდეგ ითამაშებდნენ. მაიამელები კონფერენციაში მეორეები არიან - 30 მოგება, 12 წაგება.

ატლანტა-საკრამენტო 100:98

ზაზა ფაჩული: 3:08 წუთი, 1 მოხსნა, 3 ფოლი.

I პერიოდი

01:39 ზაზამ სმიტი შეცვალა
01:39 ფოლი: 1
00:40 ფოლი: 2
00:40 პაუელმა ზაზა შეცვალა

III პერიოდი

02:15 ზაზამ სმიტი შეცვალა
01:40 მოხსნა: შეტ-0, დაც-1
00:05 ფოლი: 3
00:05 უილკინსმა ზაზა შეცვალა

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

● ლეგიონერები



გრინმა ითამაშა და ნააგო

გურჯანაძეს არ უთამაშია და...

წლეულს ევროთასისა და ევროჩელენჯზე საქართველოს ნაკრების სამი კალათბურთელი თამაშობდა: **მანუჩარ მარკოიშვილი, გიორგი ცინცაძე** და **ტორინ გრინი**. ტრიოდან პირველი რაუნდი მხოლოდ გრინის „გრან კანარიამ“ გადალახა და მეორე ჯგუფურ ეტაპზე რუსულ „უნიქსთან“, გერმანულ „ალბასთან“ და იტალიურ „ბენეტონთან“ მოხვდა.

პირველ ტურში კანარელები რუსეთს ესტუმრნენ. „უნიქსი“-“გრან კანარიას“ მატჩი ბოლომდე თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, გადამწყვეტ მომენტში ყაზანელებმა მეტი სიზუსტე გამოიჩინეს და სამქულიანი სხვაობით მოიგეს - 67:64.

ესპანელთაგან 10-ქულიანი ზღვარი მხოლოდ **ჯეისონ ქეროლმა** გადალახა, რომელმაც 22 ქულას მოუყარა თავი. საქართველოს ნაკრების უკანახაზელმა ტორინ გრინმა 24 წუთში 5 ქულა ჩააგდო, რასაც 3-3 მოხსნა-პასი მიამატა. მან 2 ორქულიანი გააცუდა, 3-დან 1 სამიანი და 2-დან 2 საჯარიმო გამოიყენა.

„უნიქსის“ შემადგენლობაში 12 ქულა და 5 მოხსნა გაიფორმა პოლონეთის ნაკრების ფორვარდმა **მაციი ლამპემ**, რომელსაც ქართველი გულშემატკივარი ზაფხულის მატჩებიდან იცნობს.

■■■

ევროთასის პირველ ეტაპზე „პანელინიოსთან“ მარცხის გამო მარკოიშვილის „კანტუ“ გათამაშებას გამოეთიშა. თანამემამულის გამო შურისძიების შანსი ჰქონდა **ბექა ბურჯანაძეს**, რომელიც „კახასოლის“ პირველ გუნდში წლეულს გადაიყვანეს. ევროთასის მეორე ეტაპზე სევილიური გუნდი „პანელინიოსთან“ ერთად L ჯგუფში მოხვდა. წინასწარ გეტყვით, მწვრთნელმა ბექას მოედანზე შეყვანისგან თავი შეიკავა.

რაც შეეხება მატჩს, იგი ბურჯანაძის თანაგუნდელთა მცირე უპირატესობით დაიწყო. პირველი ტაიმის 45:38 მოგების შემდეგ ბერძნებმა თამაში შეამოატრიალეს და საბოლოოდ იმდენი მოახერხეს, რომ მატჩის ძირითადი დრო ფრედ, 70:70 დასრულდა.

ოვერტაიმში **ლუის ბალოკისა** და **პოლ დევისის** სიზუსტის წყალობით „კახასოლმა“ თავიდანვე მოიპოვა მცირე ფორა და საბოლოოდ გაიმარჯვა კიდეც - 87:82.

მატჩის ბომბარდირი სწორედ ბალოკი გახდა - 23 ქულა.

● ძიუდო. ინტერვიუ სოსო ლიპარტელიანთან

ევროპამდე მედლებს არ ველოდებით

შეგახსენებთ: ჩვენმა ძიუდოისტებმა წარუმატებლად დაიწყეს გამოსვლა ახალ სეზონში - ბაქოში ჩატარებულ მასტერსის შეჯიბრებაზე მათი საუკეთესო შედეგი მეხუთე ადგილია. ოლიმპიურ რეიტინგში ქულები მხოლოდ ამირან პაპინაშვილმა (60) და ვალერი ლიპარტელიანმა (90) შეიმატეს. სამწუხაროდ, დავით ასუმბანი (60), ლევან წიკლაური (81), ლომერ ჟორჟოლიანი (100) და ზვიად ხანჯალიაშვილი (+100) პირველივე წრიდან გამოვარდნენ.

ბუნებრივია, შედეგი არანაირად არ იძლევა დამშვიდების საფუძველს, თუმცა ისიც გავითვალისწინოთ, რომ გუნდი ახლებური სისტემით, ბევრად გაზრდილი დატვირთვით ემზადება, ამასთან შეგუება კი ბევრს უჭირს. თუმცა მწვრთნელთათვის, როგორც ადრეც ვწერდით, ამ ეტაპზე მთავარი არა შედეგი, არამედ ამ დატვირთვასთან შეგუებაა, რადგან მათ ასე მიაჩნიათ - უამისოდ შედეგი არ იქნება. კაცმა რომ თქვას, მართალიცაა - არა მარტო ტრადიციულად ძლიერმა ქვეყნებმა, მონღოლეთმა, შუა აზიის გუნდებმა და სხვებმაც იმდენად მოუმატეს, უკვე საგრძნობლად გაგვისწრეს. მოკლედ, პროგრესი აუცილებელია და გუნდი ახლაც მთელი სიმძლავრით ემზადება ზუსტად ათ დღეში გასამართი თბილისის მსოფლიოს თასისთვის - შეკრებაზე მყოფი ნაკრები სამჯერად ვარჯიშებზეა გადასული!

ცხადია, არსებობდა მოსაზრება, რომ დატვირთვა თანდათან გაეზარდათ და არა - ერთბაშად, თუმცა მწვრთნელებმა ასე არჩიეს. შედეგებზე პასუხს ისინი აგებენ, საამისოდ კონკრეტული გეგმაც დადეს - მედლებს ევროპა-მსოფლიოზე გვპირდებიან და დაველოდოთ, მათ საქმეში ჩარევა არ იქნება გამართლებული. თუმცა ისეც ნუ გაგვიგებთ, თითქოს ურმის გადაბრუნებას ველოდებით! სულაც არა. პირიქით - ვიმეორებთ, რომ ფიზიკური მომზადება ჩვენი ათლეტების „აქილევსის ქუსლია“ და ამ კონდიციის ამაღლების გარეშე წარმატებაზე ნურც ვიოცნებებთ.

ბაქოს მასტერსის შედეგებსა თუ ნაკრების თბილისური ტურნირის სამზადისზე გუნდის თავკაცი სოსო ლიპარტელიანი გვესაუბრება. მას არ დაუმალავს, რომ, ყველაფრის მიუხედავად, ბაქოდან ორ მედალს მაინც ელოდნენ.

- შედეგი რაცაა, გასაგებია, მაგრამ ბიჭებმაც თუ აჩვენეს მომზადების ის დონე, რასაც ელოდით?

- ამ ტურნირს რაიმე დიდ იმედებს არც ვუკავშირებდით, თუმცა ვალერი ლიპარტელიანთან დაკავშირებით რაც მოხდა, თქვენც ნახეთ. მსაჯთა ასეთი მიკერძოება რომ არა, ვფიქრობ, მედალი გვექნებოდა. მას და პაპინაშვილს ჰქონდათ პრიზიორთა შორის მოხვედრის შანსი.

- მაგრამ საკითხავია, მათაც აჩვენეს კი საკუთარი მაქსიმუმი?

- მაქსიმუმი ვერ აჩვენეს, რადგან ჯერ არ არიან ფორმაში. ამიტომ მათი გამოსვლა არ იყო უნაკლო, თუმცა მსაჯებმაც ძალზე არაობიექტურად იმსაჯეს. ისევ ლიპარტელიანის შეხვედრას გავიხსენებ, სადაც ტაბლოც კი გაითიშა იმდენი ხნით. თუმცა ცხადია, მასაც რომ მოეგო დამაჯერებლად, გამარჯვებას ვერავინ წაართმევდა.

- დანარჩენი ოთხეულის სუსტ გამოსვლას ელოდით? ვთქვათ, წიკლაურისგანაც არ იყო წარმატების იმედი?

- წიკლაურს ტრავმა აწუხებდა და ვარჯიშები აკლდა. სიმართლე გითხრათ, ამ ტურნირიდან ორ მედალს ველოდით, რასაც პაპინაშვილსა და ლიპარტელიანზე ვგეგმავდით.

- ტრავმა პაპინაშვილსაც აწუხებდა. მოირჩინა ბოლომდე?

- ბოლომდე კი მოირჩინა, მაგრამ მოსამზადებლად დრო არ ეყო, ვარჯიშები მასაც აკლდა - მხოლოდ სამი კვირა ემზადებოდა.

- ასეთმა გამოხვლამ ისევ გააქტიურა კითხვა, გაუძლებენ კი სპორტსმენები გაზრდილ დატვირთვას. ახლა როგორ აფასებთ ამ საკითხს - შეეგუვნენ მას?

- კი, უკვე შეეჩვივნენ. თბილისის მსოფლიოს თასისთვისაც ასევე გაზრდილი დატვირთვებით ვემზადებით. თუმცა ჯერ მაინც სანყისი ეტაპია და ბიჭები შტანგაზე ვარჯიშობენ. ამიტომ მათგან ამ ეტაპზე შედეგებს არც ვითხოვთ. როგორც ადრე ვთქვით, მედლებს ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე ველოდებით, საერთაშორისო ტურნირებზე კი მედლებზე არ გაკეთდება აქცენტი.

- ანუ ნაკრების ხელმძღვანელობა კურსის შეცვლას არ აპირებს...

- არა, არ ვაპირებთ. ძირითად აქცენტს პირველხარისხოვან შეჯიბრებებზე გადავიტანთ. ცხადია, უცხოურ ტურნირებზეც წარმატებით უნდა ვიჭიდაოთ, რადგან ოლიმპიური ლიცენზიებია მოსაპოვებელი, მაგრამ ბიჭებს ყველა შეჯიბრებაზე პიკზე ყოფნას ვერ მოვთხოვთ.

- თბილისის ტურნირისთვის როგორი გრაფიკით ემზადებით?

- უკვე ოთხი დღეა, შეკრებაზე ვართ და დღეში სამჯერადაც ვვარჯიშობთ. დილით ფიზმომზადებით ვიწყებთ, მერე კი ლეიბზე შევდივართ, თუმცა პერიოდულად მას შეიძლება, რამე თამაში შევუნაცვლოთ. პარასკევს და შაბათს საკონტროლო შეხვედრები გვექნება, იმ კვირიდან კი თანდათან მოვუკლებთ დატვირთვებს.

- საბოლოო შემადგენლობა ხომ არ გაგირკვეიათ?

- ჯერ არა, მაგრამ ძველი შეთანხმება, რომ შეჯიბრებაზე საქართველოს ჩემპიონატის მედალოსანთა ოთხეულმა იჭიდაოს, ისევ ძალაშია. უბრალოდ, ორი კაცის დამატებას ვაპირებთ, რომლებიც იმ ოთხეულებში ვერ მოხვდნენ - პაატა მერებაშვილი 60-ში და არსენ მაჭარაშვილი 66-ში. ჯერ არ გაგვირკვევია, ვის ნაცვლად იასპარეზებენ ისინი, მაგრამ მხოლოდ მესამე პრიზიორებს თუ შეცვლიან, თორემ ფინალისტები თბილისში აუცილებლად იჭიდავებენ.

ირაკლი თავაძე

● სუმოს სამყარო. ჰაცუ ბაშო. 9-23 იანვარი

დღეს თუ წააგებს, გავარდება



დიდი ხანია, რაც **კოკაის (ლევან ცაგურია)** ასეთი მნიშვნელოვანი ბრძოლა არ ჰქონია, როგორიც დღეს - „შავი ზღვა“ მონღოლ **კორიუს** შეხვდება. გამარჯვების შემთხვევაში, ლევანი კარიერაში მე-400 ორთაბრძოლას მოიგებს და დადებითი ბალანსისთვის ბრძოლას გააგრძელებს, წააგებს და ყველაფერი მორჩება - დასრულდება მისი 7-წლიანი ყოფნა უმაღლეს დივიზიონში, კარიერაში პირველად ის ლიგიდან დაქვეითდება. კორიუს კოკაი აქამდე ერთადერთხელ შეხვედრია, 2008 წლის ნოემბრის ბაშოზე მონღოლს ოშიდაშით მოუგო. ჩვენებურმა თავი ასეთ საფრთხეში ახალი წლის ბაშოზე ცუდი ასპარეზობით ჩაიგდო, გუშინდელი მარცხის შემდეგ მას 3-7 ბალანსი აქვს, რეიტინგით კი მე-15 მაეგაშირაა, ანუ გავარდნის კანდიდატი. გუშინ მან უვატენაგეს ილეთით წააგო **კიტატაიკისთან**.

ბაშოს მე-10 დღე ქართველთათვის კატასტროფული იყო, სამივე ჩვენებურმა წააგო - **ტოჩინოშინმა** ვერაფერი მოუხერხა **კაკურიუს**, ხოლო **გაგამარუმ მოკონამისთან** დათმო. გაგამარუს 4-6 ბალანსი აქვს, ტოჩინოშინს - 1-9.

იანვრის ბაშოს დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო** ლიდერობს ნაუგებლად (10-0). ის უკვე ორი მოგებით უსწრებს მდევრებს, რომელთა რიცხვი ოთხია, ორი ოძეკი (**ბარუტო** და **კოტოოშუ**) და ორი რიგითი მაეგაშირა (**ოკინოუმი, ტოჩინონადა**).

X დღე: **ჰაკუჰო-კოტოშოგიკუ (ცუკიოტოში), არანი-ბარუტო (ცურიდაში), ჰომაშო-კოტოოშუ (ოშიდაში), ჰარუმაფუჯი-გოეიდო (ოშიტაოში), კაიო-კისენოსატო (ჰატაკიკომი), კაკურიუ-ტოჩინოშინი (ცუკიოტოში), ტოჩიოძანი-ამინიშიკი (ოშიდაში), ტოიონოშიმა-იოშიკაძე (ოშიდაში), ტამავაში-კიოკუტენჰო (იორიკირი), ტაკეკაძე-ტოკუსეგავა (ცუკიოტოში), ასასეკირიუ-ტოკიტენკუ (უვატენაგე), მოკონამი-გაგამარუ (იორიკირი), კიმურაიამა-ტოსაიუტაკა (ოშიდაში), კიტატაიკი- კოკაი (უვატენაგე), ტოჩინონადა-ვაკანოსატო (კოტენაგე), ტოიოჰიბიკი-ტაკამისაკარი (იორიკირი), კოტოკასუგა-ჰაკუბა (ოშიდაში), მიაბიამა-ვაკაკოიუ (ჰატაკიკომი), შიმოტორი-სოკოკურაი (იორიკირი), ოკინოუმი-შოტენრო (იორიკირი), კორიუ-ტოიოძაკურა (ოშიდაში).**

სატურნირო მდგომარეობა: **10-0: ჰაკუჰო (იოკოძუნა). 8-2: ბარუტო (ოძეკი), კოტოოშუ (ოძეკი), ოკინოუმი (მაეგაშირა 13), ტოჩინონადა (მ 16). 7-3: კაიო (ოძეკი), ჰარუმაფუჯი (ოძეკი), კოტოშოგიკუ (სეკივაკე), ვაკანოსატო (მ 9)... 4-6: გაგამარუ (მ 6)... 3-7: კოკაი (მ 15)... 1-9: ტოჩინოშინი (მ 2).**

XI დღე: **ჰაკუჰო-კისენოსატო, კოტოოშუ-ჰარუმაფუჯი, კაიო-ტამავაში, ბარუტო-კოტოშოგიკუ, ტოჩიოძანი-იოშიკაძე, კაკურიუ-არანი, ამინიშიკი-ტოიონოშიმა, ტოჩინოშინი-ტოკუსეგავა, გაგამარუ-ჰომაშო, გოეიდო-კიტატაიკი, ასასეკირიუ-ტაკამისაკარი, მიაბიამა-კიოკუტენჰო, ტაკეკაძე-ჰაკუბა, კოტოკასუგა-ტოსაიუტაკა, ტოკიტენკუ-ტოჩინონადა, ოკინოუმი-ვაკანოსატო, შოტენრო-ტოიოძაკურა, ტოიოჰიბიკი-შიმოტორი, კოკაი-კორიუ, მოკონამი-სოკოკურაი, ვაკაკოიუ-კიმურაიამა.**

ნიკოლოზ ნეფარიძე

● ჩოგბურთი



ოთხი ქართველი საფრანგეთში

საჩოგბურთო სეზონი **ანა ტატიშვილისა** (130) და **ოქსანა კალაშნიკოვას** (191) გარდა სხვა ქართველებმაც დაიწყეს. **მაკა ჩახნაშვილი** (257), **სოფიო შაფათავა** (281), **თათია მიქაძე** (292) და **სოფიო ქვაცაბაია** (416) საფრანგეთის ქალაქ ანდრეზიო-ბუტეონის 25-ათასიან ტურნირში ჩაერთვნენ. მაკა ძირითად ბადეში რეიტინგით მოხვდა, დანარჩენები კი საკვალიფიკაციოში განთესეს. პირველ საკვალიფიკაციო წრეში შაფათავამ, რომელიც მე-3 ნომრად განთესეს ხორვატი **დარია იურაკი** (398) დაამარცხა - 6:3, 6:4, მე-5 ნომრად განთესილმა მიქაძემ „უაილდ ქარდით“ მიწვეული ფრანგი **კაროლინ რომეო** დაამარცხა - 6:4, 6:2. ქვაცაბაიამ პირველივე რაუნდში პირველ ნომრად განთესილ ფინელ **ემა ლაინესთან** (274) წააგო - 0:6, 1:6. ფინალურ რაუნდში სხვებმაც დათმეს მატჩები - შაფათავამ ვერაფერი გაახერხა ფრანგ **მირტილ ჟორჟესთან** (396) - 2:6, 4:6, მიქაძემ კი მე-15 ნომრად განთესილ გერმანელ **ანიკა ბეკთან** (393) წააგო - 3:6, 2:6. მაკა ჩახნაშვილი ძირითადი ბადის პირველ წრეში უკრაინელ **ტეტიანა არეფიევას** (337) გაეჯიბრება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

სპორტული ფედერაციების, ორგანიზაციების, კლუბების, რეგიონების ძალაძების და რაიონების საყურადღებოდ!

„ლელო“ ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი საქმიანობის დღევანდელობა და წინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის დაგვიკავშირდით ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

● მკითხველთა თხოვნით

სპორტის საარბიტრაჟო სასამართლო

სპორტის საარბიტრაჟო სასამართლო (Court of Arbitration for sport-CAS). საერთაშორისო სასამართლო, რომლის დანიშნულებაა სპორტთან დაკავშირებული დავების გადაჭრა. ამგვარი სასამართლოს შექმნის იდეა 1981 წელს წამოაყენა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მაშინ ახალარჩეულმა პრეზიდენტმა **ხუან ანტონიო სამარანჩმა.** იმ პერიოდისთვის სპორტულ სამყაროში საერთაშორისო შეჯიბრებებთან დაკავშირებული დავები სულ უფრო გახშირდა, მაგრამ არ არსებობდა არავითარი დამოუკიდებელი იურიდიული ინსტიტუტი, რომელიც უფლებამოსილი იქნებოდა მსგავსი კონფლიქტები გაეხილა და მოეგვარებინა. ამიტომ შეიქმნა საგანგებო ჯგუფი ოლიმპიური კომიტეტის წევრის, ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს მსაჯულის, **კიბა მბეის** ხელმძღვანელობით, მომზადდა სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოს წესდება.

ოფიციალურად სასამართლო 1984 წელს დაფუძნდა. იგი განიხილავს სპორტთან დაკავშირებულ კომერციული და დისციპლინური ხასიათის დავებს. პირველი კატეგორია გულისხმობს ისეთ დავებს, რომლებიც ეხება კონტრაქტის პირობების დარღვევას, სატელევიზიო უფლებების გაყიდვას, სპორტული ღონისძიებების ორგანიზებას, სპორტსმენების გაყიდვას (ტრანსფერს), მათს ურთიერთობას მწვრთნელებთან და სპორტული კლუბების მეპატრონეებთან, სპორტულ აგენტებთან (დამქირავებელ სააგენტოებთან). სასამართლო განიხილავს აგრეთვე სამოქალაქო პასუხისმგებლობის საკითხებს (მაგ., შეჯიბრების დროს მომხდარი უბედური შემთხვევის გამო წარმოქმნილ დავებს). მეორე კატეგორიის დავების უმეტესობა დაკავშირებულია სპორტსმენების მიერ დოპინგის მიღებასთან. გარდა ამისა, განიხილება სპორტში ძალადობის, სპორტსმენების მხრიდან მსაჯების შეურაცხყოფის შემთხვევები. სპორტის საარბიტრაჟო სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს საქმე, თუ მას ორივე მოდავე მხარე მიმართავს. 1994 წელს სასამართლოში სტრუქტურული რეფორმა ჩატარდა, შეიქმნა სპორტის საერთაშორისო საარბიტრაჟო საბჭო (**International council of Arbitration for sport-ICAS**), რომლის მიზანიცაა სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოს დამოუკიდებლობისა და უფლებების დაცვა. რეფორმის აუცილებლობა აშკარა გახადა ცხენოსან **ელმარ გუნდელის** სასამართლო საქმემ — 1992 წელს ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ გუნდელი ცხენისთვის დოპინგის მიცემაში დაადანაშაულა და შეჯიბრებებში მონაწილეობა სამი თვით აუკრძალა. გუნდელმა სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოს დახმარება სთხოვა. სასამართლომ მას დისკვალიფიკაციის ვადა ერთ თვემდე შეუმცირა, მაგრამ ცხენოსანი მაინც უკმაყოფილო დარჩა და შვეიცარიის ფედერალურ ტრიბუნალს მიმართა — სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოს უჩივლა. სპორტსმენი აცხადებდა, რომ სასამართლოს მსგავსი დავების გარჩევის უფლება არა აქვს. ფედერალურმა ტრიბუნალმა სპორტის საარბიტრაჟო სასამართლო გაამართლა და მისი სტატუსი ოფიციალურად აღიარა, მაგრამ ასევე ცხადი გახდა, რომ მისი უფლებების დასაცავად საგანგებო ინსტიტუტის შექმნა იყო საჭირო: სპორტის საერთაშორისო საარბიტრაჟო საბჭო ნომინალურად ცალკე ორგანიზაციაა, თუმცა ფინანსდება და იმართება სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოს მეთვალყურეობით, რადგან, ფაქტობრივად, მისი შემადგენელი სტრუქტურაა.

> სპორტის საარბიტრაჟო სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს საქმე, თუ მას ორივე მოდავე მხარე მიმართავს

წყარო: სპორტის ენციკლოპედია

● 60 წლის წინათ ამ დღეს „ლელოს“ ფურცლებზე



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по делам физической культуры и спорта при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского Совета профсоюзов

გამოცემის მე-7 წელი

№ 8 (444) პარასკევი, 19 იანვარი, 1951 წ. ფასი 30 კ

გვჭირდება ქართული სპორტული ტერმინოლოგია!

ამონარიდი 1951 წლის 19 იანვრის „ლელოდან“

„დღეს, როდესაც ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებამ მაღალ საფეხურს მიაღწია, ერთ მეტად მტკივნეულ საკითხზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება: გვჭირდება ქართული სპორტული ტერმინოლოგია!

სამწუხაროდ, ამ საშვილიშვილო საქმეს სათანადო ყურადღება არ ექცევა. საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა, რომელსაც დავალებული ჰქონდა ქართული სპორტული ტერმინოლოგიის შედგენა, ჯერ კიდევ შარშან ჩააბარა იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სატერმინოლოგიო კომისიას. მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა, მაგრამ საქმე ადგილიდან არ იძვრის.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარება გადაუდებლად მოითხოვს ამ საკითხის რაც შეიძლება მოკლე დროში გადაჭრას. დასამალი არაფერია: სპორტულ გამოცემებში ქართულ ენაზე ბევრი უხეირო, მახინჯი ტერმინი გვხვდება, ვაწყდებით არანორმალურ სხვადასხვაობას განმარტებებში, ხშირად ესა თუ ის ტერმინი მექანიკურადაა გადმოტანილი სხვა ენიდან და სხვ. რატომ უნდა ხმარობდნენ გაზეთები, მაგალითად, სიტყვას „გროსმეისტერი“? განა ქართული „დიდოსტატი“ იმასვე არ გამოხატავს? დიდოსტატი ხომ ქართული სიტყვაა... მეორე მაგალითი: სიტყვას новичок ასე ხმარობენ: „დამწყები“. ჯერ ერთი, „დამწყები“, არის начинающий, მეორე, მშვენივრად გამოხატავს ტერმინს новичок — სიტყვა „ახალბედა“.

ერთ გარემოებას უნდა გავუწიოთ აგრეთვე ანგარიში. ფიზკულტურასა და სპორტს სპეციალისტთა, მწვრთნელთა, მასწავლებელთა, ხელმძღვანელ მუშაკთა დიდი არმია ემსახურება. თავიანთ ყოველდღიურ, პასუხსაგებ საქმიანობაში მათ უდიდეს სამსახურს გაუწევს სპორტული ტერმინოლოგია, ურომლისოდაც ძალზე გაძნელებულია ფიზკულტურის მუშაკთა მოღვაწეობა. ეს განსაკუთრებით ითქმის რესპუბლიკის რაიონებში მომუშავეებზე.

ჩვენი გაზეთი ცდილობს თავისი წვლილის შეტანას ქართული სპორტული ტერმინოლოგიის დადგენაში. ამ ძიებაში, ცხადია, გაზეთს ბევრი ნაკლი გააჩნია. მის ფურცლებზე ხშირად შეხვდებით ულაზათო გამოთქმებს, მაგრამ ახლის ძიებისას მოსალოდნელია შეცდომაც. ბევრი ახალი ტერმინი მკითხველს ყურს ჭრის, მიუჩვეველია მკითხველი ამ ახალს. ახალი ტერმინის დადგენისას, საჭიროა უაღრესი დაკვირვება, სიფაქიზე, ღრმა ანალიზი.

მეტად ძნელია და საპასუხისმგებლო არამცთუ ტერმინოლოგიის შედგენა, არამედ ერთი ტერმინის დადგენაც კი. მაგალითად, დავას იწვევდა სიტყვა предпоследний-ს თარგმნა (მაგალითად, предпоследний тур). გადავწყვიტეთ предпоследний ქართულად გვეწერა ასე: „ბოლოსწინა“. ეს და მრავალი სხვა სპორტული ტერმინი თავის ნამდვილ მოქალაქეობრივ უფლებას სპორტული ტერმინოლოგიის გამოცემის შემდეგ მოიპოვებს. მაშ, დავაჩქაროთ ამ უაღრესად აქტუალური საკითხის გადაჭრა.

გვჭირდება ქართული სპორტული ტერმინოლოგია!“

მინაწერი იმავე რედაქციისგან 60 წლის შემდეგ:
დიახ, გვჭირდება!

● ჭადრაკი

მიყუჩება შჯორმის შემდეგ

მარიამ დანელია (მარცხნივ), ნაზი პაიკიძე

ანაკლიაში ორდღიანი აბობოქრების შემდეგ მოჭადრაკე ქალთა ეროვნული ჩემპიონატის მონაწილეებმა ისევ მიყუჩება არჩიეს და გუშინ 6-დან 4 პარტიაც ყაიმით დამთავრდა. დაზავდნენ ერთპიროვნული ლიდერი **ბელა ხოტენაშვილი** (2440) და **ნინო ხურციძე** (2436), **მირანდა მიქაძე** (2362)-**მერი არაბიძე** (2315), **ნაზი პაიკიძე** (2455)-**ლელა ჯავახიშვილი** (2438), **ნინო ბაციაშვილი** (2396)-**მარიამ დანელია** (2248), თუმცა ამ უკანასკნელ პარტიაში 77 სვლა გაკეთდა. **მაია ლომინეიშვილმა** (2345) **მაკა ფურცელაძეს** (2323) სძლია, **სოფიო ხუხაშვილმა** (2437) კი სეხნია — **სოფიო ნიკოლაძე** (2254) დაამარცხა.

8 ტურის შემდეგ: ხოტენაშვილი - 5,5, ხურციძე - 5, ლომინეიშვილი, მელია - 4,5-4,5, ჯავახიშვილი, ნიკოლაძე, დანელია - 4-4, ხუხაშვილი, ფურცელაძე - 3,5-3,5, ბაციაშვილი - 3, პაიკიძე, მიქაძე - 2,5-2,5, არაბიძე - 1,5 ქულა.

დღეს მე-9 ტურში ითამაშებენ: ჯავახიშვილი-ბაციაშვილი, ნიკოლაძე-პაიკიძე, ფურცელაძე-ხუხაშვილი, ხოტენაშვილი-ლომინეიშვილი, არაბიძე-ხურციძე, მელია-მიქაძე, დანელია ისვენებს.

ვაჟა დანელია

ზარქუამ ისევ მოიგო

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გუშინ მოჭადრაკე ვაჟთა საქართველოს ჩემპიონატის ნახევარფინალური ორთაბრძოლები დაიწყო. ინტერესს იწვევდა წინა რაუნდების გმირის — 23 წლის **დავით ზარქუას** (2356) და მასზე 4 წლით უმცროს **ლუკა პაიჭაძის** (2483) პაექრობა. წილისყრამ თეთრები ზარქუას არგუნა. მანაც შესანიშნავად გამოიყენა პირველი სვლის უპირატესობა და 1:0 დაწინაურდა. მეორე ნახევარფინალური დაპირისპირება **გიგა ყუფარაძესა** (2395) და **ლევან ფანცულაიას** (2610) შორის ზავით დასრულდა. ფინალისტთა გამოსავლენად მეტოქეები კიდევ სამ პარტიას ითამაშებენ.

ვაჟა დანელია
ავტორის ფოტო

ლ ე ლ ო

ხელმოწერის მსურველთა საყურადღებოდ!

„ლელოზე“ ხელმოწერის გასაფორმებლად ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ ჩვენი საგამომცემლო სახლის სააგენტოს ელვა.ჯი. სურვილის შემთხვევაში სააგენტოს წარმომადგენელი თავად მოგაკითხავთ ორგანიზაციაში ხელმოწერის ნებისმიერი რიცხვიდან გასაფორმებლად. გაზეთის დროული და უკლებლივ მოწოდება გარანტირებულია.

დარეკეთ: 38 26 73; 38 26 74 ელვა.ჯი.

უცხოურ პრესაში. ინტერვიუ მაია ჩიბურდანიძესთან

სასწაულებისთვის ასაკი ხელს უწყობს

ლეგენდარულ ქართველ დიდოსტატს, ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონსა და საჭადრაკო ოლიმპიადების 9-გზის გამარჯვებულს, ოთხგზის საჭადრაკო „ოსკარის" მფლობელ მაია ჩიბურდანიძეს, როგორც გაუწყეთ, გასულ ორშაბათს 50 წელი შეუსრულდა. იუბილესთან დაკავშირებით გაზეთ „მოსკოვსკი კომსომოლეცში" ჩვენებურთან ინტერვიუ გამოქვეყნდა, რომელსაც მცირეოდენი შემოკლებით გთავაზობთ:

მაია ჩიბურდანიძემ ოლიმპის შტურმი 15 წლისამ დაიწყო და 17 წლისამ, 1978 წელს, ასევე ლეგედარული ნონა გაფრინდაშვილის ძლევით, ტიტული მოიპოვა.

— მაია, თქვენ მსოფლიოს პირველობისთვის 5 მატჩი მოიგეთ. ყველას სჯეროდა, რომ მეექვსე სიმაღლესაც დაძლევდით...

— მეც ასე მწამდა და ამან დამაღალატა. 1991 წელს ჩინელ სიუ უუნთან პაექრობისას დავწინაურდი კიდეც, მაგრამ შემდეგ მედგარ წინააღმდეგებას წავაწყდი. თანაც კლიმატი ფილიპინებისა, სადაც მატჩი გაიმართა, ჩემთვის აუტანელი გამოდგა.

— მას შემდეგ ორი ათეული წელი გავიდა. საერთაშორისო სარბიელზე კი მცირე შესვენებებით ჩინელები დომინირებენ. სად დაიკარგა სახელოვანი ქართული საჭადრაკო სკოლა?

— 90-იან წლებში საქართველოს ჭადრაკისთვის არ ეცალა, ამიტომაც პოზიციები დავთმეთ. ჩინეთში კი დიდი მატერიალური რესურსები გამოიყო ჭადრაკისთვის, გოგონებსაც მოტივაცია გაუჩნდათ და წარმატებებიც მოვიდა.

— კომბინაციური სტილისთვის გიწოდებდნენ „ფიშერს კაბაში". საბჭოთა პერიოდში ისევე გცნობდნენ ქუჩაში, როგორც კასპაროვს...

— დიახ, ასეა. ტიტული დავკარგე და ახლა ამის გამო „ვზარალდები". ერთხელ პერმის საერთაშორისო ტურნირისას ქუჩაში მილიციონერებმა ვერ მიცნეს და დამაპატიმრეს კიდეც. ვერაფერს იტყვი: ქალი შავ საბურველში, უპასპორტოდ, თანაც „კავკასიური იერით" — დასაეჭვებლად და დასაკავებლად საკმარისზე მეტი საბუთია. ისე, ქართველი მოჭადრაკე ქალები თავად ვართ ყველაფერში დამნაშავე — პირველობა ჩინელებს გადავუულოცეთ და ქუჩაშიც ველარ გვცნობენ...

— მამაკაცებთან თამაში არ გეშინიათ?

— პირიქით, მათ ეშინიათ. საშინლად განიცდიან, როცა სიმპათიურ გოგონებთან აგებენ. მახსოვს, ერთხელ ივანჩუკი პოლგართან დამარცხდა. ისეთ ხასიათზე იყო, მასთან მიახლება ვერავინ გაბედა.

— არ გეცოდებათ ვაჟები, რომლებიც გნებდებიან?

— მე რა, იბრძოლონ კაცურად! სხვათა შორის, როცა ისინი მიგებენ, ამას მაინცდამაინც არ განიცდიან.

— როგორ შეგიძლიათ, მთელი საღამო საჭადრაკო დაფასთან იჯდეთ და ფიგურებს თვალი არ მოსწყვიტოთ?

— ოდესღაც პაულ კერესმა იხუმრა — ქალები მამაკაცებთან იმიტომ აგებენ, რომ გადაბმით 5 საათი დუმილი არ შეუძლიათო. იძულებული გავხდი, დუმილის მეცნიერებას დავუფლებოდი.

— რატომღაც თამაშებზე ხშირად შავი ტანსაცმლით მოდიხართ და დაფასთან მდიდრული ფართოფარფლიანი ქუდით ზიხართ...

— საქართველოში მცხუნვარე მზე და სითბოა, ქალები მაინც ტრადიციულ მკაცრ შავ ტანსაცმელს ამჯობინებენ. რაც შეეხება შლაპას, ის არა მარტო ბრდღვიალა მზის სხივებისგან, არამედ მეტოქეთა გამჭოლი მზერისგანაც გიცავს. ამ მიზეზით, როგორც შევნიშნე, პოკერის მოთამაშეებს ხშირად შავი სათვალე უკეთიათ, რომ მოწინააღმდეგემ ვერ შენიშნოს, რას ფიქრობენ.

— მსოფლიოს ჩემპიონობა რომ მოიპოვეთ, მაშინ ერთ-ერთმა კორესპონდენტმა მიხეილ ტალს ჰკითხა: „როგორ შეაფასებთ მაია ჩიბურდანიძის შანსს, მსოფლიოს ჩემპიონი ვაჟთა შორისაც გახდეს?" მან დაუფიქრებლად უპასუხა: ყოველ შემთხვევაში, უფრო მაღლა, ვიდრე ჩემსას, ქალთა შორის მოვიპოვო მსოფლიოს ჩემპიონობა.

— მახვილგონივრულია, მაგრამ იუდით პოლგარმა ერთხელ ეს ხუმრობა კინაღამ სინამდვილედ აქცია (სენტ-ლუისში იგი ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობდა-ავტ.).

— 70-80-იანი წლების შეჯიბრებებზე, როგორც მსოფლიოს ჩემპიონ გარი კასპაროვს, დედა გახლდათ თან...

— დიახ, ეს იყო ბედნიერი დრო. დედამას ძალიან ვუყვარდი. როცა შეატყვეს, მათს ქალიშვილს საჭადრაკო მონაცემები ჰქონდა, მის გასავითარებლად ყველაფერი გააკეთეს, მთელი ცხოვრება ჩემს შემოქმედებით ზრდას შეალიეს. დედა ყოველთვის გვერდით მედგა - 30 წლის განმავლობაში ინანიშნავი ადამიანი გახლდათ.

— თქვენი პირადი ცხოვრება როგორ აეწყო?

— როგორც ამბობენ, არ გამიმართლა. ერთხელ გავთხოვდი, მაგრამ მალევე განვქორწინდით. ასეთი ექსპერიმენტი მეტი აღარ ჩამიტარებია. ამის მიუხედავად, მიმაჩნია, რომ დიდი ოჯახი მყავს — დები, შვილი დისშვილი...

— თქვენს ცხოვრებაში რელიგიას დიდი ადგილი უკავია...

— შვიდი წლის ვიყავი, ძმამ ჭადრაკის თამაში რომ მასწავლა. იგი ჩემზე 10 წლით უფროსი იყო. ორი წლის შემდეგ ტრაგიკულად დაიღუპა. ეს ჩვენთვის ძნელი გადასატანი აღმოჩნდა. ეკლესია დაგვეხმარა, რწმენამ გადაგვარჩინა.

— ტურნირებზე ხშირად მოძღვარი დაგყვებოდათ. ამბობდნენ, რომ მონასტერში აპირებდით წასვლას.

— ჩემი რწმენის მიუხედავად, მორჩილებისთვის ნებისყოფა არ მეყოფოდა. თუმცა ღმერთს წამითაც არ ვივიწყებ.

— მაია, ორიოდე წლის წინათ დრეზდენის საჭადრაკო ოლიმპიადაზე თქვენ ფენომენალური შედეგი აჩვენეთ: პირველ დაფაზე თითქმის ყველა საუკეთესო დიდოსტატს აჯობეთ. ასე რომ, თქვენგან კიდევ ველით სასწაულებს. საამისოდ ასაკი ხელს გიწყობთ. იუბილეს გილოცავთ, ბედნიერებას და ახალ გამარჯვებებს გისურვებთ.

მოამზადა **ვაჟა დანელიამ**

მიიღეთ მონაწილეობა თქვენი გაზეთის შექმნაში, გაახალეთ იგი თქვენთვის კიდევ უფრო საინტერესო

გთავაზობთ კითხვარს — შესაძლებლობა გეძლევათ თქვენი მოსაზრებები და იდეები, შენიშვნები და სურვილები გაგვიზიაროთ

ერთად შევქმნათ თქვენი გაზეთი!

☒ შესაბამისი უჯრა გადახაზეთ

1. თქვენი ასაკი
- ☐ 18-მდე
- ☐ 18-24
- ☐ 25-44
- ☐ 45-59
- ☐ 60-69
- ☐ 70-ზე მეტი

2. სქესი
- ☐ ქალი
- ☐ მამაკაცი

3. „ლელოს" გარდა რომელ სპორტულ გაზეთებს/ჟურნალებს კითხულობთ სისტემატურად?

_____

_____

4. ყველაზე მეტად სპორტის რომელი სახეობის შესახებ გაინტერესებთ ინფორმაცია?
- ☐ მთლიანად ქართული სპორტი
- ☐ ქართული ფეხბურთი
- ☐ მთლიანად უცხოური სპორტი
- ☐ უცხოური ფეხბურთი

სხვა (დაასახელეთ) _____

_____

5. დაასახელეთ მიზეზები, რის გამოც „ლელოს" კითხულობთ?

_____

_____

6. უპირველესად რას კითხულობთ „ლელოში"?
- ☐ საყვარელი ავტორის სტატიას
- ☐ საყვარელ რუბრიკას
- ☐ მიყოლებით ყველაფერს
- ☐ გარეკანზე დანონსებულ სტატიას
- ☐ მასალას, რომელმაც დაგაინტერესათ სათაურის, ფოტოს ან სხვა ვიზუალური ეფექტის გამო

7. რომელი ჟურნალისტის მიერ მომზადებულ მასალას კითხულობთ მეტი ინტერესით?

(დაასახელეთ მაქსიმუმ სამი)

_____

_____

8. რომელია თქვენთვის ყველაზე საინტერესო რუბრიკა?

_____

_____

9. რომელია თქვენთვის ნაკლებად საინტერესო რუბრიკა?

_____

_____

10. ქართული სპორტის რომელი სახეობის შესახებ მომზადებულ სტატიებს კითხულობთ უფრო ხშირად?

_____

11. უცხოური სპორტის რომელი სახეობის შესახებ მომზადებულ სტატიებს კითხულობთ ხშირად?

_____

12. სტილისტური თვალსაზრისით როგორ შეაფასებთ გაზეთს?
- ☐ ძალიან მაღალი დონისაა
- ☐ კარგია
- ☐ საშუალოა
- ☐ ცუდია
- ☐ მიჭირს პასუხის გაცემა

13. როგორ შეაფასებთ „ლელოს" დიზაინისა და არქიტექტონიკის მიხედვით?
- ☐ ძალიან მომწონს
- ☐ მეტ-ნაკლებად მომწონს
- ☐ არ მომწონს
- ☐ მიჭირს პასუხის გაცემა

14. მოგწონთ თუ არა გაზეთის ლოგო?
- ☐ მომწონს
- ☐ უკეთესიც შესაძლებელია
- ☐ არ მომწონს
- ☐ მიჭირს პასუხის გაცემა

15. საერთო ჯამში როგორ შეაფასებდით „ლელოს"?
- ☐ ძალიან მაღალი დონისაა
- ☐ მაღალი დონისაა
- ☐ საშუალო დონისაა
- ☐ დაბალი დონისაა
- ☐ მიჭირს პასუხის გაცემა

16. რამდენად ხშირად ეცნობით „ლელოს"?
- ☐ ყოველ ნომერს
- ☐ კვირაში 2-3 ნომერს
- ☐ კვირაში ერთ ნომერს
- ☐ თვეში 2-3 ნომერს
- ☐ უფრო იშვიათად

17. გაქვთ თუ არა გამორჩეული კვირის რომელიმე დღეს „ლელოს" საკითხავად და რატომ?

_____

_____

18. რამდენი ხანია, რაც „ლელოს" კითხულობთ?
- ☐ 1-2 წელია
- ☐ 3-5 წელია
- ☐ 6-9 წელია
- ☐ 10-19 წელია
- ☐ 20 წელზე მეტია
- ☐ მიჭირს პასუხის გაცემა

19. რა უფრო მოსახერხებელია თქვენთვის — „ლელოს" შეძენა თუ გამოწერის სამსახურით სარგებლობა?
- ☐ შეძენა
- ☐ გამოწერა

20. რა თემებზე გსურთ, რომ გაზეთში იყოს მეტი სტატიები?

_____

_____

21. რა ახალ რუბრიკას/პროექტს შესთავაზებდით „ლელოს"?

_____

_____

22. რას ურჩევდით „ლელოს"?

_____

_____

23. მიუთითეთ ქალაქი (რაიონი), სადაც ცხოვრობთ

_____

დიდი მადლობა თანამშრომლობისთვის

გთხოვთ, შევსებული ანკეტა გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის" („სიტყვა და საქმის") საფოსტო ყუთების საშუალებით (საფოსტო ყუთების განთავსებულია: *თბილისში* მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, *აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზუსტაფონი, ჭიათურა, ქუთაისი, სამტრედია, ბაბაში, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, მარნეული, ბოლნისი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო, ყაზბეგი, თიანეთი, კაზრეთი*).
ან დარეკეთ და თქვენი პასუხები ჩააწერინეთ ოპერატორს ნომერზე (995 32) **37 75 33** (ორშაბათიდან ხუთშაბათის ჩათვლით 11-დან 18 საათამდე)

ეტიუდი



მოულოდნელი ფინალი

„დანებება არასდროსაა გვიან" - ნახევრად სერიოზულად, ნახევრად ხუმრობით ამბობენ მოჭადრაკეები. ზოგჯერ ეს ოპტიმიზმი მართლდება, თუმცა, შესაძლოა, მისთვის საფუძველი სულაც არ იყოს.

ამ დიაგრამაზე თეთრებისთვის სრულიად უიმედო პოზიციას ხედავთ, რადგან მათ კუ აკლიათ. მართალია, მბჟუტავ იმედად **a** პაიკი რჩება, მაგრამ მე-8 ჰორიზონტალამდე მიღწევა არ გინდა?! ყოველივეს მიუხედავად, თეთრები სწორედ ამ ერთადერთ შანსს ეფექტურად იყენებენ.

თავიდან, ცხადია, შავების კუს ბარიერი უნდა შევუქმნათ: **1. d6! ეxd 2. მფd3!** თეთრების მარცხენა გამსვლელი პაიკის შეჩერება თითქოს შესაძლებელია შემდეგი სვლებით: **2.... კxg3 3. a5 d5 4. a6 კb8.** დიდი მცდელობის მიუხედავად, შავები წარმატებას მაინც ვერ აღწევენ, რადგან **5. a7 კxa7** და პატი.

მართლაც, რომ მოულოდნელი ფინალია.

ვაჟა დანელია

ექვსი ერი

ლე ბლესთვის მსოფლიო თასი ხვალიდან იწყება

საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მარკ ლივერმონმა** იმ მოთამაშეთა სია გააცხადა, ვინც ექვსი ერის გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას. აღსანიშნავია, რომ „ლე ბლეს“ თავკაცს საკმაოდ ფართო არჩევანი აქვს. თითქმის ყველა პოზიციაზე, მინიმუმ ორი მოთამაშე მოდის.

ლივერმონმა განაცხადა, რომ ეს შემადგენლობა მიახლოებული იქნება იმ გუნდთან, რომელიც ახალ ზელანდიაში გაემგზავრება. გარკვეულ კორექტივებს შემადგენლობაში მწვრთნელთა შტაბი ექვსი ერის მატჩების შემდეგ შეიტანს.

„ლე ბლეს“ ქომაგებს განსაკუთრებით მწარედ ახსოვთ შარშანდელი წარუმატებლობა ნოემბრის ტესტებისას, განსაკუთრებით კი კრახი ავსტრალიის ნაკრებთან მატჩში. ფრანგთა გუნდმა „ვოლაბებთან“ 16:59 წააგო.

ყველაზე დიდი პრობლემა ლივერმონს პირველ ხაზში აქვს. არადა, ერთი შეხედვით ლამის მსოფლიოში საუკეთესო პირველი ხაზი ჰყავს. **სერვას, დომინგო, მასი, ჟარზევსკი** საუკეთესო მორკინალები არიან.

ლივერმონის მიერ დასახელებულ ნაკრების გაფართოებულ სიაშია ქართული წარმოშობის ცხრა ნომერი **დიმიტრი იაშვილი**, რომელიც წლეულს კარიერაში საუკეთესო სეზონს ატარებს. მას სერიოზული კონკურენტი ჰყავს - კლერმონელი **მორგან პარასი**, თუმცა არც **ჟულიენ დიუპიუია** ჩამოსაწერი, რომელიც დისკვალიფიკაციის შემდეგ ფორმაში ვერაფრით შევიდა.

პრობლემატურია მგეზავის პოზიცია. უმაღლესი რანგის ათი ნომერი ერთია, მონპელიელი **ფრანსუა ტრინ-დუკი**. მისი შემცვლელი ტულუზელი **დავიდ სკრელაა**, თუმცა მგეზავად თამაში **დამიენ ტარისაც** შეუძლია.

საფრანგეთის ნაკრები ექვსი ერის პირველ მატჩში 4 თებერვალს შინ შოტლანდიის ეროვნულ გუნდს მიიღებს.

საფრანგეთის ნაკრები

შერკინება: **ნიკოლა მასი, ტომა დომინგო, ჟან ბატისტ პუ, იანიკ ფორესტერი, ლუკ დუკალკონი, ვილიამ სერვა, დიმიტრი ჟარზევსკი, ლიონელ ნალე, ჟულიენ პიერი, ჟერომ ტიონი, პასკალ პაპეს, ტიერი დუსოტუარი, ჯულიენ ბონერი, ფულენსე ოუდრაგო, სებასტიან შაბალი, იმანოლ არინორდოკი, ლუი პიკამოლი, იოან მაესტრი.**

უკანახაზი: **მორგან პარა, დიმიტრი იაშვილი, ფრანსუა ტრინ-დუკი, დამიენ ტრაი, იანიკ ჯოზიონი, მაქსიმ მერმოსი, მატიო ბასტარო, ორელიან რუჟერი, დავიდ სკრელა, ფლორინ ფრიცი, ვენსან კლერი, ჟულიენ მალზიო, ალექსის პალისონი, ფრანსუა მედარი, კლემან პუატრენო, ჟერომ პორიკალი.**

19 იანვარი მსოფლიო რაგბის ისტორიაში

რობ ჯოუნზი

1908 წელი

ბრისტოლში უცნაური მატჩი გაიმართა. ქალაქის მუნიციპალიტეტის სტადიონზე ინგლისის ნაკრები უელსის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდა. რა ხდებოდა მოედანზე, ბურუსითაა მოცული, როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით. ბრისტოლში იმ დღეს ისეთი ნისლიანი ამინდი იდგა, სტადიონზე მისულმა 25 ათასმა ქომაგმა ვერაფერი გაარჩია. ეგრეთ წოდებული „გამჭვირვალე მატჩი“ კი უელსის ნაკრებმა 28:18 მოიგო. სტუმართა შუამარბმა **რასტი გებმა** ორი ლელო გაიტანა.

1913 წელი

ინგლისის ნაკრებმა პირველად დაამარცხა უელსის ეროვნული გუნდი სტუმრად „არმს პარკზე“. ინგლისელთა მგეზავმა **რონი პულტონმა,** რომელიც მოგვიანებით პირველ მსოფლიო ომში დაიღუპა, არეკნი ხუთჯერ დაარტყა და მხოლოდ ერთი გაიტანა. ინგლისმა მშრალი ანგარიშით მოიგო - 12:0.

1930 წელი

სემ ტაკერს დებიუტი ჰქონდა ინგლისის ნაკრებში. ის ეროვნულ გუნდში უელსთან თამაშის დღეს, 11 საათზე გამოიძახეს. ტაკერი სასწრაფოდ გადაფრინდა ბრისტოლიდან კარდიფში და „პომების“ რიგებში შერკინების კვაჭის პოზიცია დაიკავა. ინგლისელებმა 11:3 მოიგეს.

1958 წელი

უელსის ნაკრებს „თვიქნემზე“ ინგლისის ეროვნულ გუნდან ტრადიციული წითელი ფორმით უნდა ეთამაშა, რომელზეც უელსის პრინცის გერბი იყო გამოსახული. ფორმა სადღაც გაქრა, რამაც დიდი აურზაური გამოიწვია. ბოლოს უელსელებმა თეთრი კვართებით ითამაშეს.

1964 წელი

შოტლანდიის ნაკრებმა „მერიფილდზე“ ახალზელანდიელთა შეტევებს გმირულად გაუძლო. თამაში 0:0 დამთავრდა. „სკოტებს“ ახალი ზელანდიის დამარცხება 1983 წელს შეეძლოთ, თუმცა ამ შეხვედრაშიც ფრე აღინიშნა - 25:25.

1975 წელი

უელსის ნაკრებმა პარიზში, „პარკ დე პრენსზე“ საფრანგეთის ეროვნულ გუნდს 25:10 მოუგო. მატჩში დებიუტი ჰქონდათ **რეი გრეველს** და **სტივ ფენვიკს.** ლელოები გაიტანეს, **გრემ პრაისმა, ჯერალდ დევისმა, ტერი კაბენერმა** და **გერეთ ედვარდსმა.**

1986 წელი

ინგლისის ნაკრებმა, **რობ ენდრიუს** ერთი არეკნისა და ექვსი საჯარიმოს წყალობით, უელსის ეროვნულ გუნდს 21:18 მოუგო. უელსელებმა მეტოქეს ერთი ლელო გაუტანეს, თავი შუამარბმა **ბლედინ ბოუენმა** გამოიჩინა. **პოლ ტორბერნმა** სამი საჯარიმო გაიტანა, **ჯონათან დევისმა** კი არეკნი დაჰკრა ზუსტად. ამ მატჩში დებიუტი ჰქონდა „ბრიტანელი ლომების“ მომავალ ცხრა ნომერს **რობ ჯოუნზს.**

2009 წელი

ჰეინეკენის თასის გათამაშების მეოთხედფინალში „კარდიფ ბლუზმა“ შესანიშნავ გამარჯვებას მიაღწია. უელსურმა გუნდმა „გლოსტერთან“ მატჩში 53 წუთის განმავლობაში კაცნაკლულმა ითამაშა და მაინც მოიგო.

მატჩის პირველ ტაიმში „კარდიფის“ გარემარბმა **ტომ ჯეიმზმა** „გლოსტერის“ შერკინების კვაჭ **ოლივიე აზამის** სახეში თავი ჩაარტყა. ჯეიმზს წითელი ბარათი უჩვენეს. ინგლისურმა კლუბმა რიცხობრივი უპირატესობა ვერ გამოიყენა.

„ტომმა ეს თავდაცვის მიზნით გააკეთა. ეს არ იყო აგრესიული ჟესტი. აზამი ჰოლივუდის მსახიობივით მოიქცა. ის ნამდვილად გაკიცხვის ღირსია. ჩვენ არ გვინდა ისეთი მორაგბეები გვყავდეს, რომლებიც ფეხბურთელებივით იქცევიან“ - თქვა „კარდიფის“ მწვრთნელმა

მეტროქეები

ვალერი არტემიევი

რუსები ახალ ზელანდიაში ემზადებიან

ერთა თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრების მეტოქე რუსეთის ეროვნული გუნდი საწვრთნელ შეკრებაზე ახალ ზელანდიაში იმყოფება. რუსები, მსოფლიო თასისთვის, ინგლისელი მწვრთნელის **სტივ დაიმონდის** ხელმძღვანელობით ემზადებიან.

ახლახან რუსეთის ნაკრებმა საწვრთნელი შეხვედრა გამართა ტარანაკის ახალგაზრდულ გუნდთან და 33:24 მოიგო. ჩვენმა მუდმივმა მეტოქეებმა ტარანაკელებს ხუთი ლელო გაუტანეს, მათ შორის ერთი **ვალერი ცნობილაძის** ანგარიშზეა. რუსთა გუნდში ძირითად შემადგენლობაში იყო პირველხაზელი **კარლო მაღლაკელიძეც**.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის რაგბის კავშირმა ნაკრებში ახალი ფიზმომზადების მწვრთნელი ავსტრალიელი **პაულ ჰენრი** მიიწვია.

რუსები მომდევნო შეხვედრას 21 იანვარს სამხრეთ ქენთერბერის გუნდთან გამართავენ. ერთა თასზე კი პირველ ტურში სტუმრად ითამაშებს მადრიდში, ესპანეთის ნაკრებთან.

ამბები

იტალიის ნაკრებს ბრუნელი გაწვრთნის



ჟაკ ბრუნელი

2011 წლის მსოფლიო თასის შემდეგ სამხრეთაფრიკელი მწვრთნელი **ნიკ მალეტი** თანამდებობას დატოვებს და მის ადგილს ფრანგი **ჟაკ ბრუნელი** დაიკავებს.

ბრუნელმა, რომელიც 2001-2007 წლებში საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, **ბერნარ ლაპორტის** თანაშემწე იყო, კატალონიურ „პერპინიანს“ 2009 წელს საფრანგეთის ჩემპიონის ტიტული მოაგებინა. შარშან კი ფინალში გაიყვანა და **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონთან“ დამარცხდა.

ბრუნელმა უკვე გამოუცხადა კლუბის ხელმძღვანელებს და მოთამაშეებს თავისი განზრახვის თაობაზე.

„ამაზე დიდხანს ვფიქრობდი, მაგრამ ასეთ ცდუნებაზე უარის თქმა ძალიან ძნელია. ყოველთვის ვოცნებობდი ეროვნული ნაკრების მწვრთნელად მემუშავა. „ლე ბლეში“ მხოლოდ თანაშემწე ვიყავი. ახლა შესანიშნავი შესაძლებლობა მეძლევა, თავი ამ ამპლუაშიც გამოვცადო“ - თქვა ჟაკ ბრუნელმა.

ფრანგული მედია „პერპინიანში“ მის შემცვლელად „ბიარიცისა“ და „სტად ფრანსეს“ ყოფილ თავკაცს **ჟაკ დელმას** ასახელებს.

რასელ ქროუ სონი ბილს რაგბი ლიგაში ეპატიჟება

ჰოლივუდის ცნობილმა მსახიობმა **რასელ ქროუმ** ახალი ზელანდიის ნაკრების ამომავალი ვარსკვლავის **სონი ბილ ვილიამსის** რაგბი ლიგაში დაბრუნება განიზრახა. ამის შესაძლებლობა მას მხოლოდ წლეულს გასამართი მსოფლიო თასის დასრულების შემდეგ მიეცემა.

ვილიამსმა სარაგბო კარიერა რაგბი ლიგაში დაიწყო და რაგბიში 2008 წელს გადაბარგდა, როცა კონტრაქტი ფრანგულ კლუბ „ტულონთან“ გააფორმა. სონი ბილი სამშობლოში ერთი წლის შემდეგ დაბრუნდა და ხელშეკრულება ახალი ზელანდიის რაგბის კავშირთან გააფორმა. შარშან კონტრაქტს ვადა გაუვიდა. ვილიამსი რაგბი ლიგაში დაბრუნებას აპირებდა, თუმცა რაგბის კავშირმა ყველაფერი იღონა მის დასაყოლიებლად. სონი ბილს ახლა მასთან ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებს. იმავდროულად ის ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზში“ ზე რაგბის გათამაშებაში იასპარეზებს.

მანამდე კი სონი ბილ ვილიამსი სპორტის კიდევ ერთი სახეობით ერთობა. ის მალე პროფესიულ რინგზე მესამე ბრძოლას გამართავს. ვილიამსს საშუალო წონაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი **ენტონი მანდაინი** ავარჯიშებს, სწორედ მან შეახვედრა ვილიამსი რასელ ქროუს, რომელიც რაგბი ლიგის გუნდ, „საუთ სიდნეის“ თანამფლობელია.

შეთანხმდნენ თუ არა ისინი, იდუმალებითაა მოცული. ყველაფერი მსოფლიო თასის გათამაშების შემდეგ გაირკვევა.

ერთა თასი

არბიტრები ცნობილია

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ერთა თასის გათამაშებაში პირველ შეხვედრას ხუთ თებერვალს გამართავს. „ბორჯღალოსნების“ მეტოქე უკრაინის ნაკრები იქნება. ამ მატჩით, ფაქტობრივად, ოფიციალურად დაიწყება ჩვენი ეროვნული გუნდის ახალ ზელანდიაში გასამართი მსოფლიო თასისთვის მზადება.

ტურნირის ორგანიზატორმა FIRA AER-მა უკვე დაადგინა მატჩებზე მომსახურე არბიტრების ვინაობა. უკრაინის ნაკრებთან ფრანგ მსაჯთა ბრიგადა იმუშავებს **კრილ ლაფონის** ხელმძღვანელობით. ჯერჯერობით უცნობია 12 თებერვალს გასამართი ესპანეთის ნაკრებთან მატჩის არბიტრის ვინაობა.

26 თებერვალს პორტუგალიაში მთავარი მსაჯი იტალიელი **კლაუდიო პასაკანტანდო** იქნება. 12 მარტს თბილისში, ეროვნულ სტადიონზე რუმინეთის ნაკრებთან ირლანდიელი **დევიდ ვილკინსონი** განგვსჯის. ბოლო შეხვედრას „ბორჯღალოსნები“ 19 მარტს სოჭში გამართავენ რუსეთის ნაკრებთან. არბიტრი ფრანგი **პატრიკ პეშამბერი** იქნება.

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

msy.gov.ge

● კალათბურთი

ნოვიცკიც ვეღარ შველით

დალასი შველას ითხოვს

სულ უფრო და უფრო უკან მიდის „დალას მავერიქსის“ საქმეები. გუშინ, ტექსასელებმა ზედიზედ მეექვსე მატჩი წააგეს - ამჯერად სტუმრად „დეტროიტის“ წინააღმდეგ. გუნდს ვერ უშველა **დირკ ნოვიცკის** დაბრუნებამ და გერმანელთან ერთად „მავერიქსმა“ ბოლო ორი მატჩი დათმო. ასევე არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ „დალასმა“ სეზონის ბოლომდე დაკარგა ფორვარდი **კერონ ბატლერი**. რეალურად, სწორედ აქედან დაიწყო „მავერიქსის“ კრიზისი და კლუბის ხელმძღვანელობა ახლა ამ სიტუაციიდან გამოსვლის გზებს ეძებს. ამ მიზნით, ლიგის ბევრ კლუბთან მიდის მოლაპარაკებები სავარაუდო ტრეიდების თაობაზე.

ESPN-ის ვებგვერდის ინფორმაციით, „დალასის“ სასურველი მოთამაშეების გაფართოებულ სიაში შედიან: **სტივენ ჯექსონი** („შარლოტი“), **ტაიშონ პრინსი** („დეტროიტი“), **ჯეი არ სმიტი** („დენვერი“), **კორი მაგეტი** („მილუოკი“) და **დევინ ჰარისი** („ნიუ ჯერსი“).

■ ■ ■

პრობლემები აქვს „მაიამი ჰიტსაც“, რომელსაც ბოლო სამ მატჩში სამი წაგება დაუგროვდა. გუშინ ეს გუნდი არ თამაშობდა და მორიგი მატჩის წინ დაგეგმილი ვარჯიში ჩაატარა. მაგრამ ეს უცნაური წვრთნა იყო - მასში მონაწილეობა არ მიუღიათ „დიდი ტრიოს“ წევრებს - **ლებრონ ჯეიმსს, დუეინ უეიდსა** და **კრის ბოშს**. გუნდის სამივე ვარსკვლავი ტრავმებმა შეაწუხა.

„ეს ისტორიული მომენტია, რადგან სამივემ ერთად გამოვტოვეთ ვარჯიში“, - განაცხადა უეიდმა. მართლაც, სეზონში პირველად მოხდა, როცა სამივე ლიდერმა ერთდროულად გამოტოვა პრაქტიკა. კრის და ლებრონს ფეხი აწუხებთ, უეიდს კი მარცხენა მუხლთან დაკავშირებული პრობლემები აქვს. შეგახსენებთ, რომ ჯეიმსმა ამ დაზიანების გამო უკვე სამი მატჩი გამოტოვა.

მართალია, უეიდი და ჯეიმსი ამტკიცებენ, რომ ყველაფერი წესრიგში აქვთ და „ატლანტას“ წინააღმდეგ თამაშს აპირებენ, მაგრამ გამორიცხული არაა, „ჰოქსის“ წინააღმდეგ რეზერვისტებს მოუწიოთ გამოსვლამ.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

● ამბები

კრივი

ჰოლიფილდი თავისას არ იშლის

ლეგენდარული ამერიკელი მძიმეწონოსანი, 48 წლის **ევანდერ ჰოლიფილდი** ასრულებს მზადებას 38 წლის **შერმან უილიამსთან** შესახვედრად. მსოფლიოს ყოფილი აბსოლუტური ჩემპიონი ირწმუნება, რომ ძალიან კარგ ფორმაში იმყოფება და ჯერ ისევ შეუძლია იმ ტიტულების მოპოვება, რომელიც ამჟამად ძმები **კლიჩკოებისა** და **დევიდ ჰეის** მფლობელობაშია.

„მე უნდა ვიბრძოლო იმ ქამრებისთვის, რომელსაც კლიჩკოები და დევიდ ჰეი ფლობენ. იმედი მაქვს, ისინი ამის შანსს მომცემენ, - ამბობს ჰოლიფილდი. *- ჩემი მიზანი აბსოლუტური ჩემპიონობაა. ჩემთვის სულერთია 2000 წელია ახლა თუ 2011. მე ეს მიზანი 1992 წლიდან მაქვს“.*

ავტოსპორტი

რა არის A10 World Series?

2011 წელს, შესაძლოა, დებიუტი ჰქონდეს ახალ სარბოლო სერიას, რომელმაც უკვე მიიღო სახელწოდება - A10 World Series. თუმცა ამ პროექტის შესახებ ჯერ მცირე ინფორმაცია არსებობს - ოფიციალურ ვებგვერდზე მხოლოდ ის წერია, რომ ფორმულას ტიპის ბოლიდები 600 ცხენის ძალის სიმძლავრის V10 ძრავებით აღიჭურვებიან. ამასთან, არ სახელდება ძრავების მიმწოდებელი კომპანია.

ვინ დგას ამ პროექტის უკან? ჭორების მიხედვით, სერიის ორგანიზებით ის ადამიანები არიან დაკავებული, რომლებსაც, თავის დროზე, A1 Grand Prix-სთან ჰქონდათ შეხება. გამორიცხული არ არის, A10 World Series-ში გამოიყენონ ის კონცეფცია, როცა გუნდები სხვადასხვა ქვეყნის ღირსებას იცავენ. ბოლიდის შასისთვის ვარაუდობენ 2008 წელს Ferrari F2004-ის ბაზაზე შექმნილ მანქანას, რომელიც A1 Grand Prix-ზე გამოიყენებოდა. ირიბად ეს იმითაც დასტურდება, რომ ამ ტექნიკის გაყიდვაზე აუქციონი დახურულია.

კალათბურთი

უნიკახამ მწვრთნელი გაუშვა

ევროლიგის ბინადარმა, ესპანეთის „უნიკახამ“ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დაითხოვა **აიტო გარსია რენესესი**. გუნდთან გამოთხოვებისას ცნობილმა სპეციალისტმა მადლობა გადაუხადა მოთამაშეებს, აგრეთვე მათ ნერვიული სტრესის მოშორება და საუკეთესო კალათბურთის ჩვენება უსურვა.

„უნიკახა“ ხვალ იწყებს გამოსვლას ევროლიგის მეორე ჯგუფურ ეტაპზე. მისი მეტოქე ასევე ესპანური „კახა ლაბორალი“ იქნება.

ევროლიგის TOP16-ში გასვლის მიუხედავად, კლუბის ხელმძღვანელობამ რენესესის გაშვება გადაწყვიტა. ეს ესპანეთის ჩემპიონატში კატასტროფული გამოსვლით არის განპირობებული, სადაც ქვეყნის ერთ-ერთი მდიდარი კლუბი მხოლოდ მეათე ადგილს იკავებს.

რენესესის მოვალეობებს დროებით მეორე მწვრთნელი **ხოაკინ კოსტა** შეასრულებს. უახლოეს მომავალში კი კლუბში სერბი **ბოჟიდარ მალკოვიჩის** მინვევა დაგეგმილი.

● კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიფინის 47 და როუზის პირველი

გუშინდელი სათამაშო დღე რეგულარულ ჩემპიონატში ძალიან დატვირთული იყო, პროგრამას კი ნიუიორკული დაპირისპირება ხსნიდა, რომელშიც ადგილობრივი „ნიქსი“ „ფინიქსს“ მასპინძლობდა. ეს გუნები არც ისე დიდი ხნის წინ არიზონაში შეხვდნენ ერთმანეთს და „ნიუ იორკმა“ დიდი ანგარიშით დაამარცხა „მზეები“, მაგრამ ამჯერად ყველაფერი სხვანაირად მოხდა.

„სანზმა“ პირველივე წუთებიდან შეუტია, მით უმეტეს, რომ მასპინძლების დაცვა იმ დღეს საშინლად გამოიყურებოდა. სწორედ ამის წყალობით „ფინიქსმა“ სტარტზე კომფორტული უპირატესობა მოიპოვა, თუმცა მასპინძლებმა სიტუაციის გათანაბრება ჯერ კიდევ დიდ შესვენებამდე მოასწრეს, **ამარე სტაუდმაიერის** ბრწყინვალე თამაშის წყალობით კი ცოტა ხანი წინ გასვლაც შეძლეს. მაგრამ მეორე ტაიმში **ელვინ ჯენტრის** შეგირდებმა კიდევ ერთი გაქცევა მოაწყვეს და უპირატესობა საფინალო სირენამდე ხელიდან აღარ გაუშვეს. „სანზის“ გამარჯვება **ვინს კარტერისა** და **სტივ ნეშის** შესანიშნავმა მოქმედებამ განაპირობა. კარტერის მიღწევა ცალკე აღნიშვნის ღირსია - „ეირ კანადამ“ კარიერაში 20 ათას ქულას მოუყარა თავი, გარდა ამისა, თითქმის ერთწლიანი (!) პაუზის შემდეგ ორმაგი დუბლი შეასრულა.

ცენტრალური მატჩი მასაჩუსეტსში გაიმართა, სადაც ურთიერთობას არკვევდნენ ძველი მეტოქეები - „ბოსტონი“ და „ორლანდო“. მატჩმა გაამართლა მაყურებლის მოლოდინი. თითქმის მთელი თამაში ქულა ქულაში მიდიოდა და ვერც ერთი გუნდი ვერ ახერხებდა გაქცევას. სტუმართა რიგებში მთავარი მოქმედი პირი **დუაიტ ჰოვარდი** აღმოჩნდა. ამ გუნდებს შორის საშობაო შეხვედრაში ნაჩვენები წარუმატებელი თამაშის შემდეგ „სუპერმენმა“ ამჯერად წალეკა „ბოსტონის“ წინა ხაზი და 33 ქულით დაასრულა მატჩი.

„სელტიქსმა“ გუნდური კალათბურთით სცადა ფონს გასვლა, თუმცა მის რიგებში ერთი კალათბურთელი მაინც გამორჩეული იყო - ვეტერანმა **რეი ალენმა** 26 ქულა დააგროვა. მატჩის ბედი კი **პოლ პირსმა** და ტრავმის შემდეგ დაბრუნებულმა **კევინ გარნეტმა** გადაწყვიტეს. ჯერ თანაბარი ანგარიშისას პირსმა ჩააგდო ორქულიანი ჯარიმასთან ერთად, მეტოქის საპასუხო შეტევაში კი გარნეტმა უმნიშვნელოვანესი ჩაჭრა გააკეთა.

გუშინ „ლეიკერსმაც“ მოიგო. თანაქალაქელ „კლიპერსთან“ შერკინების შემდეგ ჩემპიონმა „ოკლაჰომასთან“ რთულ შეხვედრაში დაამტკიცა თავისი კლასი. **რასელ უესტბრუკმა** და **კევინ დურანტმა** ისევ იყოჩაღეს, მაგრამ მათი მონდომება მოგებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. პრინციპში ეს შეუძლებელიც იყო, რადგან „ოკლაჰომამ“ მთელი მატჩის განმავლობაში 20 შეცდომა დაუშვა და მხოლოდ ორი სამქულიანი ჩააგდო.

სტუმრებს მესამე მეოთხედში „ლეიკერსის“ 11:0 გაქცევა გამოუპარათ, რითაც კალიფორნიელებმა მცირე ხანდიკაპი მიიღეს, რომელიც საფინალო სირენამდე შეინარჩუნეს. როგორც ჩანს, „კლიპერსისგან“ მიღებულ გაკვეთილს უსარგებლოდ არ ჩაუვლია. ჩემპიონს წინ აქვს შეხვედრები „დალასთან“ და „დენვერთან“, რითაც დასრულდება ურთულესი სერია - 15 მატჩი 25 დღეში.

დღის გმირი გახდა „კლიპერსის“ ახალბედა **ბლეიკ გრიფინი**. „ინდიანასთან“ მატჩში მისი სტატისტიკა ასე გამოიყურებოდა: 47 ქულა (თამაშიდან - 19/24, საჯარიმო - 9/11), 14 მოხსნა, 3 შედეგიანი პასი და ერთი დაფარება. 21 წლის ფორვარდმა შედეგიანობის პირადი რეკორდი დაამყარა (თანაც მიმდინარე სეზონში ამდენი ქულა არც ერთ კალათბურთელს არ ჩაუგდია) და 27-ე ორმაგი დუბლი შეასრულა. გრიფინი **ალენ ახვერსონის** შემდეგ პირველი ახალბედა გახდა, ვინც სეზონში ორჯერ მოახერხა ერთ მატჩში 40 ქულის დაგროვება. და მხოლოდ **მაიკლ ჯორდანმა** და **რიკ ბერიმ** მოახერხეს 21 წლის ასაკში ერთ შეხვედრაში მინიმუმ 47 ქულისა და 14 მოხსნის მოპოვება.

ასევე კარიერაში მნიშვნელოვანი მომენტი ჰქონდა „ჩიკაგო ბულზის“ ლიდერ **დერიკ როუზს**. მან „მემფისის“ წინააღმდეგ სამმაგი დუბლი შეასრულა, რაც პირველად მოხდა მისი NBA-ში თამაშის პერიოდში. როუზის ანგარიშზე 22 ქულა, 12 პასი და 10 მოხსნა მოდის.

„ჩიკაგომ“ ბოლო დროს კარგი ტემპი აკრიფა, მაგრამ ამ მატჩში სულაც მიიჩნეოდა ფავორიტად, რადგან გუნდის ძირითად მეოთხე „ნომერს“ **კარლოს ბუზერს** ფეხის ტრავმა აწუხებდა. იმის გათვალისწინებით, რომ „ბულზის“ მთავარი მომხსნელი **ჟოაკიმ ნოა** დიდი ხანია ტრავმირებულია, ბუზერის არყოფნა „ჩიკაგოსთვის“ კატასტროფული უნდა ყოფილიყო. მაგრამ რეალურად ყველაფერი გაცილებით მარტივი აღმოჩნდა. მასპინძლების „მაღლებმა“ ჩააგდეს თამაში (პირველ რიგში, ეს ეხება **რუდი გეისა** და **ზაკ რენდოლფს**, რომლებმაც თამაშიდან 30-ჯერ ისროლეს და მხოლოდ რვაჯერ ზუსტად). გარდა ამისა, ვერ შეაჩერეს როუზი და ამისთვის დაისაჯნენ კიდეც.

ნიუ იორკი-ფინიქსი 121:129

30:39, 34:22, 27:36, 30:32

ნ-ი: სტაუდმაიერი (41+6 მოხსნა), ჩენდლერი (23+5 მოხსნა), გალინარი (17), ფილდსი (11+9 მოხსნა), ფელტონი (7+13 პასი).

ფ: კარტერი (29+12 მოხსნა), ჰილი (25+6 მოხსნა), ფრაი (18), ნეში (15+11 პასი+8 მოხსნა), ლოპესი (12).

ვაშინგტონი-იუტა 108:101

21:18, 21:21, 36:29, 30:33

ვ: იანგი (25), ბლეტჩი (21+11 მოხსნა), უოლი (19+15 პასი+5 მოხსნა), ლუისი (13+8 მოხსნა), იანდიანი (10), მაკგი (7+11 მოხსნა).

ი: უილიამსი (28+11 მოხსნა), ჯეფერსონი (25+10 მოხსნა), მილსეპი (11+6 მოხსნა).

მემფისი-ჩიკაგო 84:96

17:26, 25:27, 18:26, 24:17

მ: რენდოლფი (21+13 მოხსნა), მაიო (15), გასოლი (12).

ჩ: დენგი (28+5 მოხსნა), როუზი (22+12 პასი+10 მოხსნა), კორვერი (22), გიბსონი (10+7 მოხსნა).

ფილადელფია-შარლოტი 96:92 (ო)

22:23, 18:16, 25:20, 21:27, 10:6

ფ: უილიამსი (23), იგუოდალა (16+10 მოხსნა+6 პასი), ბრენდი (13+13 მოხსნა+5 დაფარება), ჰოლიდეი (10+6 პასი), სპენცსი (10+6 მოხსნა).

შ: დიაო (25+11 მოხსნა+11 პასი), ბრაუნი (15+16 მოხსნა), ჯექსონი (15+7 მოხსნა), უოლასი (11+6 მოხსნა).

ნიუ ორლეანი-ტორონტო 85:81

20:16, 17:28, 25:21, 23:16

ნ-ო: უესტი (23+10 მოხსნა), ოკაფორი (17+16 მოხსნა), ჯეკი (17), პოლი (6+11 პასი).

ტ: დეროზანი (23), ჯონსონი (17+8 მოხსნა), დევისი (11+12 მოხსნა), რაიტი (11+6 მოხსნა), ბარნიანი (11).

ჰიუსტონი-მილუოკი 93:84

18:15, 21:24, 35:27, 19:18

ჰ: მარტინი (36), სკოლა (19+14 მოხსნა), ჰილი (10+10 მოხსნა).

მ: მაგეტი (25), გუდენი (14+11 მოხსნა), დულინგი (12), ბოგუტი (10+10 მოხსნა).

დეტროიტი-დალასი 103:89

21:18, 20:19, 34:25, 28:27

დეტ: სტაკი (20+6 პასი), პრინსი (19+5 მოხსნა+5 პასი), მონრო (16+9 მოხსნა), ვილანუევა (15), გორდონი (11).

დალ: ნოვიცკი (32+5 მოხსნა+5 პასი), ტერი (18).

კლიპერსი-ინდიანა 114:107

26:31, 29:27, 26:22, 33:27

კ: გრიფინი (47+14 მოხსნა), გორდონი (23+7 პასი), დევისი (14+12 პასი).

ი: გრეინჯერი (32+5 პასი), კოლისონი (30+8 პასი), რაში (10+7 მოხსნა), პოუსი (10).

აგლანტა-საკრამენტო 100:98

27:32, 26:30, 20:20, 27:16

ა: ჯონსონი (36+6 პასი+5 მოხსნა), ჰორფორდი (23+9 მოხსნა+6 პასი+7 დაფარება), სმიტი (19+10 მოხსნა), ბიბი (11).

ს: კაზინსი (20+8 მოხსნა), უდრიხი (17), ტომპსონი (16+8 მოხსნა), ევანსი (16+5 მოხსნა).

გ. სტეიტი-ნიუ ჯერსი 109:100

28:28, 26:18, 25:27, 30:27

გ-ს: ელისი (26+9 პასი+5 მოხსნა), ლი (24+10 მოხსნა), კარი (13+6 პასი), უილიამსი (12), რაიტი (10).

ნ-ჯ: ლოპესი (20+7 მოხსნა), ჰარისი (19+8 პასი), ვუიაჩიჩი (16), ჰემფრიზი (11+10 მოხსნა).

ბოსტონი-ორლანდო 109:106

27:22, 28:32, 26:27, 28:25

ბ: ალენი (26+5 მოხსნა), გარნეტი (19+8 მოხსნა), დეივისი (15), პირსი (14+5 მოხსნა), ო'ნილი (12), რონდო (10+13 პასი).

ო: ჰოვარდი (33+13 მოხსნა), ანდერსონი (16+8 მოხსნა), რიჩარდსონი (14), ბასი (13), თურკოგლუ (11+7 პასი).

პორტლენდი-მინესოტა 113:102

30:29, 20:17, 38:27, 25:29

პ: ოლდრიჯი (37+12 მოხსნა), მეტიუზი (23), მილერი (15+10 პასი), ფერნანდესი (13).

მ: ლავი (22+17 მოხსნა), მილიჩიჩი (22+8 მოხსნა), ბიზლი (12), ბრიუერი (10).

ლეიკერსი-ოკლაჰომა 101:94

28:28, 30:27, 23:20, 20:19

ლ: ბრაიანტი (21+7 პასი+5 მოხსნა), გასოლი (21+7 მოხსნა), ოდომი (16+7 მოხსნა), ფიშერი (15), ბინუმი (10+10 მოხსნა).

ო: უესტბრუკი (32+12 პასი+5 მოხსნა), დურანტი (24+8 მოხსნა), იბაკა (11+10 მოხსნა).

აღმოსავლეთი

	თ	მ	წ	%
1. ბოსტონი*	40	31	9	77.5
2. მაიამი*	42	30	12	71.4
3. ჩიკაგო*	41	28	13	68.3
4. ატლანტა	42	27	15	64.3
5. ორლანდო	41	26	15	63.4
6. ნიუ იორკი	40	22	18	55.0
7. ფილადელფია	40	17	23	42.5
8. ინდიანა	38	16	22	42.1
9. შარლოტი	39	15	24	38.5
10. მილუოკი	38	14	24	36.8
11. დეტროიტი	41	15	26	36.6
12. ტორონტო	41	13	28	31.7
13. ვაშინგტონი	39	12	27	30.8
14. ნიუ ჯერსი	41	10	31	24.4
15. კლივლენდი	40	8	32	20.0

დასავლეთი

	თ	მ	წ	%
1. სან ანტონიო*	41	35	6	85.4
2. ლეიკერსი*	43	31	12	72.1
3. ოკლაჰომა*	41	27	14	65.9
4. იუტა	41	27	14	65.9
5. დალასი	40	26	14	65.0
6. ნიუ ორლეანი	42	26	16	61.9
7. დენვერი	40	23	17	57.5
8. პორტლენდი	42	22	20	52.4
9. მემფისი	41	19	22	46.3
10. ფინიქსი	39	18	21	46.2
11. ჰიუსტონი	42	19	23	45.2
12. გ. სტეიტი	39	17	23	42.5
13. კლივლენდი	40	15	25	37.5
14. მინესოტა	42	10	32	23.8
15. საკრამენტო	39	9	30	23.1

ქულა

კევინ დურანტი (ოკლ)	28.5
ამარე სტაუდმაიერი (ფინ)	26.0
მონტა ელისი (გ-სტ)	25.7
ლებრონ ჯეიმსი (კლივ)	25.4
კობი ბრაიანტი (ლეი)	25.3
დუეინ უეიდი (მაი)	25.1
დერიკ როუზი (ჩიკ)	24.5
ერიკ გორდონი (კლიპ)	23.9
დირკ ნოვიცკი (დალ)	23.6
კარმელო ენთონი (დენ)	23.1

მოხსნა

კევინ ლავი (მინ)	15.7
დუაიტ ჰოვარდი (ორლ)	13.3
ზაკ რენდოლფი (მემ)	13.1
გლეიკ გრიფინი (კლიპ)	12.7
მარკუს კემბი (ვრო)	11.6
პაუ გასოლი (ლეი)	10.8
ემეკა ოკაფორი (ნ-ორლ)	10.2
ელ ჰორფორდი (ატლ)	9.7
ლამარ ოდომი (ლეი)	9.6
ტიმ დანკანი (ს-ანტ)	9.5

პასი

რაჟონ რონდო (ბოს)	13.4
სტივ ნეში (ფინ)	10.9
კრის პოლი (ნ-ორლ)	9.6
დერონ უილიამსი (იუტ)	9.4
ჯონ უოლი (ვაშ)	9.1
რეიმონდ ფელტონი (ნ-იორკ)	8.9
ჯეისონ კიდი (დალ)	8.5
ხოსე კალდერონი (ტორ)	8.4
რასელ უესტბრუკი (ოკლ)	8.4
დერიკ როუზი (ჩიკ)	8.1

ჩაჭრა

კრის პოლი (ნ-ორლ)	2.7
მონტა ელისი (გ-სტ)	2.3
რეიმონდ ფელტონი (ნ-იორ)	1.9
რასელ უესტბრუკი (ოკლ)	1.9
კაილ ლოური (ჰიუ)	1.8
ჯეისონ კიდი (დალ)	1.8
რუდი გეი (მემ)	1.8
მანუ ჯინობილი (ს-ანტ)	1.8
ტაირეკ ევანსი (საკ)	1.8
კორი ბრიუერი (მინ)	1.8
მაიკ კონლი (მემ)	1.8

დაფარება

ენდრიუ ბოგუტი (მილ)	2.8
ჯაკვალ მაკგი (ვაშ)	2.6
ამარე სტაუდმაიერი (ფინ)	2.4
დარკო მილიჩიჩი (მინ)	2.4
დუაიტ ჰოვარდი (ორლ)	2.2
სერჟ იბაკა (ოკლ)	2.1
პაუ გასოლი (ლეი)	2.0
ტიმ დანკანი (ს-ანტ)	2.0

● ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

კვირის მიმოხილვა

კვირის გუნდი. გასული კვირის შედეგების მიხედვით ამ სტატუსს რამდენიმე გუნდი იმსახურებდა, მაგრამ მხოლოდ „ფინიქსმა" შეძლო მოგებათა სერიის შენარჩუნება, რომელიც უკვე ოთხი მატჩია გრძელდება. უფრო მეტიც, „კოიოტზი" ბოლო რვა მატჩი მინიმუმ ქულით გადის მოედნიდან და შესაბამისად, ერთადერთი გუნდია ლიგაში, რომელსაც 2011 წელს ძირითად დროში შეხვედრა არ წაუგია!

ასეთმა წარმატებულმა თამაშმა გუნდს დასავლეთი კონფერენციის ცხრილში მე-13 ადგილიდან მეოთხემდე ასვლის საშუალება მისცა და ახლა „დალასმა" უნდა ინერვიულოს საკუთარ დივიზიონში პირველობის შესაძლო დაკარგვაზე. „ფინიქსის" მთავარი პრობლემა შეტევითი ხაზის მოთამაშეებს ეხება. ეს კარგად აისახება ბომბარდირთა სიაში, სადაც პირველ ადგილს მცველი **კეით იენდლი** იკავებს. „ფინიქსის" არც ერთ ჰოკეისტს ამ სეზონში 12 შაიბა არ აქვს გატანილი, მაგრამ არიზონელთა ძლიერი მხარე თანაბრად დაკომპლექტებულ შემადგენლობაშია - რვა მოთამაშის ანგარიშზეა ცხრა ან მეტი გოლი.

„კოიოტების" მაღალი ადგილი ცხრილში იმითაც არის გასაკვირი, რომ გუნდი ძალიან სუსტად მოქმედებს არათანაბარი შემადგენლობების დროს. რიცხობრივი უპირატესობის გამოყენების პროცენტით 22-ეა ლიგაში, უმცირესობაში გაშვებული გოლებით - 25-ე.

ტრავმები. გასულ კვირასაც ტრავმა მრავლად იყო. ამ მხრივ ყველაზე მეტად „დეტროიტს" არ გაუმართლა, რომელიც მეკარე **კრის ოსგუდისა** (ორი თვე) და ფორვარდ **ტომას ჰოლმსტრიომის** გარეშე დარჩა. ოპერაცია გადაიტანა მცველმა **კრის სტიუარტმა**, რომელიც თამაშში დაახლოებით ორ თვეში დაბრუნდება. „რედ უინგზისთვის" საბედნიეროდ, მეკარე **ჯიმი ჰოვარდმა** თითქმის მოირჩინა მუხლის ტრავმა და უახლოეს დღეებში დაუბრუნდება გუნდს.

არასასიამოვნო ამბებია „ნიუ იორკ რეინჯერსის" ბანაკიდან - სეზონის ბოლომდე გამოაკლდა გუნდს **ალექსანდრ ფროლოვი**, რის გამოც „რეინჯერებმა" ტრეიდის განხორციელებამ მოუწიათ - მცველ **მიხალ როჟსივალის** ნაცვლად ფორვარდი **ვოიტეკ ვოლსკი** დაიმატეს. გარდა ამისა, ორი დღის წინ გახდა ცნობილი „ფლორიდას" კაპიტნის **ბრაიან მაკეიბის** სერიოზული ტრავმის შესახებ - სახეში მოხვედრილმა შაიბამ მას ძვალი გაუტეხა. ამის გამო, „პანტერები" მინიმუმ ერთი თვე საუკეთესო მცველის გარეშე ითამაშებენ. „კოლორადო", შესაძლოა, სეზონის ბოლომდე **რაიან ო'რაილის** გარეშე დარჩენილიყო, მაგრამ მხრის ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა და ფორვარდი მხოლოდ ორი კვირა იქნება თამაშგარეთ.

ტეემუ სელიანეს 1300 ქულა. ფინელმა ვარსკვლავმა „ედმონტონ ოილერზს" ორი შაიბა გაუტანა და კარიერაში 1300-ე და 1301-ე ქულა მიითვალა. ახლა ვეტერანს NHL-ში 620 შაიბა და 681 საგოლე პასი აქვს, 1301 ქულა კი ლიგის ისტორიაში 32-ე მაჩვენებელია. თუ სელიანე მომდევნო სეზონშიც გადაწყვეტს თამაშს, მას არ გაუჭირდება **ჟილბერ პეროსა** და **პიერ ტარჯონის** შედეგების გაუმჯობესება. ამ ჰოკეისტებს კარიერაში 1326 და 1327 ქულა დაუგროვებიათ. თუმცა ამ მოთამაშეების გასწრება, შესაძლოა, მიმდინარე სეზონშიც მოესწროს.

კიდევ უფრო საინტერესოა სნაიპერთა რეიტინგი. მიმდინარე სეზონში 14 გოლით ტეემუმ გაუსწრო **დინო სისარელისა** და **ბობი ჰალს**, რითაც ლიგის გოლეადორთა ყველა დროის სიაში მე-15 ადგილზე გადაინაცვლა. სელიანეს მონაგარი 620 გოლს ითვლის და შემდეგი სიაში **ჯო საკიკი** დგას - ყოფილ კოლორადოელს ხუთი შაიბით მეტი აქვს. ვფიქრობთ, ტეემუს არ გაუჭირდება დარჩენილ ნახევარ სეზონში ექვსი გოლის გატანა, რითაც NHL-ის ისტორიაში მე-14 სნაიპერი გახდება. მე-13 ადგილზე მყოფ **დეივ ანდრეიჩუკამდე** ფინელს ჯერ ბევრი უკლია - 20 გოლი.

სტემკოსმა კროსბის გაასწრო. თანამედროვეობის საუკეთესო ბომბარდირებს კი თავიანთი რბოლა აქვთ და მასში გასულ კვირას **სტივენ სტემკოსმა** („ტამპა ბეი") **სიდნი კროსბის** („პიტსბურგი") გაუსწრო. „პინგვინების" კაპიტანი ჯერაც არ დაბრუნებულა მოედანზე ტვინის შერყევის შემდეგ, ამ დროის განმავლობაში კი სტემკოსმა რამდენიმე შაიბა შეაგდო და სეზონის გოლეადორთა სიაში პირველ ადგილზე გადაინაცვლა - 33 გოლი 32-ის წინააღმდეგ.

გარდა ამისა, სტივენმა შეამცირა სხვაობა კროსბისთან ბომბარდირთა დავაში და ახლა, ლიდერს მხოლოდ ხუთი ქულით ჩამორჩება. ამ დუეტს კი ორივე რეიტინგში ვანკუვერელი **დანიელ სედინი** წამოეწია, ასე რომ, რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირისა და სნაიპერის ტიტულისთვის ბრძოლის ბედი, შესაძლოა, ამ სამ კონკურენტს შორის გადაწყდეს.

კვირის სამი ვარსკვლავი

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ გასული კვირის პირველ ვარსკვლავად „კაროლინა ჰარიკეინზის" ფორვარდი **იუსი იოკინენი** დაასახელა. ფინელმა წინა შვიდი დღის განმავლობაში ყველაზე მეტი - ოთხი შაიბა გაიტანა და ჯამში 7 ქულა დააგროვა. იოკინენი გასულ კვირას ჩატარებულ სამივე შეხვედრაში აგროვებდა მინიმუმ ერთ ქულას.

მეორე ვარსკვლავი გახდა „ბოსტონ ბრუინზის" ფორვარდი **პატრის ბერჟერონი**. იოკინენის მსგავსად მანაც 7 ქულა (3+4) დააგროვა, ოღონდ ოთხ შეხვედრაში. კანადელი თავდამსხმელი კლუბის საუკეთესო ბომბარდირია - 44 მატჩში 34 ქულა (14+20) აქვს.

მესამე ვარსკვლავი მეკარე გახლავთ - „ფინიქს კოიოტზის" კარის დარაჯი **ილია ბრიზგალოვი**, ვინც გასულ კვირას საშუალოდ 200 გოლს უშვებდა და მეტოქეთა დარტყმების 93.8 პროცენტს იგერიებდა.

ბოსტონი-კაროლინა 7:0

3:0, 2:0, 2:0

გოლები: 1:0 მ. სტიუარტი-1 (ჰორტონი-16, მაკკუაიდი-6), 2:0 ხარა-8 (მაკკუაიდი-7), 3:0 ხარა-9 (კრეისი-22, პ. ბერჟერონი-21), 4:0 გ. კემპბელი-6 (ნ. ტორნტონი-4, ველერი-11), 5:0 პ. ბერჟერონი-15, 6:0 რაიდერი-14 (საიდენბერგი-18, კამპფერი-3), 7:0 ხარა-10 (კრეისი-23, ლუჩიჩი-13).

აილენდერსი-ნიუ ჯერსი 2:5

0:2, 2:3, 0:0

გოლები: 0:1 ჟარკოვი-1 (ტედენბი-6, არნოტი-9), 0:2 კოვალჩუკი-13 (გრინი-13, ზაიაცი-18), 0:3 ტედენბი-5 (ფრეზერი-1, პელეი-3), 1:3 პარენტო-11 (კომო-16, მარტინეკი-5), 2:3 გრანბერი-11 (ბელეი-8, ჰამონიკი-7), 2:4 პელეი-3 (ფრეზერი-2, არნოტი-10), 2:5 ზუბრუსი-7 (ელიაში-22, როლსტონი-7).

ფინიქსი-სან ხოსე 2:4

1:1, 0:2, 1:1

გოლები: 0:1 მარლო-18 (ვლასიჩი-8, პაველსკი-21), 1:1 დ. მორისი-4 (იენდლი-29, დოუნი-20), 1:2 ჰიტლი-18 (კუტური-10, ჯ. ტორნტონი-30), 1:3 კუტური-20 (დ. ბოილი-26, ჰიტლი-25), 2:3 ეკმან ლარსონი-1 (კორპიკოსკი-13, სტემენიაკი-12), 2:4 ჯ. ტორნტონი-13.

ფლორიდა-ატლანტა 2:3 (ბ)

0:0, 0:0, 2:2, 0:0

გოლები: 1:0 ვიდემანი-6 (სანტორელი-12, ვეისი-19), 2:0 კულიკოვი-5 (სტილმანი-11, ვეისი-20), 2:1 ლიტლი-13 (ანტროპოვი-15, პეველი-15), 2:2 ტორნბური-6 (ე. კეინი-14, ლიტლი-14).

ბულიტები გაიტანეს: სანტორელი (ფლორიდა), ლიტლი (ატლანტა), ბურმისტროვი (ატლანტა).

მონრეალი-კალგარი 5:4 (ო)

2:0, 2:2, 0:2, 1:0

გოლები: 1:0 ელერი-3 (კამალერი-18, პლეკანეცი-22), 2:0 კამალერი-13 (ჰალპერნი-12, სუბანი-13), 3:0 ა. კოსტიცინი-12 (ი. უებერი-4, შპაჩეკი-13), 4:0 ჰალპერნი-7 (მოენი-5, შპაჩეკი-14), 4:1 ბურნი-15 (ო. იოკინენი-17, სერიჩი-8), 4:2 იგინლა-19 (ბოუმისტერი-12), 4:3 კოტალიკი-3 (ო. იოკინენი-18), 4:4 ტანგეი-11 (იგინლა-23, ბ. მორისონი-17), 5:4 სუბანი-4 (გომესი-17, გილი-4).

დალასი-ლოს ანჯელესი 2:1

0:1, 2:0, 0:0

გოლები: 0:1 ჯასტინ უილიამსი-17 (კოპიტარი-31), 1:1 ლ. ერიქსონი-17 (ბ. რიჩარდსი-35, რიბეირო-31), 2:1 ლანგენბრუნერი-5 (ბ. რიჩარდსი-36, ბენი-18).

აღმოსავლეთი

	თ	მ	ნ	ონ	ქ
1. ფილადელფია*	45	29	11	5	63
2. ბოსტონი*	45	25	13	7	57
3. ტამპა ბეი*	46	26	15	5	57
4. პიტსბურგი	46	28	14	4	60
5. ვაშინგტონი	46	25	14	7	57
6. მონრეალი	46	26	17	3	55
7. რეინჯერსი	47	26	18	3	55
8. ატლანტა	48	23	18	7	53
9. კაროლინა	45	22	17	6	50
10. ფლორიდა	44	21	20	3	45
11. ბაფალო	44	19	20	5	43
12. ტორონტო	44	18	21	5	41
13. ოტავა	46	17	23	6	40
14. აილენდერსი	44	14	23	7	35
15. ნიუ ჯერსი	45	13	29	3	29

დასავლეთი

	თ	მ	ნ	ონ	ქ
1. ვანკუვერი*	45	29	10	6	64
2. დეტროიტი*	45	28	11	6	62
3. დალასი*	46	28	13	5	61
4. ფინიქსი	46	23	14	9	55
5. ნეშვილი	45	24	15	6	54
6. ჩიკაგო	47	25	18	4	54
7. ანაჰაიმი	48	25	19	4	54
8. კოლორადო	45	23	16	6	52
9. სან ხოსე	47	23	19	5	51
10. მინესოტა	45	22	18	5	49
11. ლოს ანჯელესი	45	24	20	1	49
12. სტ. ლუისი	44	21	17	6	48
13. კოლამბუსი	45	21	20	4	46
14. კალგარი	46	20	20	6	46
15. ედმონტონი	44	14	23	7	35

* - დივიზიონის ლიდერი

ბომბარდირები

გოლი+პასი

სიდნი კროსბი (პიტ)	66 (32+34)
სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი)	61 (33+28)
დანიელ სედინი (ვან)	58 (27+31)
მარტინ სენტ ლუისი (ტ-ბეი)	56 (19+37)
ჰენრიკ სედინი (ვან)	55 (9+46)
ბრედ რიჩარდსი (დალ)	54 (18+36)
ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტ)	50 (16+34)
კორი პერი (ანა)	49 (23+26)
ლუი ერიქსონი (დალ)	49 (17+32)
ანზე კოპიტარი (ლ-ანჯ)	47 (16+31)

გოლები

სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი)	33
სიდნი კროსბი (პიტ)	32
დანიელ სედინი (ვან)	27
პატრიკ შარპი (ჩიკ)	25
დენი ბრიერი (ფილ)	24
რაიან კესლერი (ვან)	24
კორი პერი (ანა)	23
ერიკ სტაალი (კარ)	22
რიკ ნეში (კოლამ)	21
ბობ რაიანი (ანა)	21

პასები

ჰენრიკ სედინი (ვან)	46
მარტინ სენტ ლუისი (ტ-ბეი)	37
ბრედ რიჩარდსი (დალ)	36
სიდნი კროსბი (პიტ)	34
ჰენრიკ ზეტერბერგი (დეტ)	34
კრის ლეტანგი (პიტ)	33
ტობიას ენსტრიომი (ატლ)	33
ლუი ერიქსონი (დალ)	32

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

● ცხელი ხაზი

ფეხბურთი

აზიის თასი

ავსტრალია-ბაჰრეინი	1:0
კორეა-ინდოეთი	4:1

ამხანაგური მატჩები

ბოხუმი-ლევერკუზენი	0:3
სტ. გალენი-შარლერუა	1:0
თუნი-ტიროლი	0:0
ვოლერენგა-ჰამ კამი	1:4
მაინცი-ზაარბრიუკენი	1:2

ინგლისი

I ლიგა

როვერსი-ჰარტლპული	0:0
მილტონი-პლიმუტი	1:3
როჩდეილი-ბორნმუთი	0:0

II ლიგა

აკრინგტონი-შრიუსბერი	1:3
ალდერშოტი-ბრედფორდი	1:0

კონფერენსი

ბეტი-ქროული	0:2
ფლიტვუდი-უიმბლდონი	1:1
გეიტშიდი-ბაროუ	3:0
გრიმსბი-კეტერინგი	2:1
ჰეიესი-რაშდენი	3:3
ლუტონი-იორკი	5:0
საუთპორტი-რექსჰემი	0:1
ტამუორტი-ალტრინჩემი	1:1

ინგლისის თასი

1/32 ფინალი

კარდიფი-სტოკი	0:0 დ.დ. 0:2
მანჩესტერ სიტი-ლესტერი	4:2
ვულვზი-დონკასტერი	5:0

ინგლისი

FA Trophy

კემბრიჯი-ალფრეტონი	3:6
ისტბურნი-დორჩესტერი	1:0

JP Trophy

კარლაილი-ჰადერსფილდი	4:0

იტალიის თასი

1/8 ფინალი

ნაპოლი-ბოლონია	2:1

ესპანეთის თასი

1/4 ფინალი. II მატჩი

სევილია-ვილიარეალი	3:0 (3:3)

გერმანია

II ბუნდესლიგა

აუე-პადერბორნი	1:0

საფრანგეთი

ლიგის თასი. 1/2 ფინალი

მონპელიე-პსჟ	0:0 პენ. 1:0

ჰოლანდიის თასი

1/8 ფინალი

ჰეერენვენ-ხრონინგენი	2:3
ახილესი-ვაალვიკი	1:1 პენ. 1:3
სპარტა (რ)-ნორდვიკი	2:2 პენ. 3:5
ტელსტარი-ბრედა	0:1

ბელგია

II დივიზიონი

ეუპენი-მეხელენი	0:1
კორტრიიკი-ლოკერენი	0:0

პორტუგალია

ლიგის თასი

ბრაგა-ფერეირა	2:3

შოტლანდია

კილმარნოკი-ჰართსი	1:2
რეინჯერსი-ინვერნესი	1:0

II დივიზიონი

დამბარტონი-ალოა	4:1
ისტ ფაიფი-ლივინგსტონი	2:4

III დივიზიონი

ალბიონი-ქუინზ პარკი	1:2

შოტლანდიის თასი

1/16 ფინალი

მორტონი-ეირდრი	2:2
ეირი-ჰიბერნიანი	1:0
დანფერმლაინი-მონროუზი	5:3
პარტიკი-ფალკირკი	1:0
პიტერჰედი-სტ. მირენი	1:6
როსი-დანდი იუნ	0:0 პენ. 3:4
სტენჰაუზმური-სტრანრარი	0:0

ფინეთი

ლიგის თასი

მარიეჰამნი-ჰაკა	4:0

საბერძნეთის თასი

1/4 ფინალი. I მატჩი

კერკირა-ოლიმპიაკოსი (პ)	0:2

თურქეთის თასი

ანტალია-გალათასარაი	0:0

უელსი

ნითი-ლანელი	1:1
პრესტატინი-კარმარტენი	0:0
ტნს-ბანგორი	2:2

კალათბურთი

ევროთასი

უნიქსი-გრან კანარია	67:64
პანელინიოსი-კახასოლი	82:87 (ო)
გოტინგენი-ლე მანი	75:71
არისი-ბუდიველნიკი	85:69
ესტუდიანტესი-ნიმბურკი	87:80
კაზერტა-გალათასარაი	81:76 (ო)
ბენეტონი-ალბა	75:71

ევროჩელენჯი

სპარტაკი-ნეთანია	73:70
ვენტსპილსი-ბენფიკა	100:65
ლოკომოტივი-ზადარი	87:69
პროსტეევი-ოსტენდე	66:74
კრკა-მონსი	85:77
მაკაბი (ჰ)-აკადემიკი	78:95
გრაველენი-ნორჩოპინგი	75:65
ანტვერპენი-პინარი	82:89 (ო)

საფრანგეთის თასი

1/16 ფინალი

ლიმოჟი-როანი	90:73
პო ორტეზი-ვილერბანი	80:86
შალონი-სტრასბური	77:71

ხელბურთი

მს. ჩემპიონატი

კაცები

სლოვაკეთი-ჩილე	29:29
უნგრეთი-იაპონია	28:24
პოლონეთი-ს. კორეა	25:20
ნორვეგია-ბრაზილია	26:25
შვედეთი-არგენტინა	22:27
ისლანდია-ავსტრია	26:23

ჰოკეი

კჰლ

ვიტიაზი-სევერსტალი	2:1
დინამო (რ)-ცსკა	4:3 (ბ)

ავსტრია

ზალცბურგი-ოლიმპია	4:2

ბელარუსი

ვიტებსკი-გომელი	2:9
ნემანი-მეტალურგი	4:0
სოკილი-ლიეპაიასი	2:3
შინიკი-ბრესტი	4:6
იუნოსტი-შახტარი	4:2

დანია

ესბერგი-ოდენსე	6:0
ფრედრიკშავნი-ოლბორგი	5:3

ნორვეგია

ფრისკ ასკერი-სტავანგერი	3:4
სტორჰამარი-ვოლერენგა	3:2 (ო)

სლოვაკეთი

ჟილინა-სკალიცა	4:5 (ბ)
ზვოლენი-მარტინი	3:0
კოშიცე-ბისტრიცა	5:0
სლოვანი-პოპრადი	4:1
ნიტრა-ტრენჩინი	6:3

ფინეთი

ბლუზი-საიპა	3:1
იოკერიტი-ესეტი	1:2
კალპა-ტპს	2:1
ლუკო-ჰპკ	0:2
პელიკანსი-ჰიფკ	1:3
ტაპარა-ილვესი	3:2
იუვიასკიულა-კერპეტი	7:3

ჩეხეთი

ტრშინეცი-ბოლესლავი	5:2
ჟლინი-კლადნო	3:0
ლიტვინოვი-ბრნო	1:7
პლზენი-სპარტა	2:0
ბუდეიოვიცე-სლავია	3:0
კარლოვი ვარი-პარდუბიცე	4:1
ლიბერეცი-ვიტკოვიცე	4:2

შვეიცარია

ბერნი-ფრიბურგი	3:2
სერვეტი-ლანგნაუ	6:1
ციურიხი-ცუგი	5:3

შვედეთი

აიკ-შელეფტეო	4:5 (ბ)

● TV პროგრამა

19 იანვარი. ოთხშაბათი

GMG-ფეხბურთი

21:45 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ტვენტე-ჰერაკლესი (LIVE).
23:45 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ფეიენოორდი (LIVE).

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

23:40 იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-ჩეზენა (LIVE).

HTB-პლუსი (სპორტი)

23:40 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. II ჯგუფური ეტაპი. I ტური (LIVE).

HTB-პლუსი (ონლაინი)

15:00 ხელბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. ჯგუფური ეტაპი. სერბეთი-ხორვატია. შვედეთი (LIVE).
23:25 ხელბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. ჯგუფური ეტაპი. ესპანეთი-ეგვიპტე. შვედეთი (LIVE).
03:55 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. IV დღე. მელბურნი (LIVE).

HTB-პლუსი (კლასიკა)

21:10 ხელბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-საფრანგეთი. შვედეთი (LIVE).
23:40 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. II ჯგუფური ეტაპი. I ტური. ვალენსია-ჟალგირისი (LIVE).

HTB-პლუსი (კალათბურთი)

21:55 კალათბურთი. ევროლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. ფენერბაჰჩე (თურქეთი)-უგმკ (რუსეთი) (LIVE).
23:40 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. II ჯგუფური ეტაპი. I ტური. რეალი-პარტიზანი (LIVE).
06:00 NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დენვერი-ოკლაჰომა (LIVE).

HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

11:55 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. II დღე. მელბურნი (LIVE).
03:55 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. III დღე. მელბურნი (LIVE).

SPORT+

23:45 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ფეიენოორდი (LIVE).

EUROSPORT

12:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. III დღე. მელბურნი (LIVE).
17:00 რალი. IRC-ის სერია. I დღე. მონტე კარლო (LIVE).
19:00 რალი. IRC-ის სერია. I დღე. მონტე კარლო (LIVE).
20:15 ფეხბურთი. აზიის თასი. ჯგუფური ეტაპი. ერაყი-ჩრ. კორეა. კატარი (LIVE).
04:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. IV დღე. მელბურნი (LIVE).
06:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. IV დღე. მელბურნი (LIVE).

EUROSPORT-2

10:45 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. III დღე. მელბურნი (LIVE).
12:00 სნოუბორდი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ჰალფ-პაიპი. კვალიფიკაცია. ლა-მოლინა. ესპანეთი (LIVE).
13:00 რალი. IRC-ის სერია. I დღე. მონტე კარლო (LIVE).
14:30 რალი. IRC-ის სერია. I დღე. მონტე კარლო (LIVE).
15:45 სნოუბორდი. მსოფლიოს ჩემპიონატი. პარალელური გიგანტური სლალომი. კვალიფიკაცია. ლა-მოლინა. ესპანეთი (LIVE).
22:00 კალათბურთი. ევროლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. ფენერბაჰჩე (თურქეთი)-უგმკ (რუსეთი) (LIVE).
02:30 ფეხბურთი. კოპა ამერიკა (20-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. პერუ-არგენტინა. პერუ (LIVE).
04:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. IV დღე. მელბურნი (LIVE).
06:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. IV დღე. მელბურნი (LIVE).

ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა

დამცირებული დინარა, იმედგაცრუებული ანა

ავსტრალიის ღია პირველობის წილისყრის შემდეგ მამაკაცთა და ქალთა ბადეში ორი თამაში გამოარჩიეს. ეს იყო **ლეიტონ ჰიუიტისა** და **დავიდ ნალბანდიანის**, აგრეთვე **კიმ კლაისტერსისა** და **დინარა საფინას** დაპირისპირება. ორივე დუელი გუშინ **როდ ლეივერის** სახელობის ცენტრალურ კორტზე შედგა და მაყურებელმა ორი სრულიად განსხვავებული სცენარის შეხვედრა იხილა.

საფინამ ავსტრალიის ღიაზე განთესვის ნომერი ვერ მიიღო. რუსმა შარშანდელი სეზონი ძალიან ცუდად ჩაატარა, თანაც ზურგის ტრავმა აწუხებდა. მართალია, დაზიანება მოირჩინა, მაგრამ მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ძველებურად აგრესიულად და რისკიანად ვეღარ თამაშობს. მალე დინარა WTA-ის კლასიფიკაციის ასეულის მიღმა აღმოჩნდება. თითქოს ეს უბედურება არ კმარიყო და პირველ წრეში რუსს მეტოქედ კლაისტერსი ერგო.

მატჩი, რომელიც პირველი წრის ერთ-ერთი მშვენება უნდა გამხდარიყო, საფინას დამცირებით დასრულდა. სხვა სიტყვა არ შეესაბამება იმ სიტუაციას, რომელიც გუშინ კორტზე ვიხილეთ. თამაშის მიმდინარეობის აღწერა არ ღირს - ანგარიშიც ნათლად მეტყველებს ყველაფერზე - 6:0, 6:0. კლაისტერსს 44 წუთი დასჭირდა შემდეგ ეტაპზე გასასვლელად.

„მე რომ მცოდნოდა, რაში იყო საქმე, სხვანაირად ვითამაშებდი, - განაცხადა მატჩის შემდეგ საფინამ. *- მაგრამ არ ვიცოდი. ვერ ვხვდებოდი, როგორ მომეგო ქულა. გეიმებს შორის პაუზებისას ვიჯექი და ვფიქრობდი: „რა უნდა ვიღონო მის წინააღმდეგ?“ მაგრამ ამ კითხვაზე პასუხს ვერ ვპოულობდი. მრცხვენია ასეთი ანგარიშის გამო“.*

■ ■ ■

გადავიდეთ დღის მეორე ცენტრალურ შეხვედრაზე, რომელმაც ნამდვილი თრილერი აჩუქა მაყურებელს. ადგილობრივი პუბლიკისთვის საუბედუროდ, 4 საათი და 47 წუთი ბრძოლის შემდეგ ჰიუიტმა პრაქტიკულად მოგებული მატჩი დაუთმო არგენტინელ ჩოგბურთელს.

ამ მატჩში ყველაფერი იყო. რასაც კი ყველაზე მომთხოვნი მაყურებელი ინატრებდა - ფანტასტიკური ატმოსფერო, ბრძოლა, ლამაზი გათამაშებები და ანგარიშის უცნაური და მოულოდნელი ცვლილებები. ორივე ჩოგბურთელი დაახლოებით ერთნაირ სტილში თამაშობს - უკანა ხაზზე დარჩენას ამჯობინებს. ასე რომ, გათამაშებების დიდი ნაწილი კომბინაციური იყო, თუმცა ბადესთან გასვლებიც და ლამაზი შეტევებიც მრავლად ვიხილეთ. ლეიტონის მხარეს მაყურებელთა ფანტასტიკური მხარდაჭერა იყო, მაგრამ ნალბანდიანი გამოცდილი მებრძოლია და „ხმაურს“ მისთვის ხელი არ შეუშლია.

პირველ ორ სეტში ჩოგბურთელებმა თითო ბრეიკი აიღეს. ავსტრალიელმა პირველი პარტია მოიგო, ნალბანდიანმა - მეორე. ნამდვილი დრამა მესამე სეტიდან დაიწყო. მეორე პარტიის აღების შემდეგ სამხრეთამერიკელმა ინერციით მესამე სეტის პირველივე გეიმში ისევ მოიგო მეტოქის მოწოდება, თავისი გეიმიც დაუმატა და 2:0 დაწინაურდა. ამას მოჰყვა ჰიუიტის ბრწყინვალე სპურტი - მასპინძელმა ზედიზედ ხუთი გეიმი აიღო და სეტი გამარჯვებამდე მიიყვანა.

ახლა უკვე ჰიუიტმა იგდო ხელთ ინიციატივა და ის დაწინაურდა ბრეიკით მეოთხე სეტში. ავსტრალიელი ვალდებული იყო ამ პარტიაში დაესრულებინა მატჩი თავის სასარგებლოდ - მან უამრავი ბრეიკ-პოინტი გაფლანგა. 3:1-ზე ნალბანდიანის მოწოდებისას 40:0 დაწინაურდა, შემდეგ კიდევ ერთი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ შანსი ვერ გამოიყენა. აღსანიშნავია, რომ იმ მომენტისთვის ჰიუიტი 23 ბრეიკ-პოინტს ითვლილა, ნალბანდიანს კი მხოლოდ სამს. განსხვავება ის იყო, რომ მასპინძელმა ამ შანსების გამოყენების ძალიან დაბალი პროცენტი აჩვენა, არგენტინელს კი ასპროცენტიანი მაჩვენებელი ჰქონდა. 5:4-ზე ჰიუიტი მატჩზე აწვდიდა და ისევ შეიცვალა ბრძოლის სურათი - ნალბანდიანმა სეტი გადაარჩინა, საქმე ტაი-ბრეიკამდე მიიყვანა და იქ 7:1 გაანადგურა ლეიტონი.

დაინიშნა გადამწყვეტი სეტი და მისი სტარტიც წინა პარტიების ანალოგიური აღმოჩნდა - დაწინაურდა ის ჩოგბურთელი, რომელმაც წინა სეტის დასასრული უკეთ ჩაატარა. არგენტინელი 3:1-ს და 4:2-ს იგებდა და 5:4-ზე უკვე ის აწვდიდა მატჩზე. ჰიუიტი არ ჩამორჩა მეტოქეს და ახლა მან გადაარჩინა სეტი - 5:5. მე-11 გეიმში ლეიტონმა ორი ბრეიკ-პოინტი მოიგერია და თავისი გეიმი აიღო - 6:5. მატჩმა კულმინაციას მე-12 გეიმში მიაღწია. ნალბანდიანმა 40:15 წაიყვანა ანგარიში, მაგრამ მოდუნდა, ზედიზედ სამი გათამაშება წააგო და ჰიუიტს პირველი მატჩბოლი აჩუქა. ავსტრალიელმა საჩუქარი არ მიიღო. ცოტა ხანში მასპინძელს მეორე მატჩბოლი მისცეს და ისევ გადამწყვეტ მომენტში არგენტინელს ნერვებმა არ უმტყუნეს - 6:6.

ბოლო სეტში ტაი-ბრეიკი არ თამაშდება და სეტი ორი გეიმის მოგებამდე გაგრძელდა. აშკარად ჩანდა, რომ ინიციატივა და ფსიქოლოგიური უპირატესობა არგენტინელის მხარეს იყო. უფრო მეტი ბრძოლა ჰიუიტის გეიმებში მიდიოდა და მე-15 გეიმში, 0:40-ზე დავიდმა შანსი ხელიდან აღარ გაუშვა, შემდეგ კი მატჩზე წარმატებით ჩაწოდა - 9:7. ნალბანდიანმა 12-დან 6 ბრეიკ-პოინტი გამოიყენა, ჰიუიტმა - 30-დან 7.

„ძალიან დავიღალე. ეს არანორმალურად რთული მატჩი იყო. მეექვსედ ვხვდებოდით ერთმანეთს და ყოველთვის მძიმე ბრძოლები გვქონდა. მას ჰქონდა დღეს მოგების შანსი, მაგრამ მე კარგად ვითამაშე მეტოქის მატჩბოლებზე. მოწოდების შემდეგ ბადესთან გავდიოდი, რაც არ მახასიათებს. შეიძლებოდა ეს მატჩი წამეგო, რადგან ჰიუიტიც იმსახურებდა გამარჯვებას“, - განაცხადა ნალბანდიანმა, რომელსაც მეორე წრეში ლიტველ **რიჩარდას ბერანკისთან** მოუწევს შეხვედრა.

■ ■ ■

გუშინ ერთი სენსაციაც მოხდა. საფინასი არ იყოს, ვერაფრით უბრუნდება ძველ დონეს **ანა ივანოვიჩი**. ყოველი დიდი ტურნირის წინ ტურის ერთ-ერთი ყველაზე მომხიბვლელი ჩოგბურთელი ძველი თამაშის დაბრუნებასა და წარმატებას გვპირდება. ამჯერადაც, ივანოვიჩმა ხმამაღლა განაცხადა, რომ პრობლემები წარსულს ჩაბარდა და ამ სეზონში „დიდი სლემის“ ტურნირის მოგება აქვს დაგეგმილი.

პირველ წრეში მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს რუსი **ეკატერინა მაკაროვა** ერგო მეტოქედ. აქამდე ისინი ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს და ივანოვიჩმა უპრობლემოდ - 6:3, 6:2 დაამარცხა მაკაროვა. ეს შარშან აშშ-ის ღია პირველობაზე მოხდა. სერბს გუშინაც ასევე იოლად მოგების იმედი ჰქონდა. მაკაროვა ავსტრალიის ღიამდე ოთხი ტურნირის პირველ წრეში დამარცხდა, თუმცა წელს სიდნეიში დიდი ბრძოლა გაუმართა ბელარუს **ვიქტორია აზარენკას**. რა თქმა უნდა, ბუკმეიკერები ივანოვიჩს ანიჭებდნენ უპირატესობას.

პირველი სეტის დასაწყისი ამართლებდა პროგნოზებს. მაკაროვა ძალიან ბევრ შეცდომას უშვებდა, რამაც ანას იოლად მოაგებინა პარტია - 6:3. თამაშის სურათი არც მეორე სეტის სტარტზე შეცვლილა, მაგრამ შემდეგ სერბს ჩავარდნა დაეწყო, რითაც მაშინვე ისარგებლა რუსმა და დაკარგული ბრეიკი დაიბრუნა, ბოლოს კიდევ ერთხელ იმარჯვა მეტოქის მონოდებაზე.

გადამწყვეტ პარტიაში ივანოვიჩი გონს მოეგო და ისევ მოიპოვა უპირატესობა, მაგრამ, როგორც კი მაკაროვამ საპასუხო ბრეიკი გააკეთა, თამაში მთლიანად მისი კარნახით გაგრძელდა. მე-10 გეიმში რუსმა სამმაგი მატჩბოლი მიიღო, მაგრამ ივანოვიჩმა არნახული სიმტკიცე გამოავლინა. მაკაროვა აგრძელებდა ზეწოლას, თუმცა მატჩის დასრულებას ვერ ახერხებდა. მან კიდევ ორი მატჩბოლი გაანიავა და მხოლოდ მე-18 გეიმში, მეექვსე ცდიდან დაასრულა შეხვედრა თავის სასარგებლოდ - 3:6, 6:4, 10:8.

■ ■ ■

მეორე სათამაშო დღეს სხვა საინტერესო არაფერი მომხდარა. ქალებშიც და მამაკაცებშიც ფავორიტებმა იოლად გაიკვლიეს გზა შემდეგი ეტაპისკენ. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **რაფაელ ნადალმა** ბრაზილიელ **მარკოს დანიელთან** პირველ სეტში მხოლოდ ოთხი (!) გათამაშება წააგო. საერთო ჯამში ესპანელმა ზედიზედ 11 გეიმი აიღო და მისმა მონინააღმდეგემ 6:0, 5:0-ზე შეწყვიტა თამაში ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

ასევე არ დასრულდა **ენდი მიურეის** მატჩი **კარლოს ბეკთან**. ბრიტანელმა ორი სეტის მოგება მოასწრო და მესამეში ბრეიკით დაწინაურდა. სწორედ ამ დროს სლოვაკმა მხარის ტრავმა მოიმიზეზა და მეტოქეს გამარჯვება მოულოცა.

შვედმა **რობინ სიოდერლინგმა** არ გაიმეორა შარშანდელი შეცდომები და ამჯერად წარმატებით გაიარა პირველი ბარიერი. მან სამ სეტში მხოლოდ რვა გეიმი დაუთმო იტალიელ **პოტიტო სტარაჩეს**.

გუშინ მამაკაცებს შორის ერთადერთი განთესილი გავარდა - ლატვიელი **ერნესტ გულბისი**. გერმანელ **ბენჯამინ ბეკერთან** დამარცხდა. მისი ბედი შეიძლება გაეზიარებინათ კვიპროსელ **მარკო ბაღდატისსა** და ფრანგ **ჟო-ვილფრიდ ცონგას**, რომლებმაც ხუთსეტიანი მატჩები მოუგეს სლოვენიელ **გრეგა ჟემლიასა** და გერმანელ **ფილიპ პეტცშნერს**. ცონგამ საერთოდ 0:2-დან შეძლო მატჩის ბედის შემობრუნება.

გუშინდელი მატჩების შემდეგ მივიღეთ ახალი საინტერესო წყვილი - მეორე წრეში ბაღდატისი **ხუან მარტინ დელ პოტროს** შეხვდება. არგენტინელმა გუშინ საათზე მეტი მოანდომა პირველ სეტში **დუდი სელას** ძლევას - 7:6(15:13), შემდეგ კი უფრო იოლად წავიდა საქმე და აშშ-ის ყოფილმა ჩემპიონმა სამ სეტში გაიმარჯვა.

I წრე

ქალები

რაფაელ ნადალი (ესპ, 1)-მარკოს დანიელი (ბრა) 6:0, 5:0 უარი; **რაიან სვიტინგი (აშშ)**-დანიელ ხიმენო-ტრავერი (ესპ) 6:4, 6:4, 6:1; **ბერნარდ ტომიჩი (ავსტრა)**-ჟერემი შარდი (საფ) 6:3, 6:2, 7:6(5); **ფელისიანო ლოპესი (ესპ, 31)**-ალეხანდრო ფალა (კოლ) 6:3, 7:6(6), 6:3; **ჯონ ისნერი (აშშ, 20)**-ფლორან სერა (საფ) 6:3, 7:6(8), 6:3; **რადეკ შტეპანეკი (ჩეხ)**-დენის გრემელმაირი (გერ) 6:3, 6:2, 6:3; **სანტიაგო ხირალდო (კოლ)**-რუი მაშადო (პორ) 6:4, 6:3, 5:7, 6:1; **მარინ ჩილიჩი (ხორ, 15)**-დონალდ იანგი (აშშ) 6:3, 6:2, 6:1; **მიხაილ იუჟნი (რუს, 10)**-მარსელ ილჰანი (თურ) 6:2, 6:3, 7:6(5); **ბლაჟ კავჩიჩი (სლოვენ)**-კევინ ანდერსონი (ს. აფრ) 2:6, 6:4, 7:6(4), 7:6(5); **მილოშ რაონიჩი (კან)**-ბიორნ ფუა (გერ) 7:6(3), 6:3, 7:6(8); **მიკაელ ლოდრა (საფ, 22)**-ხუან იგნასიო ჩელა (არგ) 6:3, 3:6, 6:2, 6:4; **დავიდ ნალბანდიანი (არგ, 27)**-ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა) 3:6, 6:4, 3:6, 7:6(1), 9:7; **რიჩარდ ბერანკისი (ლიტ)**-მარინკო მატოშევიჩი (ავსტრა) 6:4, 6:2, 7:5; **მაიკლ რასელი (აშშ)**-მეტიუ ებდენი (ავსტრა) 6:3, 6:2, 5:7, 7:6(9); **დავიდ ფერერი (ესპ, 7)**-იარკო ნიემინენი (ფინ) 6:4, 6:3, 1:6, 6:2; **რობინ სიოდერლინგი (შვედ, 4)**-პოტიტო სტარაჩე (იტა) 6:4, 6:2, 6:2; **ჟილ მიულერი (ლუქ)**-სიმონ სტადლერი (გერ) 6:3, 7:6(5), 6:4; **იან ჰერნიხი (ჩეხ)**-დენის ისტომინი (უზბ) 6:3, 6:4, 3:6, 6:2; **ტომაშ ბელუჩი (ბრა, 30)**-რიკარდო მელო (ბრა) 7:5, 7:5, 4:6, 3:6, 6:3; **ბენჯამინ ბეკერი (გერ)**-ერნესტ გულბისი (ლატ, 24) 7:6(5), 6:2, 6:4; **ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ)**-მიხაილ კუკუშკინი (ყაზ) 6:3, 6:2, 6:4; **ანდრეას სეპი (იტა)**-არნო კლემანი (საფ) 3:6, 2:6, 7:5, 6:3, 6:2; **ჟო ვილფრიდ ცონგა (საფ, 13)**-ფილიპ პეტცშნერი (გერ) 4:6, 2:6, 6:2, 6:3, 6:4; **იურგენ მელცერი (ავსტრია, 11)**-ვენსან მილიო (საფ) 6:2, 6:4, 6:2; **პერე რიბა (ესპ)**-კარსტენ ბოლი (ავსტრა) 1:6, 7:6(5), 6:2, 2:6, 6:4; **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ)**-დუდი სელა (ისრ) 7:6 (13), 6:4, 6:4; **მარკოს ბაღდატისი (კვიპ, 21)**-გრეგა ჟემლია (სლოვენ) 3:6, 7:5, 6:1, 4:6, 6:2; **გილერმო გარსია-ლოპესი (ესპ, 32)**-მიხაელ ბერერი (გერ) 6:4, 6:4, 3:6, 6:3; **ედუარდო შვანკი (არგ)**-ლეონარდო მაიერი (არგ) 6:2, 6:0, 6:4; **ილია მარჩენკო (უკრ)**-რუბენ რამირეს იდალგო (ესპ) 6:3, 6:4, 6:1; **ენდი მიურეი (ბრიტ, 5)**-კაროლ ბეკი (სლოვაკ) 6:3, 6:1, 4:2 უარი.

ქალები

ელენა იანკოვიჩი (სერ, 7)-ალა კუდრიავცევა (რუს) 6:0, 7:6(5); **შუაი პენგი (ჩინ)**-კატერინა ბონდარენკო (უკრ) 2:6, 6:3, 8:6; **კაროლინ გარსია (საფ)**-ვარვარა ლეპჩენკო (აშშ) 7:5, 4:6, 6:3; **აიუმი მორიტა (იაპ)**-ალექსანდრა დულგერუ (რუმ, 27) 6:4, 6:4; **ალისა კლეიბანოვა (რუს, 24)**-ირინა ფალკონი (აშშ) 6:1, 6:0; **სიმონა ჰალეპი (რუმ)**-ენ კრემერი (ლუქ) 6:3, 3:6, 6:2; **პეტრა მარტიჩი (ხორ)**-სოფი ფერგიუსონი (ავსტრა) 7:6(6), 0:6, 6:3; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 12)**-კიმიკო დატე (იაპ) 6:4, 4:6, 7:5; **ნადია პეტროვა (რუს, 13)**-ქსენია პერვაკი (რუს) 6:2, 6:1; **ალისია მოლიკი (ავსტრა)**-რობერტა ვინჩი (იტა) 1:6, 6:3, 8:6; **ლესია ცურენკო (უკრ)**-პატი შნიდერი (შვეიც) 6:2, 6:3; **ეკატერინა მაკაროვა (რუს)**-ანა ივანოვიჩი (სერ, 19) 3:6, 6:4, 10:8; **მარია ხოსე მარტინეს სანჩესი (ესპ, 26)**-გრეტა არნი (უნგ) 6:3, 4:6, 6:2; **ალიზ კორნე (საფ)**-კოკო ვანდეველე (აშშ) 6:2, 6:1; **კარლა სუარეს ნავარო (ესპ)**-კრისტინა მაკჰეილი (აშშ) 4:6, 6:3, 6:4; **კიმ კლაისტერსი (ბელ, 3)**-დინარა საფინა (რუს) 6:0, 6:0; **სამანტა სტოსური (ავსტრა, 5)**-ლორენ დევისი (აშშ) 6:1, 6:1; **ვერა დუშევინა (რუს)**-მარია ელენა კამერინი (იტა) 6:3, 3:6, 6:1; **ანა ჩაკვეტაძე (რუს)**-ოლგა გოვორცოვა (ბლრ) 6:3, 6:4; **პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 25)**-სალი პეერსი (ავსტრა) 6:2, 6:4; **ფლავია პენეტა (იტა, 22)**-ანასტასია როდიონოვა (ავსტრა) 6:2, 6:1; **ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ)**-იოჰანა ლარსონი (შვედ) 6:2, 6:1; **სორანა კირსტეა (რუმ)**-მირიანა ლუჩიჩი (ხორ) 6:4, 6:2; **შაარ პეერი (ისრ, 10)**-მატილდ იოჰანსონი (საფ) 6:1, 6:1; **ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 16)**-კირსტენ ფლიპკენსი (ბელ) 6:4, 7:6(4); **კრისტინა ბაროისი (გერ)**-აკგულ ამანმურადოვა (უზბ) 6:4, 6:2; **ივეტა ბენეშოვა (ჩეხ)**-ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ) 6:0, 6:1; **მარია კირილენკო (რუს, 18)**-რომინა ოპრანდი (იტა) 6:3, 5:7, 8:6; **ლუსი საფაროვა (ჩეხ, 31)**-შუაი ჟანგი (ჩინ) 7:5, 4:6, 6:1; **კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ)**-მელანი ოუდინი (აშშ) 6:1, 3:6, 6:1; **ბოიანა იოვანოვსკი (სერ)**-კაი ჩენ ჩანგი (ტაივ) 7:5, 6:1; **ვერა ზვონარევა (რუს, 2)**-სიბილ ბამერი (ავსტრია) 6:2, 6:1.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა